

საქართველო ნიგლირთვა



1239
2002

№3 2002



ISSN 1512-0880





EBSCOhost Web 6.0



**მომხმარებლის
სახელმძღვანელო**

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის და საქართველოს ინტეგრირებული საბიბლიოთეკო საინფორმაციო ქსელის კონსორციუმის ფარგლებში მიმდინარე პროექტი “ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის” გთავაზობთ სიასტეს: კონსორციუმმა გამოსცა სახელმძღვანელო, რომელიც დახმარებას გაუწევს მომხმარებელს აწარმოოს კვალიფიციური კონსორციუმის ბაზაში. სახელმძღვანელოში მოცემულია კიბის სხვადასხვა ფორმები და მეთოდები, რაც მომხმარებელს გაუადვილებს მისთვის სასურველი ინფორმაციის მოკივას. სახელმძღვანელო ორენოვანია: ქართულ- ინგლისური. სახელმძღვანელო შეიქმნა მიიღოთ საბიბლიოთეკო ასოციაციის ოფისში, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

მისამართი: საქართველო, თბილისი, 380007, გუდიაშვილის ქ. N 7 ტელეფონი: +(995 32) 93-26-82, ან სულხან-საბა ორბელიანის სახელობის საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატაში მისამართი: საქართველო, თბილისი, 380083, საბურთალოს ქ. N 47 ტელეფონი: +(995 32)38-48-91, 38-81-83 ფაქსი: +995 32 (38 81 19)



ეს წიგნები, რომლებიც ავტორებმა გადმოსცეს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, უფასოდ შეუძლიათ შეიქმნონ ცენტრალურმა ბიბლიოთეკებმა ამავე ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ცენტრში.



საბიბლიოთეკო საქმის სამართლებრივი საფუძვლები ----- 4

საბიბლიოთეკო კანონმდებლობა

გურამ თაყნიაშვილი - საქართველოს საბიბლიოთეკო კანონმდებლობა თანამედროვე ეტაპზე. 7 -

ჩვენი ბიბლიოთეკები

მანანა გვარამია - ბუგდიდის მთავარი ბიბლიოთეკა ----- 9

თინა სალაყაია - ქ. ფოთის ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკა ----- 11

ლელია ახალაშვილი - ღუშეთის რაიონის ბიბლიოთეკები ----- 14

მზია სოლოდაშვილი - ქ. გურჯაანის შ. რუსთაველის სახელობის ცენტრალური რაიონული ბიბლიოთეკა ----- 16

ციური ხორავა - ღვაწლმოსილება ----- 18

ლილი ჯანგველაძე - მეაბრეშუმეობის საკოორდინაციო ცენტრის - «აბრეშუმის სახლის» ბიბლიოთეკა ----- 20

ნელი ჯარიაშვილი - პაგარა ბიბლიოთეკის დიდი ისტორია ----- 22

ლალი ყავლაშვილი - პერსპექტივის გათვალისწინებით ----- 25

გულიკო გიორგაძე - მხოლოდ თანადგომით გვაქვს კარგი ბიბლიოთეკა ----- 27

ტერმინოლოგიური კიეზანი

ბადრი ცხადაძე - პალეოგრაფიულ-წიგნმცოდნეობითი ტერმინები ქართულში: ფურცელი --- 29

ისტორიის ფურცლებიდან

გიორგი სარაჯიშვილი - მოვლენები მკვლევლობამდე და იცოდა თუ არა ილია ჭავჭავაძემ, რომ ელოდა გოლგოთა ----- 32

ნინელი მეღვაძე, ალექსანდრე ლორია - გფილისის საჯარო ბიბლიოთეკის მაგიანე ----- 41

საბიბლიოთეკო მენეჯმენტი: გვესაუბრება სპეციალისტი

გულნარა სგურუა - საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების მართვა თანამედროვე ეტაპზე ----- 46

მარინა ჩიქავა - ფსიქოლოგი ბიბლიოთეკაში ----- 52

ბავშვთა და ახალგაზრდობის კითხვა

გულნარა ფირცხალავა - წიგნი საშუალო და უფროსი ასაკის ბავშვებისათვის ----- 54

ზუმრედ გოდერძიშვილი - წიგნი ახალგაზრდობას ----- 57

ცისანა წერეთელი - ბავშვთა კითხვა ----- 58

მოგონებები

ალექსანდრე ლორია - დიდი მეცნიერისა და ბიბლიოფილის მოსაგონარი ----- 67

ქრონიკა

საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა : მოვლენები, ფაქტები ----- 69

2003 წლის ღირსშესანიშნავი და საიუბილეო თარიღების კალენდარი ----- 70



Содержание

Правовые основы библиотечного дела..... 4

Библиотечное законодательство

Гурам Такниашвили – Библиотечное законодательство Грузии на современном этапе.. 7

Наши библиотеки

Манана Гварамиа - Главная библиотека Зугдиди..... 9

Тина Салакаиа - Центральная городская библиотека г. Поты..... 11

Лейла Ахалашвили - Библиотеки Душетского района..... 14

Мзиа Сологашвили - Центральная районная библиотека им. Ш. Руставели Гурджаани... 16

Циури Хорава - Заслуга библиотекаря 18

Лили Джангвеладзе - Библиотека «Дома шёлка» – координационного центра шелководства.. 20

Нелли Джариашвили - Большая история маленькой библиотеки..... 22

Лали Кавлашвили - С учётом перспективы..... 25

Гулико Гиоргадзе - Только поддержкой имеем хорошую библиотеку..... 27

Терминологические изыскания

Бадри Цхададзе - Палеографические книговедческие термины в грузинском языке: лист.. 29

Страницы истории

Георги Сараджишвили - События до убийства, Знал ли Илья Чавчавадзе, что его ждёт Голгофа.. 32

Нинель Мелкадзе, Александр Лория - Летопись публичной библиотеки Тифлис..... 41

Библиотечный менеджмент: беседует специалист

Гульнара Стуруа - Управление университетскими библиотеками на современном этапе. 46

Марина Чикава - Психолог в библиотеке..... 52

Чтение детей и молодёжи

Гульнара Пирцхалава - Книга для детей среднего и старшего возраста..... 54

Зумруд Годердзишвили - Книга для юношество 57

Цисана Церетели - Детское чтение..... 58

Воспоминания

Александр Лория -- Воспоминания великого учёного и библиофила..... 67

Хроника

Хроника библиотечной жизни: события, факты..... 69

Календарь знаменательных и юбилейных дат 2003 года..... 70



Legal background of librarianship 04.005930
2002.00100433

LIBRARY LEGISLATION

Guram Takniashvili- Georgian library legislation currently 7

OUR LIBRARIES

Manana Gvaramia-Zugdidi Central Library 9
Tina Salakaia-Poti Central City Library 11
Leila Axalashvil-Libraries of Dusheti Region 14
Mzia Sologhashvili-Central Regional Library of Gurjaani By Shota Rustaveli 16
Ciuri Khorava-Merit 18
Lili Jangveladze-Library of Silk Coordination Center “ Silk House” 20
Neli Jariashvili-Big history of a small library 22
Lili Kavlashvili: Considering Prospective..... 25

TERMINOLOGICAL SEARCHES

Badri Tskhadadze-Poligraphic - Book- science terms in Georgian: Kaghaldi (paper) 27

FROM THE HISTORY

Giorgi Sarajishvili - Events before murder and did Ilia Chavchavadze know he would come upon Golgotha 29
Nineli Melqadze, Aleko Loria-The history of Tiflisi Public library 32

LIBRARY MANAGEMENT: SPECIALIST'S VIEW POINT

Gulnara Sturua-Modern ways of managing University libraries 41
Marina Chikava-Psychologists at the library 46

READING IN CHILDHOOD AND YOUTH

Gulnara Pirtskhalava-Book for children of middle and older age 52
Zumrud Goderdzishvili-Books for youth 54
Tsisana Tsereteli-Children's reading 57

REMINISCENCES

Aleqsandre Loria-Memories of the Great Scientist and Bibliophile 67
Information, Chronicles 69

CHRONICLE OF LIBRARY LIFE; EVENTS, FACTS

The almanac of important and jubilee dates in 2003 70

საბიბლიოთეკო საქმის სამართლებრივი საფუძვლები

საბიბლიოთეკო საქმეს სამოგალოებრივ ურთიერთობათა ყოველ სფეროში აქვს ადგილი, იქნება ეს მეცნიერება, განათლება, კულტურა თუ სახალხო მეურნეობა, და ამიგომაც მისი კავშირი სხვადასხვა დარგთან სავსებით ბუნებრივი და კანონზომიერია. ამის გამო მისი ურთიერთმომართების დარეგულირება როგორც უშუალოდ შიგადადარგობრივ სფეროში, ისე ქვეყნის სხვადასხვა დარგებთან აუცილებელია. აქ ლაპარაკია როგორც იურიდიულ ურთიერთობათა დარეგულირებაზე, ისე წარმოებით ურთიერთობათა და ტექნიკურ ოპერაციათა კანონზომიერად მოწესრიგებაზე. სწორედ ამის საფუძველზედაც უნდა იქნეს აგებული მთლიანად მთელი საბიბლიოთეკო საქმიანობა. ამ საქმის ოპტიმალურად წარმოებისათვის საჭიროა ისეთი დოკუმენტები, რომლებიც იურიდიულად თუ ტექნოლოგიურად უზრუნველყოფენ შრომით საქმიანობას, განსაზღვრავენ სტრატეგიასა და ტაქტიკას, ურთიერთობათა საწყისებს, პრინციპებსა და მეთოდოლოგიას, ამგვარი დოკუმენტების არსებობაზე დიდადაა დამოკიდებული საბიბლიოთეკო საქმის დონე და ხარისხი.

დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებენ საბიბლიოთეკო საქმეს, შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად დაიყოს: 1. ზოგადსაკანონმდებლო დოკუმენტები, 2. პროფესიული (კერძო მნიშვნელობის) დოკუმენტები.

პირველი გულისხმობს ისეთ დოკუმენტებს, რომლებიც საყოველთაო მნიშვნელობისაა, ეხება იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს და ყველასათვის საერთოა. ესაა მოქალაქეობრივი უფლებების დაცვა, სამართლებრივი, შრომითი, საწარმოო, საგანმანათლებლო, კულტურის, სამოგალოებრივ ორგანიზაციათა თუ სხვა უფლებამოვალეობათა განმსაზღვრელი აქტები.

მეორე – ეს არის ისეთი დოკუმენტები, რომლებიც ეხება სამოგალოდ საბიბლიოთეკო საქმეს, ბიბლიოთეკებს მთლიანად თუ რომელიმე კონკრეტულად.

ერთობლიობაში ყველა ეს დოკუმენტი

შეიძლება ერთმანეთისაგან განვასხვავოთ თავიანთი სტატუსით, უფლებრივი, მიზნობრივი თუ ლაბიზონულებრივი თვალსაზრისით. ამ ნიშნით დოკუმენტები ქმნიან 5 ძირითად ჯგუფს: 1. კანონები; 2. უფლებების გამსაზღვრელი დოკუმენტები; 3. ინსტრუქციული დოკუმენტები; 4. მეთოდიკური დოკუმენტები; 5. სარეკომენდაციო დოკუმენტები.

კანონები არის როგორც საყოველთაო-სახალხო მნიშვნელობის (კონსტიტუცია და კანონქვემდებარე აქტები), ისე რომელიმე კონკრეტული დარგის – კულტურის, განათლების, რელიგიის და სხვ. მათ განეკუთვნება კანონები: საბიბლიოთეკო საქმის შესახებ, პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ, სავალდებულო ცალკეების შესახებ (ჩვენში ამჟამად მუშავდება) და სხვ. როგორც საყოველთაო-სახალხო მნიშვნელობის, ისე ბევრი დარგობრივი მნიშვნელობის კანონი (საბიბლიოთეკო კანონების გარეშე) შეიცავს ისეთ რამეს, რაც არეგულირებს საბიბლიოთეკო საქმის ზოგიერთ მხარეს. ამიგომაც მათი გამოყენება ცალკეულ შემთხვევაში აუცილებელი ხდება, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. რაც შეეხება საბიბლიოთეკო კანონსა და კანონს ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ, ისინი მთელი საბიბლიოთეკო საქმის სამართლებრივ საფუძველს ქმნიან, რომელთა შესრულება და დაცვა კატეგორიულად აუცილებელია.

უფლებების განმსაზღვრელი დოკუმენტები ძირითადი კანონებიდან გამომდინარეობს, ითვალისწინებს მათ და მხედველობაში იღებს იმას, რაც ამა თუ იმ დარგისთვის აუცილებელია. ასეთებია, მაგალითად, სახელმწიფო მეთაურისა და მთავრობის განკარგულებები, გადაწყვეტილებები, ბრძანებულებები, ბრძანებები, დადგენილებები, დებულებები, წესდებები, ხელშეკრულებები, რეზოლუციები და სხვ., ცხადია, სხვადასხვა დონისა და მოქმედების ვადების გათვალისწინებით.

ინსტრუქციული დოკუმენტები ძირითადად აწესრიგებს სამუშაო პროცესების ტექნოლოგიურ სიზუსტეს; მოწოდებულია დაიცვას სა-

მუშაო პროცესებისა და ოპერაციების თანმიმდევრული და ზუსტი შესრულება, მათი უნიფიცირება, სტანდარტული სიმუსტე, აგრეთვე უმრუნველყოფის შრომის მეცნიერული ორგანიზაცია. ასეთებია, მაგალითად, ნორმატიული აქტები, ინსტრუქციები, წესები, წესდებები, შინაგანაწესები, ნიმუშები, გეგმები, ანგარიშები, სტანდარტები, სხვადასხვა სამუშაოთა აღწერები და სხვ.

მეთოდური დოკუმენტები წარმოადგენს სამუშაო პროცესთა და წარმოებით ურთიერთობათა სწორად წარმართვისათვის საჭირო ფორმებისა და მეთოდების დამუშავებას. ისინი შემოქმედებითი ხასიათისაა და არ გამოირჩევიან მოდერნიზირებასა და კორექტივებს, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებას. ასეთებია, მაგალითად, მეთოდითი თეზისები, მეთოდური დამუშავებანი, მეთოდწერილები, მეცნიერული დებულებები და დასკვნები და ა.შ.

სარეკომენდაციო დოკუმენტები უმთავრესად ითვალისწინებს საბიბლიოთეკო საქმის მოგადასამოქმედო მიმართულებათა განსაზღვრას, მოწოდებებს, პროცესებსა და მოვლენებისადმი მიდგომის პრინციპების დადგენას, არსებული გამოცდილების ურთიერთგამიარებას, ინფორმირებას და ა.შ. ასეთი დოკუმენტები შეიძლება შეეხებოდეს როგორც კონკრეტულ ბიბლიოთეკას, ისე საერთოდ რეგიონის ბიბლიოთეკებსა და მხარეთა თუ ქვეყნის საბიბლიოთეკო საქმეს, მაგრამ უმთავრესად ასეთი დოკუმენტები საერთაშორისო მნიშვნელობისაა და, ამდენად, აქ ყოველთვის გათვალისწინებულია ე.წ. "თეთრი ადგილები" ადგილობრივი პირობების მხედველობაში მისაღებად. ასეთებია, მაგალითად, საერთაშორისო ორგანიზაციების დოკუმენტები – რემოლუციები, რეკომენდაციები, კომუნიკაციები, დეკლარაციები, მანიფესტები, კონვენციები, აგრეთვე საბჭოებისა თუ კომიტეტების გადაწყვეტილებები, მოწოდებები, ღონისძიებათა პროექტები, არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვები და სხვ.

საქმის სრულყოფისა და განვითარების ხანგრძლივმოქმედ პროცესში აქ დასახელებულმა ყველა სახის დოკუმენტმა შეიძლება ჰპოვოს გამოყენება. მათი გამოყენება საგრძნობლად გააუმჯობესებს როგორც საბიბლიოთეკო საქმის საერთო მდგომარეობას, ისე საქმიანობის კონკრეტულ პროცესებს. ამასთან ისიც უნდა ითქვას ხამგასმით, რომ დოკუმენტები უნდა განვიხი-

ლოთ როგორც ერთიანი სისტემა და, ამდენად, არ არის გამორიცხული, ესა თუ ის დოკუმენტი სხვადასხვა დროს სხვადასხვეგვარი დანიშნულების მაგარებელი აღმოჩნდეს. მაგალითად, მეთოდური დოკუმენტი შეიცავდეს სარეკომენდაციო თვისებებს და პირიქითაც.

საკითხავია, ჩვენში ამ მხრივ მოცემულ მომენტში რა მდგომარეობაა. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ არასასურველი. თუ ზოგადად საკანონმდებლო ბაზის თვალსაზრისით პრობლემები არა გვაქვს, ამას ვერ ვიგყვით პროფესიულ საკანონმდებლო ბაზის შესახებ. დოკუმენტების ერთი ნაწილი, საერთოდ, არ არსებობს, ზოგი მოძველებულია, ზოგიც გაუქმებული, ზოგიც გაუქმობესებს საჭიროებს. თუ გავაცნობიერებთ არსებულ ვითარებას, რა გვაქვს, რა არა და რა არის გასაკეთებელი, ადვილი წარმოსადგენია, რა მიმე მდგომარეობაა ამ მხრივ.

ზოგადად საკანონმდებლო და ქვემდებარე აქტები, საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებიც საბიბლიოთეკო საქმეს შეეხება ან ითვალისწინებს, ჩვენთვის ყველა ნაცნობია და სპეციალისტებისათვის ხელმისაწვდომი. ჩვენს განკარგულებაშია აგრეთვე კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ, კანონი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წესდება, საქართველოს ბიბლიოთეკების კონსორციუმის დებულება, უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების დებულება, სასკოლო ბიბლიოთეკების გიპიური დებულება. ყველა ეს დოკუმენტი ახალშედგენილია და, ამდენად, მოქმედი. გადასინჯვას მოითხოვს ამჟამინდელ ძალაში მყოფი, მაგრამ მოძველებული დოკუმენტები, როგორცაა, მაგალითად, ცალკეულ ბიბლიოთეკათა დებულებები და სარგებლობის წესები, სხვადასხვა პროფილის სტანდარტები და სხვ. ზოგ დოკუმენტზე უკვე აღარც შეიძლება დაყრდნობა. მაგალითისათვის ავიღოთ "საბიბლიოთეკო გეჟნიკის მინიმუმი", რომელიც ქართულად 1972 წლის შემდეგ არ გამოცემულა. მოგვიანებით გამოქვეყნდა საკავშირო მნიშვნელობის საბიბლიოთეკო გეჟნიკის მინიმუმი, მაგრამ იგიც მოძველებულია. დიდი ცვლილებებია შეგანილი აღრინდელ საკავშირო სტანდარტებში. მაგალითად მე-7 განყოფილების მთელ რიგ პუნქტებში მოხდა ცვლილებები, ხოლო მთლიანად გაუქმდა პუნქტები: 2, 3, 6, 7, 8, 10, 26, 27, 31, 42, 43, 44, 45, 46 და სხვ.

თუ ამას დაგუმაგებთ იმას, რომ უკვე საჭიროა მთელი რიგი ცვლილებები იქნეს შეტანილი მოქმედ ღოკუმენტებში და ამასთან, ბევრი საჭირო ღოკუმენტი ჯერ კიდევ არ გვაქვს, ნათელი ხდება, რა მიმომე პირობებში იმყოფება დღეს ამ მიმართულებით ჩვენი საბიბლიოთეკო საქმე.

რომ სრულყოფით საბიბლიოთეკო საქმის სამართლებრივი და შრომითი პროცესების ღოკუმენტების მდგომარეობა, საჭიროდ მიგვაჩნია ჩაგარდეს მთელი რიგი სამუშაოები. კერძოდ, უპირველეს ყოვლისა, შეგანილ იქნეს ცვლილებები და დამატებანი საბიბლიოთეკო კანონსა და სხვა ღოკუმენტებში – უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების დებულება, სასკოლო ბიბლიოთეკების გიპიური დებულება და სხვ. შეიქმნას და დამტკიცდეს ახალი დებულება საბიბლიოთეკო საბჭოს (კომიტეტის) შესახებ, ერთიანი სისტემების სტანდარტებისა, უწყებრივი ბიბლიოთეკების გიპიური დებულებები მათი ფუნქციების გაფართოების გათვალისწინებით, აგრეთვე ისეთი ღოკუმენტები, რომლებიც არეგულირებენ საწარმოო პრაქტიკას, კვალიფიკაციის ამაღლებას, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ბიბლიოთეკების კატეგორიებს, საკადრო პოლიტიკასთან დაკავშირებულ პრობლემებს, ხელშეკრულებით საქმიანობას, პროფესიული პრიორიტეტების და უმაღლესი საბიბლიოთეკო განათლების მიმართულებათა განსაზღვრას და სხვ.

ამ საქმის მოგვარება ხელს შეუწყობს საერთო ღონის ამაღლებას. საქმე იმაშია, რომ ღოკუმენტების მოწესრიგება თვითმიზანი კი არ არის, არამედ იგი ხელს უწყობს როგორც სპეციალისტთა და მკვლევართა საქმიანობის ღონის ამაღლებას, ისე პრაქტიკული მოღვაწეობის გაუმჯობესებას.

ისმის კითხვა: ვის უნდა დაეკისროს ამ საქმის მოგვარება, მისი გაძღოლა და წარმართვა? ამჟამად ეს საქმე ცალკეულ პირთა ინიციატივაზეა დამოკიდებული ან, საუკეთესო შემთხვევაში, ამაზე ეროვნულ ბიბლიოთეკასთან არსებული საკოორდინაციო საბჭო მრუნავს, მაგრამ მისი ცდები ჯერჯერობით ნაყოფიერი ვერ არის. იგივე ითქმის საბიბლიოთეკო ასოციაციასა და ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ცენტრის შესახებ. მაგრამ ამ ორგანოებს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება არა აქვს. მათი მოღვაწეობაც ამ მიმართულებით არ არის

მიზანმიმართულად ორგანიზებული. როგორც ცნობილია, საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის მართვა კანონით დაკისრებული აქვს საქართველოს კულტურის სამინისტროს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად. მათ ევალებათ საბიბლიოთეკო საქმის კოორდინაცია, და სწორედ ისინი არიან მოწოდებულნი ყველა საჭირო ღოკუმენტის შექმნასა და მათ ცხოვრებაში გაგარებაზე იმრუნონ, უმრუნველყონ ეს საქმე ფინანსურად თუ ორგანიზაციულად, მოცემულ ეტაპზე საქმიანობა საკმაოდ პასიურად მიმდინარეობს. საჭიროა მეტი აქტივობის გამოჩენა.

პრაქტიკულად ამ საკითხის გადაწყვეტა საკმაოდ რთულია, რადგანაც ის სხვადასხვა სპეციალისტთა ერთობლივ, კოორდინირებულ მოქმედებას მოითხოვს. უმოკლეს ვადაში უნდა შეიქმნას ყველა საჭირო ღოკუმენტი. ჩვენს მიერ ამ ღოკუმენტების კლასიფიცირება შეიძლება სრული არ იყოს და იგი სხვა სქემით მოხდეს, მაგრამ მას პრაქტიკული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. სრულყოფილი ბაზა ღოკუმენტებისა მათგანიზებულ როლს ასრულებს. საქმე იმაშია, რომ ბევრ შემთხვევაში ამა თუ იმ ღოკუმენტის შედგენისას ხდება ამოცანების, დანიშნულების, დებულების, პროცესების, გადაწყვეტილებების არასწორად გააზრება და განსაზღვრა; ადგილი აქვს პარალელებს, გამეორებებს, ერთი ღოკუმენტის განსახილველი ობიექტის მეორე სახის ღოკუმენტში შეტანას, როცა, მაგალითად, კანონში იჭრება ინსტრუქციის ელემენტები, ინსტრუქციებში დებულების ელემენტები და ა.შ. ამგვარი რამ უცხო არ არის სხვადასხვა ქვეყნების ღოკუმენტებისათვისაც, რომლებსაც ჩვენ ვიცნობთ. ამის გამო, აღრევათა თავიდან აცილების მიზნით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ღოკუმენტთა სრულყოფილ კლასიფიკაციას.

დადგა დრო, სერიოზულად ვიმრუნოთ ღოკუმენტების საბოლოოდ მოწესრიგებისათვის, რისთვისაც მოხმობილ უნდა იქნეს სპეციალისტთა ძალისხმევა, შესაბამისი დაწესებულების დასახმარებლად მოწვევა. ჩვენ მოგუწოდებთ ყველას, აქტიურად ითანამშრომლონ საბიბლიოთეკო საქმის ღოკუმენტაციის შედგენასა და სრულყოფის საქმეში. რედაქცია მზადაა მიიღოს და გამოაქვეყნოს ყველა შენიშვნა და მოსაზრება, რომელსაც მას მიაწვდიან.

გურამ თაყნიაშვილი

საქართველოს საბიბლიოთეკო კანონმდებლობა თანამედროვე ეტაპზე

საქართველოს საბიბლიოთეკო საქმეს გააჩნია იურიდიული საფუძვლები, ურომლისოდაც, ცხადია, შეუძლებელია ამ დარგის რეგულირება და ბიბლიოთეკების საქმის წარმართვა თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაბამისად. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველივე დღეებიდან ცხადი გახდა ამ სფეროში საკანონმდებლო ბაზის შექმნის აუცილებლობა. საბჭოური დებულებები, ინსტრუქციები თუ სხვა სახის მარეგლამენტირებელი დოკუმენტაცია ვეღარ პასუხობდა ჩვენს სინამდვილეს, თავისთავად საქართველოში საბიბლიოთეკო საქმემ 1991-2002 წწ განიცადა ძირეული გრანსფორმაცია, რაც გამოწვეული იყო ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ვითარებით; ბიბლიოთეკები აღმოჩნდნენ გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელ რთულ ვითარებაში, სადაც გადამწყვეტი აღმოჩნდა ამ დაწესებულებების ფიზიკურა გადარჩენის საკითხი.

გარდამავალი პერიოდში საქართველოს საბიბლიოთეკო საქმისათვის ნიშანდობლივია შემდეგი ხასიათის ცვლილებები და დამახასიათებელი ნიშნები:

- 1) დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან პირველი შვიდი თუ რვა წელი კულტურის ამ სფეროს არ გააჩნდა საკანონმდებლო ბაზა; ცხადია, ასეთ ვითარებაში ბიბლიოთეკების მართვა და საერთოდ დარგის ხელმძღვანელობა მოკლებული იყო ნორმატიული თუ იურიდიული ხასიათის მასალებს, რაც იწვევდა არა უბრალოდ გაუგებრობას, არამედ ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებსაც პირდაპირ მიანი მოჰქონდა საბიბლიოთეკო საქმისათვის.
- 2) შეიცვალა სახელმწიფოებრივი მიდგომა ბიბლიოთეკებისადმი. ბიბლიოთეკების დაფინანსების დეცენტრალიზაციამ გამოიწვია ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების თვითნებობა, რამაც ბევრ რეგიონში მკვეთრად შეამცირა ბიბლიოთეკების რაოდენობა.
- 3) საბიბლიოთეკო საქმის სუსტი საკანონმდებლო ბაზის გამო ბიბლიოთეკების დახურვა,

შემცირება თუ გამსხვილება მიმდინარეობდა მოსახლეობის ინტერესების სამიანოდ, ყოველგვარი სოციალური სტანდარტების მოთხოვნილებათა შეუსაბამოდ.

4) რადიკალურად შეიცვალა ბიბლიოთეკების დაკომპლექტების პოლიტიკა. ბიბლიოთეკების დაფინანსების დეცენტრალიზაციამ საქართველოს უმეტეს რეგიონებში ბიბლიოთეკები დატოვა დაკომპლექტების თანხების გარეშე. ბიბლიოთეკების აბსოლიუტურ უმრავლესობაში აღარ შედის ახლადგამოცემული ლიტერატურა, რის გამოც ბიბლიოთეკები თანდათან ჰკარგავენ თავიანთ საინფორმაციო ფუნქციებს;

5) 1996 და 1997 წწ. საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ორივე კანონი: “საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ” და “საქართველოს კანონი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ” დღეისათვის საჭიროებს მნიშვნელოვან ცვლილებებს, შევსებასა და კორექტირებას.

6) საბაზრო ეკონომიკის პირობებში არსებული ბიბლიოთეკები მძიმე ეკონომიკური პირობების გამო იძულებულნი არიან მიმართონ კანონით დაშვებულ ფასიანი მომსახურების ფორმებს, თუმცა ეს უკანასკნელი იურიდიული თვალსაზრისით ნაკლებად არის გამაგრებული;

7) ქართულ საბიბლიოთეკო პოლიტიკაში უკანასკნელ პერიოდში გარკვეულ როლს თამაშობს არასამთავრობო ორგანიზაციები, ასოციაციები; ისინი უკვე გამოჩნდნენ საბიბლიოთეკო ასპარეზზე, როგორც ბიბლიოთეკების ინტერესების დამცველნი და საქმით დაადასტურეს მისი სინამდვილე და პერსპექტივა.

8) საბიბლიოთეკო სფერო თანდათანობით მოიცვა თანამედროვე ტექნოლოგიებმა. კომპიუტერიზაცია ბიბლიოთეკებში დაიწყო თბილისიდან, და თანდათანობით ვრცელდება რეგიონებში; ეს საშუალებას აძლევს მკითხველს ფართოდ გამოიყენოს საბიბლიოთეკო დოკუმენტები, მიუხედავად მათი ადგილმდებარეობისა;

9) თანამედროვე საბიბლიოთეკო პოლი-

ტიკაში არც თუ ნაკლებ როლს ასრულებს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან არსებული საკოორდინაციო საბჭო; იგი სათათბირო ორგანოა; მისმა მუშაობამ ხელი შეუწყო საბიბლიოთეკო რესურსებისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების კოორდინაციასა და კოოპერირებას; სწორედ საკოორდინაციო საბჭოს ძალებით მიმდინარეობს ქართული საბიბლიოთეკო კანონმდებლობის სრულყოფის სამუშაოები, რომელიც უახლოეს მომავალში რეალური შედეგებით უნდა დასრულდეს;

10) საბიბლიოთეკო კანონმდებლობაში თავისი როლი უნდა შეასრულოს თბილისში მოქმედმა საერთაშორისო ფონდმა; ამ ფონდებმა და უპირველეს ყოვლისა, ფონდმა “ღია სამოგადოება – საქართველო”, თვასაჩინო როლი შეასრულა და ასრულებს საქართველოს ბიბლიოთეკების ეკონომიკურ ცხოვრებაში, მათი ფონდების შევსებისა და მკითხველთან მუშაობის ახალი ფორმების ძიება-დანერგვის საქმეში.

ასეთია დაახლოებით, ჩვენის ამრით, მდგომარეობა და სიტუაცია საქართველოს საბიბლიოთეკო კანონმდებლობაში; პირველი რიგის ამოცანად გვესახება პირველ კანონში (1996) აუცილებელი ცვლილებებისა და დამატებების შემუშავება. დამატებების შემუშავებაში გათვალისწინებული უნდა იქნეს ევროპის საბჭოს კულტურის კომიტეტის 1999 წლის 12-14 ოქტომბერს მიღებული რეკომენდაციები. 1996 წელს მიღებული კანონის ზოგად ნაწილებში (თავი 1) საჭიროა განიმარტოს კანონში გამოყენებული ძირითადი ცნებები, აქვე უნდა განმარტებულ იქნეს ბიბლიოთეკის ძირითადი სახეები, რადგან ბოლო პერიოდში დაარსდა ისეთი სახის ბიბლიოთეკები, რომლებიც არ იყო კანონის მიღების პერიოდში, მაგალითად კერძო ბიბლიოთეკები, სამოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ასოციაციებთან არსებული ბიბლიოთეკები და სხვ.

კანონში ცალკე მუხლის სახით უნდა გამოიყოს მკითხველთა განსაკუთრებული ჯგუფების მომსახურების შესახებ (ინვალიდები, ეროვნული უმცირესობები და სხვ.); მნიშვნელოვან დამატებებს საჭიროებს მუხლი 9 – ბიბლიოთეკების უფლებები; ასევე განვრცობასა და დამატებებს მოითხოვს კანონის ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია საბიბლიოთეკო დარგის ეკონომიკურ რეგულირებაზე (მუხლი 24). ამ ნაწილში გარკვევით და მკვეთრად უნდა ჩამოყალიბდეს ადგი-

ლობრივი ხელისუფლების მოვალეობები რეგიონალური ბიბლიოთეკების მიმართ. სუსტია კანონის ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია სახელმწიფოს უფლებებსა და მოვალეობებზე მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების კოორდინაციული უზრუნველყოფისა და საბიბლიოთეკო რესურსების კოოპერირების შესახებ.

საბიბლიოთეკო კანონმდებლობა სრულყოფილ სახეს ვერ მიიღებს და თავისთავად კანონი ვერ იმუშავებს, თუ არ იქნა შემუშავებული კანონქვემდებარე აქტები, ის მარეგლამენტირებული დოკუმენტაცია, რომელიც აუცილებელია ბიბლიოთეკების ფუნქციონირებისათვის. კანონიდან გამომდინარე, პირველ რიგში აუცილებელია საჯარო ბიბლიოთეკების სტანდარტის შემუშავება, სადაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს საჯარო ბიბლიოთეკების გახსნისა და ფუნქციონირების პარამეტრები, ძირითადი პრინციპები და მოვალეობები;

ბიბლიოთეკებისათვის ასევე აუცილებელია გიპიური დებულების შემუშავება, რაც სახელმძღვანელოდ უნდა იქცეს ამ გიპის ბიბლიოთეკების დებულებების შემუშავებისათვის (საქალაქო, სასოფლო-ფილიალი, ცენტრალური, ახალგაზრდობის და სხვ.);

კანონქვემდებარე აქტებიდან პირველ რიგში ასევე საჭიროა დამუშავდეს ფონდებთან მუშაობის ინსტრუქციები; თანამდებობრივი ინსტრუქციებიდან ასევე გადაუდებელია ცენტრალური ბიბლიოთეკების (საბიბლიოთეკო გაერთიანებების) დირექტორების თანამდებობრივი ინსტრუქციის შემუშავება; აქ უნდა აღინიშნოს, რომ, ჩვენის ამრით, ერთობ გართულებულია კანონქვემდებარე აქტების დამტკიცების პროცედურა: ყველა სახის კანონქვემდებარე აქტი უნდა დაამტკიცოს იუსტიციის სამინისტრომ. ცოგა უნდა გამარტივდეს ეს საქმე; ამჟამად კულტურის სამინისტროსა და ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ შემუშავებულია რამოდენიმე ინსტრუქცია და დებულება, რომელიც ელოდება დამტკიცებას; საქართველოს საბიბლიოთეკო კანონის თანახმად საბიბლიოთეკო პოლიტიკას საქართველოში წარმართავს საქართველოს კულტურის სამინისტრო საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად. აქედან გამომდინარე საჭირო იქნება ზოგიერთი კანონქვემდებარე აქტის დამტკიცება შეეძლოს სწორედ ამ ორ ორგანიზაციას; ფაქტიურად კანონქვემდებარე აქტე-

ბის უმრავლესობა იქმნება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

ცალკე უნდა აღინიშნოს სავალდებულო ცალკების კანონის შექმნის აუცილებლობის შესახებ, ასეთი კანონი არ გვაქვს მიღებული, ხოლო 1993 წლის მთავრობის დადგენილება ძალიან სუსტად მუშაობს;

საქართველოში საბიბლიოთეკო კანონ-

მდებლობის სრულყოფისათვის აუცილებელია შეიქმნას საბიბლიოთეკო დარგისა და იურისტების სპეციალისტებისაგან შემდგარი მუშაჯგუფი, რომელიც ოპერატიულად შეიმუშავებს ცვლილებებს, დამატებებს, და ახალ კანონს. ეს საქმე დროზე უნდა დაიდრას ადგილიდან; უამისოდ ბევრი რამ აკლია ქართულ საბიბლიოთეკო საქმეს.

ჩვენი ბიბლიოთეკები

ზუგდიდის მთავარი ბიბლიოთეკა



მანანა გვარაჯია

ზუგდიდის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორის მოადგილე საზოგადოებასთან ურთიერთობის დარგში


ზუგდიდში საბიბლიოთეკო საქმის ისტორია 100 წელზე მეტს ითვლის. პირველი ბიბლიოთეკა ზუგდიდში 1887 წელს გაიხსნა “საძმო-სამხანაგო ქართული წიგნთსაცავის სახით”, რომლის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა გაზეთ “ივერიაში” 1888 წლის 12 იანვარს.

1912 წელს ზუგდიდში აუშენებიათ სპეციალური (ქვის) შენობა ბიბლიოთეკისათვის, მოუწვევიათ აუკვი წერეთელი, რომლის პატივსაცემად ბიბლიოთეკას აუკვი წერეთლის სახელი მიანიჭეს, ეს ბიბლიოთეკა გახდა შემდგომში რაიონის ცენტრალური ბიბლიოთეკა.

1990 წელს მოხდა ქალაქ ზუგდიდის და ბიბლიოთეკის რაიონის გაერთიანება, რამაც გამოიწვია საკმაოდ კარგი გრადიციების მქონე ცენტრალური სარაიონო და ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკების გაერთიანებაც. მათ ერთობლიობას წარმოადგენს დღეს ზუგდიდის საბიბლიოთეკო გაერთიანების მთავარი ბიბლიოთეკა, 39 ფილიალით (დირექტორი ციალა ფაცაცია). ბოლო

ათი წლის განმავლობაში ამ გაერთიანებამ გაიზარა უმძიმესი პერიოდი, საკუთარ თავზე გამოცადა სამოქალაქო ომის სიძნელებები, მუშაობა უწევს აფხაზეთის კომფლიქტური ზონის სამღვრისპირა ქალაქში. მიუხედავად ამისა, მთავარი ბიბლიოთეკის კოლექტივმა უმძიმეს პირობებში შეინარჩუნა წიგნადი ფონდი და დღეს ეს კოლექტივი აქტიურად მუშაობს.

მოსახლეობაში ინფორმაციის გავრცელების სრულყოფის მიზნით, ბიბლიოთეკაში ბევრი სიახლე დაინერგა, კერძოდ, შეიქმნა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, უცხოური ლიგერაგურის, რელიგიის ისტორიისა და კულტურის, ბიზნესისა და სამართლის განყოფილებები. სასიამოვნო ფაქტია ის, რომ ბიბლიოთეკა ჩაერთო ახალი ტექნოლოგიების ქსელში, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის დირექტორს, ქალბატონ ციალა ფაცაციას, შეიქმნა ავტომატიზაციის განყოფილება, რომელმაც საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პროექტით “საქართველოს საბიბლიოთეკო ქსელის განვითარება”, მიიღო სამი კომპიუტერი, ასევე საქართველოს ბიბლიოთეკების ავტომატიზაციის ასოციაციამ პროექტით “რეგიონალური ბიბლიოთეკების ინფორმატიზაცია” გადასცა კომპიუტერი, ქსეროქსი, გენერატორი. უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ავტომატიზაციის განყოფილება ინტენსიურად მუშაობს, მიმდინარეობს საბარათო



სისტემის ელექტრონულ კატალოგში გადაყვანა, ამ მოვალეობას ასრულებს ავტომატიზაციის განყოფილების გამგე პაპუნა ხუბულავა, რომელიც ასევე აქტიურად მონაწილეობს თანამშრომლების მომზადებაში. ამერიკის საელჩოს მიერ გახსნილ იქნა ინგლისური ენის მეთოდური კაბინეტი, რომელიც ასევე აღჭურვილია უახლესი კომპიუტერული ტექნიკით, წიგნებით, აუდიო-ვიდეო კასეტებით. მეთოდური კაბინეტი წარმატებით მუშაობს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ბუგდიდის მთავარ ბიბლიოთეკას აქვს მასობრივი ღონისძიებების ჩატარების მაღალი კულტურა. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ბიბლიოთეკა გახდეს სამოგადოებრივი თავშეყრის ადგილი. სისტემატიურად ტარდება შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან, ახალი წიგნების პრეზენტაციები, დაიწყო ქართველ წმინდანთა ცხოვრების ამსახველი ღონისძიებების ციკლი. ამ ციკლით ჩატარდა საქართველოს წამებული პაგრიარქის ამროსი ხელაიას, თამარ მეფის საღამოები. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ საქართველოში პირველად ბუგდიდის მთავარ ბიბლიოთეკაში ჩატარდა პაგრიარქის – ამროსი ხელაიას საღამო, მას დიდი გამოხმაურება ჰქონდა. ღონისძიებას ესწრებოდნენ სტუმრები სხვადასხვა ეპარქიებიდან. ეს იყო საოცარი საღამო, თითქოს დარბაზში პაგრიარქის სული გრიალებდა. ამ ღონისძიების შესახებ ინფორმაცია დაიბეჭდა გაზეთ “საპაგრიარქოს უწყებანში”.

ჩატარებული მასობრივი ღონისძიებების გამო არა ერთ გზის მიუღია მადლობა ბიბლიოთეკის კოლექტივს ქალაქის ინგელიგენციისაგან. მათი ამრით, ქალაქში, სადაც არ ფუნქციონირებს თეატრი, დამწვარია კინო-თეატრი, ბიბლიოთე-

კა არის ერთადერთი კულტურული ცენტრი, სადაც ინგელიგენცია, ახალგაზრდობა იკრიბება და ამ გაუსაძლისი ყოფის პირობებში სულის საზრდოს იღებს.

მიმდინარე წელს “ღია სამოგადოება საქართველოს” დაფინანსებით ბიბლიოთეკამ განახორციელა პროექტი “სპეციალისტთა საინფორმაციო მომსახურების გაუმჯობესება ბუგდიდის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში”. გრანტით ოთხი სხვადასხვა ჯგუფისათვის: იურისტების, ეკონომისტების, ბიბლიოთეკარების, საკრებულოს მუშაკებისათვის ჩატარდა სემინარები. ამ გრანტით ბიბლიოთეკამ მიიღო ტექნიკური აღჭურვილობა: ტელევიზორი, ფაქსი, უახლესი სახელმძღვანელოები ეკონომიკისა და სამართლის დარგში.

ბიბლიოთეკა სამოგადოებას სისტემატიურად აწვდის ინფორმაციას ახალშემოსულ ლიტერატურაზე: გამოსცემს საინფორმაციო ბიულეტენს “ბიბლიოთეკის მაცნე”.

ბუგდიდის მთავარი ბიბლიოთეკის კოლექტივი უამრავი პრობლემის ფონზე ერთუბიანებით აგრძელებს მუშაობას. თუმცა გულისკვივლს გამოვთქვამთ, რომ საბიბლიოთეკო საქმე ჯეროვნად არ არის დაფასებული, მას მეტი მზრუნვა და ყურადღება სჭირდება. იმ პრობლემის გამო, რომელიც არსებობს ბუგდიდის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში, კოლექტივმა წერილობითი თხოვნით მიმართა საქართველოს პარლამენტის თავჯდომარეს ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს ბუგდიდში ვიზიტის დროს.

ბიბლიოთეკის მუშაკებს იმედი რჩებათ, რომ საქართველოს სამოგადოებრიობა ისევე იმზრუნებს ბიბლიოთეკის კეთილდღეობისათვის, როგორც მზრუნავდნენ ჩვენი დიდი წინაპრები.

ქ. ფოთის ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკა

ქართული
ბიბლიოთეკა

თინა სალავია

ფოთის ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკის მეთოდურ - ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგე

ფოთის ცენტრალურ საქალაქო ბიბლიოთეკას საკმაოდ დიდი ხნის და საინტერესო ისტორია აქვს. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო ფოთში აღორძინება და დასახლება.

როგორც ცნობილია, 1858 წელს გამოიცა სენატის ბრძანებულება “სანავსადგურო ქ. ფოთის დასახლებისა და მართვის შესახებ”, რომელშიც ნათქვამი იყო: “ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარების მიზნით, საჭიროდ იქნა ცნობილი მდ. რიონის ნაპირზე, იქ სადაც იგი უერთდება შავ ზღვას, სანავსადგურო ქალაქად ფოთის დამტკიცება და მასზედ გარკვეული შეღავათების მიცემა”.

ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას და მოსახლეობის მზრდამ, პრაქტიკულად დააყენა საკითხი ქალაქში ბიბლიოთეკების დაარსების შესახებ.

მე-19 საუკუნის 80-იან წლებში საკითხი დაისვა ფოთში წიგნის მალაზიისა და ბიბლიოთეკების გახსნის შესახებ, რაც უსახსრობის გამო ვერ განხორციელდა.

1885 წელს, ნორაკიდის ინიციატივით და ძალისხმევით, გაიხსნა პირველი ბიბლიოთეკა-სამკითხველო. 1891 წელს კ. ნოდია, ხოლო, 1897 წელს ა. ხოშგარია და გ. საბახგარაშვილი ხსნიან ფასიან ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს, რაც ქალაქის მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი არ იყო. მუდმივ მკითხველად ითვლებოდა 3-4 კაცი, გადასახადი კი მკითხველებზე 25 კაპიკი იყო.

ბიბლიოთეკის ხელისუფლებაზე გადაცემის შემდეგ დაიწყო ცდა, როგორმე ქალაქში, რომლისთვისაც ბრძოლა 1895 წლიდან 1908 წლამდე გაგრძელდა, აგებულიყო ბიბლიოთეკის შენობა.

1899 წლის 14 იანვარს დიდი ცდის შემდეგ ქ. ფოთში გახსნილა წიგნსაცავ-სამკითხველო. ადგილობრივ მოხელეთა და აუარებული

ხალხის თანდასწრებით, ყოვლად სამღვდელო ალექსანდრემ აკურთხა წიგნსაცავ-სამკითხველო და მას 100 მანეთი შესწირა.

ქალაქის ღუმას 1893 წლის 25 თებერვლის სხდომაზე განუხილავს წიგნის გამყიდველის ვ. ი. ნოდის თხოვნა, მისთვის ბალის გერიგორიაზე წიგნის მალაზიისა და ბიბლიოთეკის შენობის ასაგებად 5-ნახევარი საყენი მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ. აგრეთვე წიგნის, საკანცელარო მოწყობილობების, გამეთების და ჟურნალების წასაკითხი პავილიონის ასაგებად.

1909 წელს ნ. ნიკოლაძის ინიციატივით აგებულ შენობაში გაიხსნა საჯარო ბიბლიოთეკა (ახლანდელი საბავშვო ბიბლიოთეკის შენობა).

აქვე ჩამოყალიბდა წიგნის კითხვის გამავრცელებელი სამოგადოება. სამოგადოებასთან კი - სახალხო უნივერსიტეტი.

ამავე პერიოდში არსებობს წიგნის გამოცემული “ქართველთა ამხანაგობა”, რომლის დანიშნულება იყო წიგნის გამოცემა და გავრცელება.

ამ ამხანაგობას ფოთში ჰყავდა თავისი წარმომადგენლობა.

1921 წელს საქართველოს კპ ცკ-მა მიიღო დადგენილება “ბიბლიოთეკების, სამკითხველოების, წიგნებისა და საწერი ქალაქის, მალაზიების ნაციონალიზაციის შესახებ”. 1929-34 წლებში მიღებულ იქნა აგრეთვე პარტიის საგანგებო დადგენილება “საბიბლიოთეკო საქმის გაუმჯობესების შესახებ”.

დადგენილების შესაბამისად ქ. ფოთში შეიქმნა კულტურის განყოფილება, რომელსაც დაუქვემდებარეს კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებები, მათ შორის ბიბლიოთეკებიც.

50-იან წლებიდან საბიბლიოთეკო საქმე მსწრაფად იწყო განვითარება, რასაც ხელი შეუწყო საკავშირო კპ ცკ-ს 1959 წლის დადგენილებამ “საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების შესახებ”. ფოთში ფართოვდება საქალაქო ბიბლიოთეკების ქსელი.

ცენტრალური ბიბლიოთეკა მდებარეობს წმ. ნინოს ქუჩის მე-6 ნომერში. უჭირავს 3170 კვ.მ. ფართობი, არის თეთრი, ქათქათა, 2 სარ-

თულიანი შენობა, რომელიც უაღრესად სასიამოვნო შთაბეჭდილებას გოვებს. გარეგნულად მშვენიერ ფსიქოლოგიურ გარემოს ჰქმნის.

სისუფთავე, სიწყნარე, ნათელი ინტერიერი, ლამაზი გაფორმება, ახალი ავეჯი, პერსონალის თავაზიანობა, გულისყური სრულყოფილ პირობებს ქმნის წიგნზე მუშაობისათვის.

აქ მომსახურების სასურველი აგმოსფეროა, მაგრამ ძნელად მიდის საქმე თანამედროვე ტექნიკის დანერგვის მხრივ.

კულტურის სფეროში მიმდინარე რეფორმამ, გარდაუვალი გახდა ქალაქის ბიბლიოთეკების რეორგანიზაცია, სისტემაში არსებულ 200000-მდე წიგნად ფონდს გაუკეთდა რეკლასიფიკაცია, რეინვენტარიზაცია, რეკაგალოგიზაცია და აფასება ლარებში, რაც ძალიან დიდ სამუშაოს მოითხოვდა.

ჩვენი თანამშრომლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ რთულ საქმეს დაბალი ხელფასის საზღაურად კარგად გაართვეს თავი.

გამოვლინდა და გაირიცხა პოლიტიკურად და შინაარსობრივად აქტუალობადაკარგული წიგნები.

საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის ნაცვლად, წიგნადი ფონდი თაროებზე ათწილადი კლასიფიკაციის სისტემით განვალაგეთ.

არსებულ ლიგერაგურაზე შევადგინეთ ახალი საინვენტარო წიგნები, ახალ სისტემასა და ლარებზე გადაყვანით.

ამჟამად ბიბლიოთეკა მუშაობს ანბანური და სისტემატური კატალოგების, სარედაქციო სამუშაოების ჩასატარებლად. 1998-99 წლებში გამსხვილდა 4 ბიბლიოთეკა-ფილიალი, ეს მაშინ, როცა ქალაქის წმინდა მოსახლეობა 50000-ს აღემატება.

შ. რუსთაველის სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 61812 ეგზემპლიარია, აქ მომუშავე 13 თანამშრომელი, სპეციალობით ყველა ბიბლიოთეკათმცოდნე, ყველა ახალგაზრდაა, რაც საკმაოდ დიდი ძალაა იმისათვის, რომ მკითხველს მაღალ დონეზე მოემსახურონ.

რეორგანიზაციის შემდეგ ცხ-ში ფუნქციონირებს 4 განყოფილება:

1. მკითხველთა მომსახურების, 2. დამუშავების, 3. მეთოდურ-ბიბლიოგრაფიული, 4. ფონდის დაცვის.

რეორგანიზაციის შემდეგ შეიქმნა 3 დიდი ბიბლიოთეკა:

1. ნ. ნიკოლაძის სახ. ცენტრალური საბავშვო ბიბლიოთეკა;

2. ა. მოწერელიას სახ. სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა;

3. ნ. გუჯაბიძის სახ. ახალგაზრდული საქალაქო ბიბლიოთეკა

სისტემაში ნელი ტემპით, მაგრამ მაინც, იკიდებს ფეხს კომპიუტერული ტექნიკა, რაც საშუალებას აძლევს ქვეყნის ბიბლიოთეკებს, ინფორმაციის საერთაშორისო გაცვლით, მიიღონ საჭირო და აუცილებელი მონაცემები.

კომპიუტერიზაციის საკითხში ცენტრალურ ბიბლიოთეკას, სხვადასხვა ფონდები და ორგანიზაციები ეხმარებიან. რ. ტყემალაძის ხელშეწყობით ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიხსნა უცხო ენების ცენტრი.

ასოციაციამ ბიბლიოთეკას უსასყიდლოდ გადასცა 384 ეგზ. წიგნი. აუდიო და ვიდეო მასალები.

კომპიუტერული სისტემით ბიბლიოთეკები უზრუნველყო აშშ-ის საელჩოს მიერ დაფინანსებული განვითარების პროექტმა.

ფონდი “ღია სამოგადოება – საქართველოს” დახმარებით ბიბლიოთეკამ მიიღო გენერატორი. მიღებულია 4 კომპიუტერი, ველთ კიდეც 3-ს, რომელიც განთავსდება სპეციალურად მათთვის გამოყოფილ გარემონტებულ ოთახებში.

ბიბლიოთეკის რამდენიმე თანამშრომელი უკვე სპეციალურ მომზადებას გადის ახალ სისტემაში სამუშაოდ.

ამ სასიკეთო ძვრებთან ერთად, ბიბლიოთეკას ბევრი პრობლემაც აქვს.

ხშირია შემთხვევა, როცა უსახსრობის გამო, ამა თუ იმ ახალ გამოცემას ბიბლიოთეკა სულაც ვერ იძენს ან მხოლოდ ერთი ცალის შეძენას ახერხებს. ამის გამო ბიბლიოთეკა-ფილიალებში ახალი წიგნი ნაკლებად აღწევს.

ამრიგად, ცენტრალური ბიბლიოთეკა და მისი ფილიალები ახალ სემონს, მართალია, განახლებულად, მაგრამ მაინც მოუგვარებელი პრობლემებით შეხვდნენ.

ფოთში 11 ბიბლიოთეკის ნაცვლად ალბათ მხოლოდ 5 დარჩება, რომლებიც სრულიად დააკმაყოფილებს ქალაქის მკითხველთა მოთხოვნილებებს.

ფოთის საბიბლიოთეკო სისტემაში სიახლეები ძალიან მოკრძალებულად ინერგება, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ სახეზე გვაქვს ერთგვარი პროგრესი.

რამდენადაც საქალაქო ბიბლიოთეკა

წარმოადგენს სისტემის ცენტრს, საგულისხმოა ის, თუ რა ვითარებაა მისი ხელმძღვანელობით არსებულ სისტემაში. აქაური მონაცემები ფაქტობრივად თვით ცენტრალური ბიბლიოთეკის მუშაობის ხარისხზე მეტყველებს. ამ თვალსაზრისით, მთავარია ის, თუ როგორ არის ორგანიზებული მომსახურება სისტემაში.

სისტემაში სულ 194825 ეგვ. წიგნია, მკითხველთა რაოდენობა კი 5750, გამოწერილია 35 დასახელების ჟურნალ-გამეფი.

სისტემაში გარდება ბევრი საინტერესო ღონისძიება. დიდი ინტერესი გამოიწვია ქრისტიანობის 2000 და საქართველოში სახელმწიფოებრიობის 3000 წლისადმი მიძღვნილმა ლიტერატურულმა საღამომ “იმედი ჩემი, ძალა ჩემი და რწმენა ჩემი”. მოეწყო ამ თემის ამსახველი ლიტერატურის გამოფენა.

ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ყოველი თვის 1-ლ ოთხშაბათს გარდება ბიბლიური გაკვეთილი, რომელსაც მამა გრიგოლი აგარებს.

მაღალ დონეზე ჩაგარდა საიუბილეო საღამო გ. ლეონიძის 100 წლისთავთან დაკავშირებით: “მშობლიურ მიწაში მიდგას ფესვები”.

საინტერესო იყო ლიტერატურული საღამო ღვევით: “დაილოცოს სიკვება შენი, სამეგრელოვ”; მკითხველთა კონფერენცია თემაზე: “დრო, წიგნი, მკითხველი”; თეორიული კონფერენცია: “მშვიდობით მე-20 საუკუნე, გამარჯობა 21-ე საუკუნე”.

გარდება შეხვედრები, მხატვრული საღამოები, წიგნის პრეზენტაცია, პოეზიის საღამო “ლექსო, ნუ დაიკარგები”, ყოველი ღონისძიება და შეხვედრა თინეიჯერებთან მეტად საინტერესოა.

რასაც ჩვენ ვაგარებთ, საკმარისი არ არის, ისევე, როგორც არ კმარა ის ინფორმაცია და მეთოდური დახმარება, რომელსაც ჩვენ ვღებულობთ ცენტრიდან.

საინტერესოა ჩვენთვის, თუ რა მიმართულებით უნდა მოხდეს ბიბლიოთეკების განვითარება, როგორი უნდა იყოს საბიბლიოთეკო პროცესები, დაგეგმვა, აღრიცხვა და ანგარიშგება, როგორ უნდა შეიცვალოს ბიბლიოთეკის სტრუქტურა, რა სიახლეები იქნება მკითხველთა მომსახურებაში.

1951 წლიდან 1992 წლამდე ფოთის ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის ღირეფ-

გორად მუშაობდა ნ. გუჯაბიძე, რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარი. დიდი პროფესიონალი, უღალატო, თავდადებული, შრომისმოყვარე, გულისხმიერი, თავმდაბალი, დახვეწილი გემოვნების პიროვნება, დღეს № 6 ახალგაზრდობის საქალაქო ბიბლიოთეკა მის სახელს აგარებს.

1992 წლის დეკემბრიდან კი ფოთის ცენტრალური ბიბლიოთეკის ღირეფგორია ნ. ჭელიძე – ქალი, სპეციალური განათლებით, ერუდირებული, კარგად ესმის საბიბლიოთეკო საქმე, მართავს ბიბლიოთეკას დემოკრატიულად, აქვს საქმისადმი სწორი მიდგომის ნიჭი, უყვარს თანამშრომლები და მათთვის დახმარების გაწევა. მისთვის ცნობილია პრაქტიკული და თეორიული საკითხები.

ფოთის ცენტრალური ბიბლიოთეკა – ეს შესანიშნავად აწყობილი დაწესებულებაა, რომელიც მკითხველებს ხიბლავს არა მარტო წიგნადი ფონდის სიმრავლით, არამედ მუშაობით, სილამაზით, სისუფთავით, წესრიგით, გაფორმებით, ავეჯით, პერსონალის თავაზიანობით. აქ შესანიშნავი პირობებია წიგნზე მუშაობისათვის. აქ მომსახურებისთვის ფრიად სასურველი აგმოსფეროა: ნათელი, დიდი სამკითხველო დარბაზი, ახალი ავეჯი, სავსე საინფორმაციო საშუალებებით, მაგრამ ძნელად მიდის საქმე თანამედროვე ტექნიკის დანერგვისათვის.

წინ მეტად საინტერესო სამუშაო გველის, 2 დიდ ოთახს უკეთდება კაპიტალური რემონტი კომპიუტერებისათვის.

ძირითად შენობას უშენდება ახალი დიდი ოთახი შემცირებული ბიბლიოთეკების ფონდის საცავისათვის, რისთვისაც მერიის მიერ გამოიყო 15 ათასი ლარი.

გვიხარია, რომ კულტურის სფეროს დაწესებულებათა საყოველთაო გაჭირვების ფონზე, ჩვენი ქალაქის ბიბლიოთეკები ურიგოდ არ გამოიყურებიან.

კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა №-1,2,3,5,6 ბიბლიოთეკა-ფილიალებს, არას ვაზობთ ცენტრალურ ბიბლიოთეკაზე.

ვულოცავთ საბიბლიოთეკო დარგის ყველა მუშაქვს, პირველი ქართული ჟურნალის “საქართველოს ბიბლიოთეკის” გამოშვებას.

პროფესიული ჟურნალის დაარსება ჩვენი დარგისათვის უდიდესი მონაპოვარია.

დუშეთის რაიონის ბიბლიოთეკები

საბიბლიოთეკო

საქმეს დუშეთში XIX საუკუნის 80-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი.

1880 წელს მოწინავე სამოგადოებრიობის ძალისხმევით გაიხსნა “სახლი კითხვისა”. გაზეთ “დროებაში” ვკითხვობთ:

“ამ ერთი თვის წინათ შეიყარნენ, მოიგაერთიანებეს ღირექტორი და დააარსეს და გადაწყვიტეს გახსნან “სახლი კითხვისა”, დაწერეს უსტავი, წარადგინეს გუბერნატორთან, რომელმაც დაამტკიცა და დართო ნება. ამ უსტავით ყველას ნება აქვს, იყოს წევრად საკითხავისა, მხოლოდ უნდა აძლიოს წელიწადში 5 მანეთი და ვისაც სურს მეტიცა. ბევრმა მოაწერა ხელი და დაწყების დროსვე შეგროვდა 165 მანეთი. დაიბარეს სხვადასხვა გაზეთები და ჟურნალები. საკითხავი ღიაა ყოველდღე 4-საათიდან. საკითხავი გაიხსნა 1 აპრილს... ვერ წარმოიდგენ რა გვარის სიხარულით შემოუსხდნენ ყმაწვილები სკოლს”.

როგორც ჩანს, ახალ გახსნილ “საკითხავს” მხოლოდ ჟურნალ-გაზეთები ჰქონია. ამდენად, ის დუშეთის მოსახლეობის მოთხოვნილებას წიგნზე ვერ დააკმაყოფილებდა. ბიბლიოთეკის დაარსებისთვის დიდად მრუნავდა დუშეთის მკვიდრი, პირველი ქართველი ფოტოგრაფი და ეთნოგრაფი ალექსანდრე როინაშვილი. მან თავისი განმრავლა 1898 წელს განახორციელა. ამის შესახებ მისი ძმისშვილის, ვასო როინაშვილის მოგონებებში ვკითხულობთ: “1898 წელს ალექსანდრემ გადაწყვიტა, სისრულეში მოეყვანა, თავისი დიდი ოცნება: თავის სამშობლო დუშეთში გაეხსნა სამკითხველო; ამისათვის შეუკვეთა მაგიდები, სკამები, კარადები; შეიძინა საკმაო რაოდენობით ქართული და რუსული წიგნები და წინასწარ გამოგზავნა დასალაგებლად სამკითხველოსათვის გამოყოფილ ბინაში.

ნივთების გამოგზავნის მეორე დღეს მივიღე დეპეშა თბილისიდან, რომლითაც მაგყობინებდნენ, რომ ალექსანდრე უკანასკნელ დღეშია და წამოდიო. მაშინვე შევამბევი “ტროიკა” და გამოვეშურე. ბაზალეთის გზას რომ დაუპირისპირდი, კობიაანთ გემოთ შემხვდა ორი ფურგონი, დაგვირთული საბიბლიოთეკო ნივთებით. ვკითხე, როდის წამოხვედითქო – გუშინ შეაღდისასო. ბიძაჩემის ჯამრთელობა ვივითხე. მიპასუხეს თვითონ გვეხმარებოდაო დალაგებაში. სრულიად კარგად დავგოვეთ და შენთან დავგზავნა: ეხლავე დაალაგე სამკითხველოში”.

როგორც გამოირკვა, მათი წამოსვლიდან სამი საათის შემდეგ გარდაცვლილა. მისი უკანასკნელი სიტყვები ყოფილა “ნეტავი კაცმა იცოდეს, როდის მოვლდებაო”. ეს 1898 წლის 11-მაისს მოხდა, ხოლო იმავე წლის ნოემბრის “ივერიაში” ვკითხულობთ: “დიდი ხნის ნაგვრა-სურვილები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსებისა, 6-ნომბერს აგვისრულდა დუშეთს. განსვენებული ქველმოქმედის, როინაშვილის მიერ დაარსებული ბიბლიოთეკა ამ დღეს აკურთხეს და დაიწყო მოქმედება. კურთხევას დაესწრო მრავალი ხალხი, რომელსაც ადგილობრივმა მღვდელმა მეგრეველმა დროისა და შემთხვევის შესაფერისი სიგყვით მიმართა და აუხსნა მნიშვნელობა ბიბლიოთეკისა და ქველმოქმედებისა. შემდეგ გადახდილი იქნა სამკითხველოს დამაარსებლის, როინაშვილის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბიბლიოთეკა მცირე სარგებლობას არ მოუტანს დუშეთის საზოგადოებას, რომელიც აქამომდე მოკლებული იყო რიგიანსა და ამრიგად გასართობს, თუ მხედველობაში არ ვიქონიებთ ადგილობრივ კლუბს, რომელმაც თქვენი ჭირი წაიღო და ასეც რომ არ ყოფილიყო, ის მაინც სამკითხველოს მაგივრობას ვერ გასწევდა. ბიბლიოთეკა-სამკითხველო, ქალაქის თვითმართველობისაგან უსასყიდლოდ გადაცემულ ორ ოთახშია მოთავსებული და წესდების ძალით, ამავე თვითმართველობას აქვს დავალებული, ბიბლიოთეკის საქმეთა მართვა-გამგეობა. სახლის გარდა თვითმართველობა შეჰპირდა, წელიწადში ათას თუმანს, სახლის



ლევია ახალაშვილი

გატობა-განათებისა და მოსამსახურის ხარჯის გასტუმრებისთვის, რაც საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სამკითხველო საკმაოდ მკვიდრ საფუძველზეა დამკვიდრებული. წესდების შედგენა-დამტკიცებისა და ბიბლიოთეკის მოწყობისათვის არა მცირედი შრომა გასწიეს პატივცემულმა მამრის ექიმმა იაშვილმა, ვასო როინაშვილმა და ქალაქის თვითმართველობამ. წიგნსაცავ-სამკითხველოს გამგედ, დანიშნულია ოქრო იაშვილი”.

ასე ჩაეყარა საფუძველი დუშეთში საბიბლიოთეკო საქმეს.

1920 წლიდან დიდი ყურადღება დაეთმო კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის გაფართოებას. 1926 წელს 13 კლუბი და ბიბლიოთეკა იყო დუშეთში., 1940 წელს – 19, 1946 წელს – 21, 1948 წ. – 31, 1951 წ. – 40, 1960 წ. – 51, 1966 წ. – 56, 1970 წ. – 60.

1980 წელს დუშეთში მასობრივი ბიბლიოთეკების ქსელის ცენტრალიზაცია განხორციელდა. შეიქმნა სარაიონო ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემა, რაც ითვისებისა და განვითარების ხელმძღვანელობით, წიგნადი ფონდით და საშტატო განრიგით, ლიტერატურის ცენტრალური დაკომპლექტება-დამუშავებით. ცენტრალურ ბიბლიოთეკაში შეიქმნა 5-განყოფილება, შტაგები გაიზარდა 18-მდე. ბიბლიოთეკების რიცხვმა 65-ს მიაღწია. საბიბლიოთეკო მუშაობა მაღალ დონეზე მიმდინარეობდა.

90-იან წლებში, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა მოვლენებმა გაანადგურა სახალხო მეურნეობა და დიდი დალი დაასვა ჩვენს დარგსაც.

1992 წლიდან დაიწყო ქსელის გეგმამომიერ დისლოკაციაზე მუშაობა, რაც გულისხმობდა ბიბლიოთეკების გამსხვილებას ან გაუქმებას, ძირითადად, დაქირავებულ ბინაში არსებული ბიბლიოთეკების ხარჯზე, ამის შემდეგ ჩვენს რაიონში 19 ბიბლიოთეკა გაუქმდა (მათი წიგნადი ფონდის ნაწილი ფილიალებს გადაეცა, ნაწილი გაცვლით ფონდშია). განახევრდა შტაგები.

1996 წელს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩატარებულმა რესპუბლიკურმა თათბირმა დასაბამი მისცა კულტურის სამინისტროს სისტემის ბიბლიოთეკებში რეინვენტარიზაციის, რეკლასიფიკაციის და გადაფასების სამუშაოებს.

აღნიშნული სამუშაო პროცესები ჩვენს რაიონში 1997 წლიდან დაიწყო. ეს იყო ძალიან

შრომატევადი სამუშაო. იგი წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით დაიწყო. სემინარებზე ვასწავლიდით სამუშაო პროცესების ჩატარებას, ადგილზეც ვხმარებოდით პრაქტიკულად. ყველაფერმა ძირითადად ნორმალურად ჩაიარა (თუმცა ცენტრალურ ბიბლიოთეკის მომსახურების განყოფილებაში კომისიის თავმჯდომარის მიერ ხარვეზებით ჩატარებული სამუშაო პროცესების გამოსწორება ახლა გვიხდება).

ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მოხდა სტრუქტურული ცვლილებები. 5 განყოფილების ნაცვლად ჩამოყალიბდა სამი განყოფილება. შემცირდა შტაგები – 18-დან 12 დარჩა. აქედანაც წელს 2 შტაგი კულტურის განყოფილებაში გადაიგანეს. ამჟამად ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მხოლოდ 10 საშტატო ერთეულია.

რაიონში სულ 46 ბიბლიოთეკაა. აქედან 1 ცენტრალურია, დანარჩენი 45-მისი ფილიალია. ამ ფილიალებიდან 4-საქალაქო ბიბლიოთეკა-ფილიალია, 3-საბავშვო და 38-სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალი.

აღნიშნული ბიბლიოთეკები მომსახურებას უწევენ 276 დასახლებული პუნქტის 34000 მცხოვრებს, 222000 ფონდით და 62 საბიბლიოთეკო მუშაკით. მათ შორის 33 სპეციალისტია, 29-არასპეციალისტი, ამათგან 28 ნახევარ შტაგზე მუშაობს.

ფილიალის გამგეებს ძირითადად მოწესრიგებული აქვთ შიდასაბიბლიოთეკო საქმე და ენთუზიაზმით ემსახურებიან მკითხველებს მათ ხელთ არსებული ბეჭდური პროდუქციით. ყველა საიუბილეო და ღირსშესანიშნავ თარიღს მასობრივი ღონისძიებით ეხმიანებიან.

ყველა ფილიალში გარდება ღონისძიებები, ეწყობა გამოფენები ქართული სახელმწიფოებრიობის 3000 და ქრისტეშობიდან 2000 წლისთავის აღსანიშნავად, ქართული ენის დღისა და ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 140 წლისთავთან დაკავშირებით და სხვა.

არ დარჩენილა ბიბლიოთეკა, რომელსაც არ აღენიშნოს ვაჟას 140 წელი. ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ ლიტერატურის გამოფენა და ფოტოსტენდი მოაწყო. ჩაატარა ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა. შეადგინა სარეკომენდაციო სია და კარგოთეკა, ჩაატარა მკითხველთა კონფერენცია. დუშეთის საბავშვო ბიბლიოთეკამ ამ თარიღს პოეზიის საღამო მიუძღვნა, საქალაქო სალონური საღამო, აბანოსხევის ბიბლიოთეკა-ფი-

ლიალში მონალური ღონისძიება ჩაატარეს.

წელს აპრილის თვეში საბიბლიოთეკო კვირეულთან დაკავშირებით მჭადიჯვარში მონალური ღონისძიება მოაწყო: “ქართული ენის საღამო”, ციხისძირის ბიბლიოთეკა-ფილიალმა – “პოემის საღამო”. ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ, ბინასთან დაკავშირებული პრობლემის გამო, ღონისძიება ვერ ჩაატარა.

მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა კადრებთან მუშაობას. სემინარი 2 თვეში ერთხელ გარდება. სექციური მუშაობა წინასწარ შედგენილი თემატიკის მიხედვით წარმოებს. ყურადღება გამახვილებულია პრაქტიკულ სწავლებაზე. ვიხილავთ იმ სიახლეებსაც, რაც დღეს საბიბლიოთეკო დარგში ხდება. მათ “საქართველოს ბიბლიოთეკის” ფურცლებზე ვეცნობით. ქურნალის განხილვას ყოველ სემინარზე ვახდენთ. დიდი ყურადღებით ვაშუქებთ მასში მოთავსებულ საჭირო საკითხებს და ვიყენებთ მუშაობაში. ვეცნობით არა მარტო საქართველოს ბიბლიოთეკების ცხოვრებას, არამედ საზღვარგარეთის დიდ ბიბლიოთეკებშიც ვიხედებით.

სასიხარულოა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები დანერგილია როგორც თბილისის დიდ ბიბლიოთეკებში, ასევე ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, ბუგდიდში, ამბროლაურში, თელავში, გურჯაანსა და ახალციხეში.

ვისურვებდი, ჩვენს რაიონშიც დროზე მომზადებულიყო კომპიუტერიზაციისთვის სათანადო ბაზა, რომ დუშეთის მომხმარებელსაც ესარგებლა ინტერნეტით. თუმცა ეს ჩვენთვის ალბათ ჯერ შორი ოცნებაა, არა გვაქვს ნორმალური სამუშაო პირობები. დაქირავებულ სარემონტო ბინაში ვართ, ბინის ქირას ვერ ვიხდით, რაიონის ახალი ხელმძღვანელობა რომ არ დაგვხმარებოდა, 4 ოთახს გვართმევდნენ. ცენტრალურ ბიბლიოთეკას 1998 წელს დაარსებიდან 100 წელი შეუსრულდა, გვინდოდა ეს მრგვალი თარიღი აღგვენიშნა, რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელობა საქმის კურსში იყო, მაგრამ მათგან ვერანაირი მხარდაჭერა ვერ მივიღეთ.

მომავალ წელს 105 წელი უსრულდება ბიბლიოთეკას, იმედი გვაქვს რაიონის ახალი ხელმძღვანელობა დაგვეხმარება ბინის საკითხის მოწესრიგებასა და მოკრძალებული იუბილეს აღნიშვნაში.

უსახსრობის გამო 10 წელია ახალი წიგნი არ შეგვიძენია. არა ვართ უმრუნველყოფილი მიმდინარე პერიოდიკით. ფილიალებიც მთლად უგაზეთოდ არის დარჩენილი. არა გვაქვს საბიბლიოთეკო ტექნიკა. საკანცელარიო ნივთებს ხშირად ჩვენი სახსრებით ვიძენთ. მიუხედავად ამისა, იმედს არ ვკარგავთ უკეთესი დროის მოლოდინში...

ქ. გურჯაანის უ. რუსთაველის სახელობის ცენტრალური რაიონული ბიბლიოთეკა




ჰენია სოლოღაშვილი

გურჯაანს, როგორც ქალაქს, დიდი ხნის ისტორია არა აქვს. 1928 წელს გურჯაანში ჩამოყალიბდა ოლქი, რომელშიც შედიოდა კახეთის რაიონები. ორი წლის შემდეგ – 1930 წელს, ოლქი გაუქმდა და ჩამოყალიბდა გურჯაანის რაიონი.

რაიონის აღორძინებასა და წინსვლაში თავისი წვლილი შეაქვს ადგილობრივი ბიბლიოთეკებსაც.

1890 წლის 20 ივლისის გაზეთ “ივერიაში”

ვხვდებით პაგარა, ხელმოუწერელ კორესპოდენციას: “გურჯაანი (სიღნაღის მამრა)”. მისი შინაარსიდან ჩანს, ავტორი დასწრებია სოფ. გურჯაანში ადგილობრივი მოწინავე ადამიანების თაოსნობით გამართულ წარმოდგენას. გადმოსცემს მიღებულ შთაბეჭდილებას და დასასრულს შენიშნავს: “ბილეთების გაყიდვით და ბუფეტიდან, როგორც მითხრეს, დაახლოებით თორმეტი თუმანადის იქნება შემოსული. ეს ფული და კიდევ სხვა, რომელიც შემდეგი წარმოდგენიდან შემოვა, გადაიღება თურმე სასოფლო ბიბლიოთეკის გასამართავად სოფელ გურჯაანში. დიდი მადლობის ღირსნი არიან ამ საქმის მოთავენი. ვისურვებ, რომ ის წმინდა აზრი, რომლისათვისაც შრომა



გაუწევიათ, უფრო გაფართოვდეს, გადიდდეს და განვითარდეს. იმედია, რომ სხვა სოფელშიც გამოჩნდებიან მიმბაძველები ამ კეთილი საქმისა.”

ასე და ამრიგად, 1930 წელს გურჯაანის რაიონში გაიხსნა მ. გორკის სახელობის გურჯაანის სარაიონო ბიბლიოთეკა. გამგე გენო კონსტანტინეს ასული ჯორჯაძე. 70 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ბიბლიოთეკას საქმისათვის თავდადებული ქალბატონი.

“გენო დედა” – ასე თბილად და სიყვარულით მოიხსენიებენ მას თანამშრომლები.

2000 წელს ბიბლიოთეკას საიუბილეო თარიღი შეუსრულდა – 70 წელი. ეს იუბილე ქალბატონი გენო ჯორჯაძის იუბილეს იყო.

დღეისათვის გურჯაანის ცენტრალური ბიბლიოთეკა მდებარეობს ქ. გურჯაანის ცენტრში. არაჩვეულებრივ არქიტექტურულ ნაგებობაში, რომელსაც გურჯაანელები “წიგნის სახლს” უწოდებენ, ხოლო ბიბლიოთეკის თანამშრომლებს – “წიგნის სახლის” დიასახლისებს”. მათ ხელმძღვანელობს შესანიშნავი ქალბატონი, ღირსების ორდენის კავალერი თასო ცისკარიშვილი.

ბიბლიოთეკას უკავია სამი სართული. პირველ სართულზე განთავსებულია საბავშვო ბიბლიოთეკა. მეორეზე – აბონემენტი, ღირექცია და დამუშავება – დაკომპლექტების განყოფილება. ხოლო მესამე სართული უკავია სამკითხველო დარბაზს და მეთოდურ-ბიბლიოგრაფიულ განყოფილებას.

რაიონის ცენტრალური ბიბლიოთეკა აერთიანებს 35 ბიბლიოთეკა-ფილიალს 321660 ცალი წიგნადი ფონდით, საიდანაც 58650 წიგნი ცენტრალური ბიბლიოთეკის განკარგულებაშია, ხოლო – 27580 საბავშვო ბიბლიოთეკაში.

ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს ბიბლიოგრაფიული განყოფილება, სადაც შედგენილია ქურნალ გამეთების სტაგიების, სისტემატურ-თემატური, მხარეთმცოდნეობის და პერსონალის კარგოთეკები, რომლებიც სისტემატურად ივსება ახალი მასალებით. გაიცემა ბეპირი და წერილობითი ცნობები.

დაკომპლექტების განყოფილება თავის მოვალეობად თვლის საკატალოგო მეურნეობის მოწესრიგებას. ამჟამად მთელი კოლექტივი მუშაობს შეერთებული კატალოგის სრულყოფისათვის.

ბიბლიოთეკაში შექმნილია ახალგაზრდული სექტორი, რომელიც ემსახურება 14-21 წლამდე ახალგაზრდებს, მათთვის ეწყობა გამოფენე-

ბი, დგება კითხვის გეგმები.

აბონემენტსა და დარბაზში მკითხველის მომიჯნოებასა და თვალსაჩინოების მიზნით მოწოდებულია გამოფენები: “გისაროდეთ, რამე თუ ჩვენთან არს ღმერთი”, “არასამთავრობო ორგანიზაცია – მესამე სექტორი”, “გ. ტაბიძის 110 წელი”, “ვამო ლამამო, ფესვო ნაკურთხო”, “მირზა გელოვანის დაბადების 85 წლისთავი”, “დედა ენაა ქართული”, “ჩვენი საუნჯე”, “გადავარჩინოთ მკერდში დაჭრილი ბუნება”, “ცეროლენა წიგნები”, “წინაპართა აჩრდილები”, “ვამრავლოთ ქართული ფუტკარი”, “საკუთარი მარჯვენით”, ჯანმრთელობა, სპორტი, სილამაზე”, “წიგნით მოვიართო საქართველო”, “ახალგაზრდობა, სიყვარული, ოჯახი” და სხვა.

ბიბლიოთეკაში იმართება მასობრივი ღონისძიებები. ჩატარდა 8 მარტისადმი და ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი საღამოები (საბავშვო ბიბლიოთეკასთან ერთად). ქ. გურჯაანის № 2, საშ. სკოლასთან და გამეთ “მუშის” რედაქციასთან ერთად მოეწყო შეხვედრა საბავშვო მწერალ ნინო ბებარაშვილთან. მოეწყო მწერალ მალხაზ ბებარაშვილის შემოქმედების განხილვა.

2000 წელს ბიბლიოთეკაში შემოიღეს ფასიანი მომსახურება, წელიწადში ერთხელ, რეგისტრაციისათვის 50 თეთრის გადახდით, შემოსული თანხა უნდა დახარჯულიყო ახალი წიგნების შექმნაზე და სხვა საჭიროებისათვის, მაგრამ, ისედაც საგრძნობლად იკლო მკითხველმა და ახლა, როცა წელში გაგეხილ მოსახლეობას, რომელსაც იმის საშუალებაც კი არა აქვს, ეს მცირედი თანხა გაიღოს, ბიბლიოთეკას კიდევ უფრო დააკლდებოდა მკითხველი. ჩვენთვის კი მკითხველი და მათი სულიერი და ინტელექტუალური სრულყოფა უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე 50 თეთრი, და ძალიან მალე გაუქმდა ეს გადასახადი. სხვათა შორის, თვითონ ბიბლიოთეკარები იყვნენ ამის მომხრე.

მართლაც, თავდაუზოგავად მუშაობენ ეს შესანიშნავი ქალბატონები. მათი ღიმილიანი სახე და სიკეთით აღსავსე თვალები ანდამაგვივით იზიდავს მკითხველებს. ისინი ხომ ბიბლიოთეკაში სრულყოფილად დებულობენ პასუხს მათთვის საინტერესო კითხვაზე.

უმთავრესი მაინც ის არის, რომ რაიონში წიგნი კვლავინდებურად უყვართ, ჯაფისაგან და ეკონომიკური სიდუხჭირისაგან გადაღლილ ხალხს მართლაც ესაჭიროება სულიერი საზრდო.

ცენტრალურ ბიბლიოთეკაში კვარცალში ერთხელ გარდება ბიბლიოთეკართა სემინარი, სადაც ერთურთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას, აყენებენ პრობლემატურ საკითხებს.

ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა, საინიციატივო ჯგუფთან ერთად, ახალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებიდან გამომდინარე, მართავს ბიბლიოთეკას და თავის საქმიანობაში თამამად იყენებს ახალ ეკონომიკურ მეთოდებს. სწორედ აქედან გამომდინარე შეიქმნა “გაცვლითი ფონდიდან მელმეტი ლიგერატურის რეალიზაციის განყოფილება”, რომელიც წელიწადზე მეტია მომგებიანად ფუნქციონირებს, იყიდება ჩამოწერილი, სამაკულაგურედ გამზადებული წიგნები. ამით რამდენიმე სასიკეთო საქმე გაკეთდა: შეიძინეს ახალი წიგნები, გამოიწერეს ჟურნალ-გაზეთები, შეიძინეს აგრეთვე სხვა აუცილებელი საკანცელარიო ნივთები, ბაზმარში გაათბეს შენობა და ა.შ.

ცენტრალურ ბიბლიოთეკაში არის სიახლე: კულტურის სამინისტრომ საჩუქრად გადასცა კომპიუტერი, რომელშიც შევა რაიონის წიგნანი ფონდი. ეს კომპიუტერი ჩაირთვება ქვეყნის კომპიუტერულ ელექტრონულ ქსელში. ამის შემდეგ გურჯაანელი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გახდება ყველა წიგნი, რომელიც კი არსებობს ქვეყნის რომელიმე ბიბლიოთეკაში.

სულ მალე ბიბლიოთეკაში, საქართველოში საფრანგეთის საელჩოს ხელშეწყობით, გაიხსნება დიუმას ცენტრის ფილიალი. რაც ხელს შეუწყობს ფრანგულენოვანი სკოლის მოსწავლეთა მოზიდვას. მათ ფრანგებმა უამრავი ჟურნალი და ფრანგი მწერლების ქართულად ნათარგმნი ლიგერატურა გამოუგზავნეს, აგრეთვე ფრანკოფონის ფონდის პრემიულენტმა ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა 120 ცალი ფრანგული წიგნი. ამ დაახლოების და ურთიერთობის გამოძახილი იყო ის, რომ ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი თასო ცისკარიშვილი მიიწვიეს საფრანგეთის საელჩოში, საფრანგეთის რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულისა და საქართველო-საფრანგეთის შორის დიპლომატიური ურთიერთობის მეათე წლისთავისადმი მიძღვნილ ბეიმზე.

უახლოეს პერიოდში გურჯაანის მეგობრული დელეგაცია მიდის საინგილოში, კერძოდ, კახის რაიონში. რაიონის ცენტრალურ ბიბლიოთეკას გადაწყვეტილი აქვს თავისი წვლილი შეიგანოს მეგობრობის განმტკიცებაში და საჩუქრად წაუღონ 585 ცალი წიგნი.

და ბოლოს, დაუღალავი შრომისათვის დიდი მადლობა მიიღა გადაუხადლო შესანიშნავ ქალბატონებს, რომელთაც “წიგნის სახლის” დიასახლისებს” უწოდებენ, და ვ. სკოგის სიგყვებით დავასრულო: “წიგნი ერთადერთი უკვდავებაა”.

ღვაწლმოსილება



ნიური სორავა
სენაკის სარაიონო საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი

ლონტი მროველის გადმოცემით, მეგრელები წარმოშობიდან ეგროსისაგან, დასახლებულან საქართველოში და ქვეყანასაც ეგრისი დარქმევია. სწორედ ამ უღამაზესი კუთხის, სენაკის რაიონის მთის კალთაზეა შეფენილი სოფელი ეკი, რომელიც მოხსენებულია XVII ს-ის მეორე ნახევრიდან ისგორიულ წყაროებში. (“შეწირულობის წიგნი მალაქია კატალიკომისა ბიჭვინთისადმი.”)

მე-19 საუკუნეში სოფელში ბევრი გამოჩენილი ოჯახი ყოფილა, რომელთაც შესანიშნავი საკუთარი ბიბლიოთეკები ჰქონიათ, პირველი ქოხ-სამკითხველო სოფელში პეტრე ადამიას გაუხსნია თავის ოჯახში, სადაც სოფლის ახალგამრდობას უსასყიდლოდ ასწავლიდა მშობლიურ ენას.

1921 წელს სოფლის ცენტრში აუგიათ ხის შენობა სამკითხველოსათვის, რომელიც შემდგომ სასოფლო ბიბლიოთეკად გადაკეთდა. ამ ბიბლიოთეკა-ფილიალის გამგედ 24 წელია მუშაობს ქალბატონი ნაზი ელიავა.

ბიბლიოთეკაში მუშაობის დაწყებისთანა-

ვე ნ. ელიავა სათავეში ჩაუდგა სოფლის მოსახლეობის, მოსწავლე-ახალგაზრდობის კითხვაში ჩაბმის ახალი მეთოდების და ფორმების შემუშავებას. ჩამოაყალიბა ლიგერაგურისა და ბიბლიოთეკის მოყვარულთა წრე.

ის კარგად იცნობს სოფლის მოსახლეობას. შეადგინა სპეციალისტების კარგოთეკა, ბიბლიოთეკიდან დაშორებულ ადგილებში გახსნა გაცემის პუნქტები. “წიგნი თითოეულ ოჯახს” – ასეთი იყო მისი მუშაობის დევიზი. შემოიკრიბა სოფლის აქტივი, ახალგაზრდობა. ყოველივე აშან განაპირობა მისი, როგორც პიროვნების, ავტორიტეტის ამაღლება მოსახლეობაში.

ნაზი ელიავა საბიბლიოთეკო საქმეში ყოველი ახალი წამოწყების ინიციატორი და განმახორციელებელია. სრულყო რა ანბანური და სისტემატური კატალოგები, შემდგომ, დღის წესრიგში დააყენა ფონდების რეინვენტარიზაციის და რეკლასიფიკაციის საკითხი, რაიონის ბიბლიოთეკებს შორის პირველმა დაამთავრა ეს რთული და შრომატევადი სამუშაოები.

თავიდანვე ყურადღებას იქცევდა მის მიერ ჩატარებული ღონისძიებების თემატიკის მრავალფეროვნება. თავისი მუშაობის პერიოდში ნ. ელიავას ჩატარებული აქვს 200-ზე მეტი ღონისძიება. ეს მასალები აკინძულია წიგნებად. თითოეულ წიგნში მითითებულია გამოყენებული მასალა, მონაწილეთა სია. აიღებთ ამ წიგნებს და თქვენს წინ გადაიშლება ღონისძიებათა ნუსხა, რომლის ჩატარებისათვის, ვინ იცის, რამდენი უძილო ღამე და გიგანური შრომა გაუწევია მას. ნ. ელიავა წერს ლექსებს, აკეთებს ჩანახატებს. აგროვებს თქმულებებს, სოფლის ფოლკლორის ნიმუშებს. მის მიერ ჩატარებული ვიქტორინა-კონკურსები, ფოლკლორის საღამოები, წიგნის პრეზენტაციები, ლიგერაგურული მეჯლისი, მხიარული შეჯიბრება რაიონის მასშტაბით, ზღაპრების

საღამო, დისკუტები, საქმიანი შეხვედრები, გრადიციების აღდგენა – “ჯარალობა”, “ხვამა იოანობა” და მრავალი სხვა ღონისძიების სცენარის ავტორი და წამყვანი თავად გახლავთ.

ყველაზე მთავარი მაინც ისაა, რომ რასაც ნაზი ელიავა აკეთებს, არა მარტო სოფლის, არამედ მთელი რაიონისათვის, ჩვენი მომავალი თაობებისთვისაა გათვალისწინებული. იგი რამდენიმე ხელნაწერი წიგნის ავტორია: ბიბლიოთეკის ისტორია, სოფლის მაგიანე, რომელიც უბრწყინვალეს მასალებს შეიცავს სოფლის წარსულზე, შინმოუსვლელთა ვაჟკაცობის ამსახველი 380 გვერდიანი წიგნია. ბიბლიოთეკაში ცალკეა დაცული სამკუთხა ბარათები და ჯარისკაცთა სხვა საბუთები. დაამთავრა მუშაობა კიდევ ერთ წიგნზე – “თქვენ დაგვილოცეთ ქვეყნად კაცობა”, რომელიც სოფლის პირველი მასწავლებლიდან დღემდე მომუშავე პედაგოგთა ცხდვრებას ეძღვნება. წიგნში თავმოყრილია უამრავი მასალა, რომლის მოპოვება უდიდესი შრომის, ენთუზიაზმის და საქმის სიყვარულმა განაპირობა.

მომზადებული აქვს ფოტო და დოკუმენტური მასალები სოფლის დიდების მუზეუმის გასახსნელად. ბინის საკითხის მოგვარებისთანავე ეს მუზეუმიც ამოქმედდება.

არ წამოჭრილა საკითხი სოფლის წინაშე, რომლის გადაწყვეტაში ნ. ელიავას აქტიური მონაწილეობა არ მიეღო. ბიბლიოთეკის მიერ ჩატარებული გიორგობის დღესასწაულის აღსანიშნავ ღონისძიებაზე ჩაეყარა საფუძველი სოფლის “მაცხოვრის ეკლესიის” აღდგენას.

იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ბიბლიოთეკის სემინარულ მუშაობაში, სადაც მისი მუშაობის განმარტადება ხდება, ატარებს სოფლებში გასვლით ღონისძიებებს.

1988 წელს საქართველოს ტელევიზიამ გადაიღო 20 წუთიანი ჩანახატი ეკის ბიბლიოთეკის შესახებ.

დღეისათვის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 10 ათასამდე ბეჭდურ პროდუქციას. 1990 წლამდე ბიბლიოთეკა ღებულობდა 22 დასახელების ჟურნალ-გაზეთს, კომპლექტდებო-



და ახალი ლიგერაგურით. ამჟამად ღებულობს ადგილობრივ გაზეთს და უმნიშვნელო რაოდენობით ახალ ლიგერაგურას.

უპრეტენზიოდ, უხმაუროდ აკეთებს თავის საქმეს ეს შესანიშნავი ქალბატონი; სამწუხაროდ, ბიბლიოთეკას არა აქვს საჭირო მაგერი-ალურ-ტექნიკური ბაზა, მუშაობის ნორმალური პირობები. რაიონის მწირი ბიუჯეტი ვერ აფინანსებს კულტურის ობიექტებს, მაგრამ ადამიანი იმედით ცოცხლობს და ქალბატონ ნამისაც სჯერა მომავლის.

ნ. ელიავას მუშაობა ბევრმა წიგნიერმა და საქმეში ჩახელულმა ადამიანმა სათანადოდ შეაფასა. შთაბეჭდილების წიგნში ვკითხულობთ: “ნამის ხელნაწერმა წიგნებმა სამეგრელოს ყოფა და კულტურა დაგვანახვა, უძველეს გრადიციებში ჩაგვახედა, გული აგვიჩუყა, ასეთი შემოქმედებითი კერები გვიმრავლოს უფალმა”. – მ. შენგელია, ნ. გვასალია, კ. ხარაძე. (ს.მ. აკადემიის ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლები).

“ვიმყოფები ეკის ბიბლიოთეკაში და აღფრთოვანებას ვერ ვმაღავ, ამ პოეტური ქალის მოღვაწეობა, ანა კალანდაძის პოემიას მაგონებს.” – შ. ბესოშვილი, თბილისის სახ. უნ-ტის სოციოლოგიის კათედრის გამგე.

“იშვიათად მინახავს ადამიანი, ვისაც ასე უყვარდეს თავისი პროფესია, ასე უანგაროდ ემსახურებოდეს ადამიანებს, სოფელს, მის წარ-

სულს, როგორც ამას ჯეტებს ეკის ბიბლიოთეკის გამგე ნ. ელიავა.” – მწერალი ს. დემურხანაშვილი.

წიგნის სიყვარულმა მიიყვანა ქალბატონი ნამი ბიბლიოთეკაში და დღემდე რუღუნებით ემსახურება მას. უმაღლესი განათლება არ მიუღია, მაგრამ ბუნებამ უხვად დააჯილდოვა ნიჭიერებითა და შრომისმოყვარეობით. რესპუბლიკურ კურსებზე და ადგილობრივ სემინარებზე იმაღლებდა პრაქტიკაში მიღებულ ცოდნას, პარალელურად სკოლაშიც ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას. პედაგოგების ატესტაციის დროს მან ფრიალი შეფასება მიიღო.

რაიონის ხელმძღვანელობის წარდგენით ქალბატონი ნამი ელიავა ქართული კულტურის განვითარებაში, მის პოპულარიზაციაში, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში შეგანილი პირადი ღიდი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმის, ნაყოფიერი პედაგოგიური და სამოგადოებრივი მოღვაწეობისათვის დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

მუშაობის პერიოდში იყო უამრავი სიძნელე, გაწეულია უდიდესი შრომა, მაგრამ იყო უდიდესი სიხარულიც, თანასოფელთა სიყვარული და მხარდაჭერა, დღეს იგი სოფლისათვის საჭირო პიროვნებაა, სჯერათ და სწამთ მისი. ეს სიყვარული იოლად არ მოსულა, იგი მის მიერ გაწეული შრომის ნაყოფია. ამიტომაც მას სოფელმა სოფლის მემკვიდრე უწოდა.

მეაბრეშუმეობის საკოორდინაციო ცენტრის – “აბრეშუმის სახლის” ბიბლიოთეკა



ლ. ჯანგველაძე
მეაბრეშუმეობის ბიბლიოთეკის დირექტორი

თბილისში, მუშგაილის კულტურისა და დასვენების პარკის შესასვლელის პირდაპირ დგას ორსართულიანი წითელი აგურის ლამაზი შენობა. ამ შენობას გარედან აქვს აბრა, რომელმედაც აწერია: “აბრეშუმის სახლი”. “აბრეშუმის სახლის” პირველ სართულზე განთავსებულია

მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი და სააქციო სამოგადოება “საქაბრეშუმი”. მეორე სართულზე კი უნიკალური მეაბრეშუმეობის ბიბლიოთეკა და მუშეუმიანა. საინტერესოა თვით ამ შენობის ისტორია.

1883 წლის 26 აპრილის კანონის თანახმად, კავკასიის სოფლის მეურნეობის საწარმოები რუსეთის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს გადაეცა. ამ კანონის მოქმედებაში მოყვანის მიზნით, სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრმა მიხეილ ნიკოლოზის ძე ოსტროვ-

სიმ მოინახულა რა კავკასია, საჭიროდ ჩათვალა, რომ თბილისში დაარსებულიყო კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგური. ამ იდეის განხორციელება დაევალა ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა კანდიდატს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე შავროვს.

1885 წელს შავროვი მივლინებულ იქნა მეაბრეშუმეობის შესასწავლად საფრანგეთში, იტალიაში, ავსტრია-უნგრეთსა და გერმანიაში.

1887 წელს, როდესაც ნ. შავროვი დაბრუნდა საფრანგეთიდან, დაინიშნულ იქნა კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურის ხელმძღვანელად.

ნ. შავროვის სქემით აშენებული და ორგანიზებული კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგური (არქიტექტორი ა.პ. შიმკევიჩი) წარმოადგენდა მსხვილ, შესანიშნავად აღჭურვილ დაწესებულებას თავისი სპეციალური ლაბორატორიებით,



სახელოსნოებით, მეაბრეშუმეობის უნივერსალური ბიბლიოთეკით და მუზეუმით. კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურს უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ეს იყო არა მარტო კავკასიაში, არამედ მთელ რუსეთში პირველი საცდელი სადგური სოფლის მეურნეობის დარგში, რომელმაც გზა გაუკვალა სოფლის მეურნეობის სხვა სფეროში მომუშავე სპეციალისტებს.

კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურის დაარსებისთანავე საფუძველი ჩაეყარა ბიბლიოთეკას.

ამ ორსართულიანი წითელი აგურის შენობაში ყოველგვარი პირობები იყო შექმნილი ნორმალური სამეცნიერო მუშაობისათვის. ინგერიერი ამ კარად მიანიშნებს ამ დარგის სპეციფიკაზე: კედლებზე და ჭერზე ამოკვეთილია და ლამაზადაა მოხატული თუთის ფოთლებში აბრეშუმის პარკები და ჭიები.

1930 წლიდან კავკასიის მეაბრეშუმეობის

სადგური გადაჯეთდა ამიერკავკასიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად, 1936 წელს თბილისის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად, ხოლო 1959 წელს შეუერთდა საქართველოს სასოფლო-



სამეურნეო ინსტიტუტს და გახდა მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევითი ფაკულტეტი, რომელიც გადავიდა დილოში, შენობა კი გადასცეს “დინამოს”. ამჟამად მას ეწოდება აგრალურ უნივერსიტეტთან არსებული მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი.

1980 წელს მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევითმა ფაკულტეტმა ბიბლიოთეკა მთლიანად გადაიტანა დილოში და მოათავსა აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებ ოთახებში, ხოლო მუზეუმი დარჩა წითელ შენობაში იმ პირობით, რომ დილოში უნდა აშენებულიყო ადმინისტრაციული შენობა, რომელშიც განთავსდებოდა მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევითი ფაკულტეტი თავისი ბიბლიოთეკით და მუზეუმით. დაპირებისამებრ, დაიწყო ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა დილოში, მაგრამ ძალიან ნელი ტემპით.

“დინამოს” ადმინისტრაცია მოითხოვდა შენობის განთავისუფლებას.

ფაკულტეტმა ადგილის უქონლობის გამო მუზეუმი ვერ გადაიტანა. დაიწყო დავა, რის შედეგადაც ბიბლიოთეკა და მუზეუმი გადაეცა მეაბრეშუმეობის სამმართველოს.

1989 წელს მეაბრეშუმეობის სამმართველომ (დირექტორი გივი ყიფიანი) შენობას გაუკეთა კაპიტალური რემონტი. ბიბლიოთეკა და მუზეუმი დაუბრუნდა თავის გრადიციულ შენობას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორის ბრძანებით, ბიბლიოთეკა გაიყო. ბიბლიოთეკის გრადიციულ შენობას დაუბრუნდა მხოლოდ ის ლიგერატურა, რომელიც გამოცემული იყო 1960 წლის ჩათ-



ვლით, ხოლო 1960 წლის შემდეგი გამოცემები დარჩა ინსტიტუტში. ამგვარად, ბიბლიოთეკამ ფაქტობრივად მემორიალური ხასიათი შეიძინა.

1996 წლის 23 სექტემბრიდან საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, ბიბლიოთეკა და მუზეუმი სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს დაქვემდებარებაშია, ხოლო 1998 წლის 25 ოქტომბრიდან, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, მეაბრეშუმეობის ბიბლიოთეკასა და მუზეუმის ბაზაზე შეიქმნა მეაბრეშუმეობის საკოორდინაციო ცენტრი – “აბრეშუმის სახლი”.

1891 წელს, როდესაც კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურის მთავარი შენობის მშენებლობა დამთავრდა, ბიბლიოთეკას დაეთმო ორი ოთახი: სამკითხველო დარბაზი და წიგნსაცავი (საერთო ფართი 91მ²), რომლებიც სპეციალურად ბიბლიოთეკისათვის იყო განკუთვნილი. ამაზე მეტყველებს ის, რომ ბიბლიოთეკის თითოეულ ინვენტარს თავისი ადგილი აქვს მიკუთვნებული სამკითხველო დარბაზში. თითქმის ჭერამდე აჭრილი სინაგიფითა და ფაქიმი გემოვნებით გაკეთებული მოჩუქურთმებული კაკლის ხის კარაღები, საწერი მაგიდა, სავარძელი და სამუშაო მაგიდეები, რომლებიც ერთ მთლიანობაშია მოქცეული, ბიბლიოთეკის ინტერიერს კიდევ უფრო უნიკალურს ხდის.

ამჟამად ბიბლიოთეკის ფონდი შეადგენს 39 ათას საბიბლიოთეკო ერთეულს.

კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურს მჭიდრო კავშირი ჰქონდა სამღვარგარეთთან. ამის დამადასტურებელია ბიბლიოთეკაში დაცული 26-ენოვანი, სამღვარგარეთის 80-ზე მეტ ქალაქში გამოცემული ლიგერაგურა, რომელიც 4 საუკუნეს (მე-17, 18, 19, 20) მოიცავს.

თავდაპირველად ბიბლიოთეკა დაკომპლექტდა შემოწირულობით, შემდეგ კი გამდიდრდა მისი საერთაშორისო კავშირების მეშვეობით. სამღვარგარეთი დღესაც დიდ ინტერესს იჩენს მეაბრეშუმეობის ბიბლიოთეკისადმი. გამოგზავნილია წერილები პარიზიდან, ლონდონიდან, კემბრიჯიდან, დეგროიგიდან, ჰონკონგიდან, სინგაპურიდან, მიუნხენიდან, პეკინიდან.

ბიბლიოთეკამ და მუზეუმმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ისეთ ღონისძიებებში, რომლებსაც საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. ასეთებია, მაგალითად:

გექსტილის პირველი საერთაშორისო

- სიმპოზიუმი (1997წ.);
- გექსტილის მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი (1999წ.);
- საქართველოს მეაბრეშუმეთა პირველი კონფერენცია (1999წ.);
- ბრიტანეთის საბჭოსა და ბრიტანეთის საელჩოს მიერ მოწყობილი გამოფენა “აბრეშუმის გზა – ძველი და ახალი თვალთახედვა” (2000წ.);
- რუსეთის სახელმწიფო სუვერენიტიტეტის 8 წლისადმი მიძღვნილი იუბილე, რომელიც ჩააგზავრა რუსეთის საელჩომ (1998წ.). და სხვ.



ბიბლიოთეკაში დაცული თითოეული ფურცელი უნიკალურია, როგორც შინაარსით, ასევე ფორმითაც. ყველაზე აღრინდელი ლიგერაგურა ძველ ბერძნულ ენაზეა, ის ჩასმულია ეგრაგის ყდაში და თარიღდება 1601 წლით. ამ 985 გვერდიანი წიგნის ავტორია პაგრიარქი ფოგიუსი. უნიკალურ გამოცემათა რიცხვს ეკუთვნის 2816 გვერდიანი ინგლისური ენის ლექსიკონი, რომელიც გამოცემულია 1935 წელს ნიუ-იორკში და ლონდონში. დიდ ინტერესს იწვევს ბრინჯის მერქნისაგან დამზადებულ ქალაქში ჩინური გრაფიურები, რომლებიც ასახავენ მეაბრეშუმეობის წარმოების პროცესებს. მიმზიდველი ილუსტრაციებითაა მდიდარი ამერიკაში გამოცემული ჟურნალი, რომელშიც წარმოდგენილია აბრეშუმის ქსოვილისაგან შეკერილი განსაცემლები და თავსაბურავები. ბიბლიოთეკაში დაცულია კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურის მიერ გამოცემული ორგომეული ცნობარი, რომელიც მოიცავს 1887-1906 წლებს. ამ ცნობარში მოხსენიებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ცნობილი პიროვნებები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურის დაარსებაში.

ბიბლიოთეკას კიდევ უფრო ამდიდრებს მასში არსებული უცხოური ლიგერაგურის თარგმანები რუსულ ენაზე, რომლებიც თარგმნა ბიბ-



ლიოთეკის თანამშრომელმა მარია სგრუბინსკა-იამ, რომელიც 7 ენას ფლობდა.

ბიბლიოთეკაში წიგნები დალაგებულია თაროზე ინვენტარის ნომრების მიხედვით. ჟურნალები კი – სათაურის ანბანის თანამიმდევრობით. ფონდი დამუშავებულია უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის მიხედვით. აგებულია ანბანური და სისტემატიური კატალოგები (ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე). გვაქვს ჟურნალე “შოლკის” საგნობრივი კარგოთეკა, ჟურნალეების ანბანური კატალოგი. მიმდინარეობს გოპოგრაფიული კარგოთეკის შედგენა.

უნდა მოგახსენოთ, რომ ბოლო წლებში ბიბლიოთეკა არ შევსებულა ახალი ლიტერატურით და არც ახალი პერიოდიკით.

ბიბლიოთეკაში დაცულია როგორც მეაბრეშუმეობის, ისე სხვა დარგის ლიტერატურაც.

მეაბრეშუმეობის ბიბლიოთეკის ფონდი პირველად 1891-1894 წლებში აღწერა და დაამუშავა ბუხჰალტერმა ალექსანდრე იმშიაილის ძე რემიზოვმა.

ბიბლიოთეკაში სხვადასხვა დროს მუშაობდნენ: ბარათაშვილი, მეგრელიძე, მანია, იაკოვენკო, ვლადიმერ ანტონის ძე შვიდლიში, მარია სგრუბინსკაია, თინა ჯანყარაშვილი, ანიკო

ხაგელიშვილი.

ბიბლიოთეკაში ამჟამად მუშაობს სამი თანამშრომელი:

1. ლილი ჯანგველაძე – ბიბლიოთეკის დირექტორი;
2. ნინო კავთიაშვილი – მთავარი ბიბლიოთეკარი;
3. მადონა ბოგვერაძე – მთავარი ბიბლიოთეკარი.

ბიბლიოთეკა ემსახურება 155 მუდმივ მკითხველს.

გაცემულ წიგნთა რაოდენობა 2002 წლისათვის შეადგინა 1870 ეგზემპლარს.

ბიბლიოთეკა მკითხველებს ემსახურება ადგილზე, ამიტომ დავალიანებული მკითხველები არა გვყავს.

ბიბლიოთეკის ძირითადი მკითხველებია მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები, სააქციო სამოგადოება “საქაბრეშუმის” თანამშრომლები, სამეცნიერო და სამხაგვრო აკადემიის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები.

ბიბლიოთეკისათვის თანხა ცალკე გამოყოფილი არ არის. “აბრეშუმის სახლის” ბიუჯეტი შეადგენს 25503 ლარს.

პატარა ბიბლიოთეკის დიდი ისტორია

წელი ჯარიაშვილი


თბილისის საქალაქო საბიბლიოთეკო გაერთიანების მეთოდისტი

თბილისის საბიბლიოთეკო გაერთიანების 24-ე ბიბლიოთეკა გერიგორიულად სოფელ გლდანში მდებარეობდა. აღნიშნული ბიბლიოთეკა 1979 წელს მცხეთის რაიონმა გადასცა თბილისის კულტურის მაშინდელ განყოფილებას. ბიბლიოთეკა დაქირავებულ ბინაში იყო, რომელიც თვით ბიბლიოთეკის გამგეს – ნათელა უნდილაშვილს ეკუთვნოდა. სოფელ გლდანის მცხოვრებთ ქალბატონ ნათელასაგან არაოფიციალურად უფლება ჰქონდათ მინიჭებული, ღამის საათებშიც ესარგებლათ ბიბლიოთეკით.

რადგან ბიბლიოთეკა ნაქირავებ ბინაში იყო განთავსებული, და რაკი ბოლო ათი წლის მანძილზე ვერ უხდიდნენ ბინის ქირას ფართის პაგრონს, დადგა საკითხი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი თბილისის ცენტრალური საბიბლიოთეკო სისტემის რომელიმე ბიბლიოთეკისათვის გადაეცათ და სოფლის ბიბლიოთეკა გაუქმებულიყო. ქ-ნ ნათელას არასოდეს ჰქონდა პრეტენზია ბინის ქირაზე, რადგანაც იცოდა, რომ გლდანულას დასახლების და სოფელ გლდანის მცხოვრებნი ბიბლიოთეკის გარეშე დარჩებოდნენ

ბიბლიოთეკის მკითხველებს ერთადერთი იმედი დარჩენოდათ – დაეწყოთ ხელმოწერები და მიემართათ ზემდგომი ორგანოებისთვის.

რვაასზე მეტი ხელმოწერა შეგროვდა და



მკითხველებმა სათანადო განცხადებებით მიაკითხეს საქართველოს პარლამენტს, ქ. თბილისის მერიის კულტურის განყოფილებას და რაიონის გამგებელს.

შემდგომმა ორგანოებმა საქმის მოგვარება გლდანის რაიონის გამგეობას დააკისრა. დიდი გულისყურით მოეკიდა რაიონის მაშინდელი გამგებელი სოსო ვაშაკიძე მკითხველთა თხოვნას და რაიონის განათლების განყოფილების ხელმძღვანელს ამირან მაქარაიშვილს სთხოვა, რომელიმე საბავშვო ბაღში გამოეყოთ ბიბლიოთეკისთვის ორი ოთახი მაინც.

რაიონის ხელმძღვანელობის ძალისხმევით გლდანულას დასახლებაში 185-ე საბავშვო ბაღის გმგემ ლია ლუღუშაურმა ორი ოთახი გამოუყო ბიბლიოთეკას, სადაც 1995 წლის ოქტომბერში 24-ე ბიბლიოთეკა გაიხსნა.

იგეიმა მკითხველთა სამართლიანმა მოთხოვნამ. ისინი მაღლიერებით არიან გამსჭვალული ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიმართ. ესენი არიან: ნ. უნდილაშვილი (ბიბლიოთეკის გამგე), ნ. კიკნაძე და თ. ყირიმელი – უფროსი ბიბლიოთეკარები.

ბიბლიოთეკის კოლექტივი და მკითხველი ჩვენი ჟურნალის – “საქართველოს ბიბლიოთეკის” საშუალებით მაღლობას უძღვნიან გლდანის რაიონის ყოფილ გამგებელს სოსო ვაშაკიძეს, რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამირან მაქარაიშვილს და 185-ე საბავშვო ბაღის გამგეს ლია ლუღუშაურს.

ცალკე გვინდა მაღლობა გადავუხადოთ დღევანდელ რაიონის გამგებელს ირაკლი ქორიძეს და მის მოადგილეს ბესიკ საბაშვილს, რომელთა შეწევნით და გულისხმიერებით დაეხმარნენ ბიბლიოთეკას წვიმით დაზიანებული ჭერის შეკეთებაში.

ბიბლიოთეკაში შესვლისთანავე შეგექმნებათ სათანადო შთაბეჭდილება თანამშრომლებზე, რომლებიც მკითხველებს ემსახურებიან.

გავესაუბრეთ ბიბლიოთეკის ფართის მფლობელის – 185-ე საბავშვო ბაღის გამგეს ლია ლუღუშაურს, რომელმაც სიამაყით გვითხრა: თავიდან წინააღმდეგი ვიყავი, რამდენიმე ოთახი ჩემი სამსახურისთვის როგორც მომეკლო მაგრამ დღეს ისეთი ბედნიერი ვარ ამ ბიბლიოთეკის კოლექტივთან და მკითხველებთან სიახლოვით, რომ ორი ოთახიც ამ დღეებში მოვუმაგე ბიბლიოთეკას. ეს ბიბლიოთეკა ხომ ჩემი საბავ-

შვო ბაღის აღსამრდელთა ხვალისდელი დღეა, მათ დღესაც ერთგვარად ვასარგებლებთ ბიბლიოთეკის ფონდებით, რადგანაც ბიბლიოთეკა ჩვენს ინტერესებსაც ითვალისწინებს.

ბიბლიოთეკაში სტუმრობისას ერთ-ერთ მკითხველს – ელისო ჩაჩანიძეს გავესაუბრეთ და ვთხოვეთ, რამდენიმე სიტყვით თავისი ამრი გამოეთქვა ბიბლიოთეკის შესახებ. კარგის მეტი რა მეთქმის, – გაიღიმა მან, – რა იქნებოდა ჩვენი ოჯახების, კერძოდ, ჩვენი შვილების მომავალი ამ ბიბლიოთეკის გარეშე. მე და ჩემი შვილი – მესუთეკლასელი მარიამი – ბიბლიოთეკის ყოველდღიური მკითხველები ვართ. – მან ჩამოგვითვალა საბავშვო წიგნები, რომლებიც მისმა გოგონამ წაიკითხა.

ბიბლიოთეკის თანამშრომლები დღე და ღამე ფიქრობენ, როგორ შემაგონ ბიბლიოთეკის ფონდს წიგნები. რით მიანიჭონ მკითხველს ესთეტიკური სიამოვნება.

მკითხველები კარგად გრძნობენ ამას და ამიგომაც უყვართ აქაურობა, ამიგომაც კეთილი სიტყვით ახსენებენ მას, რაზედაც მეტყველებს მათი გამოხმაურება. რამდენიმე მათგანს კიდევ ვთავაზობთ ჩვენი ჟურნალის მკითხველებს.

მკითხველთა შთაბეჭდილებები

არც ისე დიდი ხანია გლდანულაში მუდმივად ვცხოვრობ, და ყველაზე საუკეთესო, რაც ამ პაგარა დასახლებას აქვს – ეს ბიბლიოთეკაა, სადაც ყველა მკითხველს დიდი სიყვარულით, ყურადღებითა და პატივისცემით ხვდებიან. დიდი მაღლობა მინდა მოვახსენო ქალბატონებს ლენას, თამარს და ნუნუს, ასეთი ყურადღებისათვის, ასეთი წესრიგისათვის, ასეთი გულთბილი დამოკიდებულებისათვის.

ღმერთმა ნუ მოგვიშალოს სიყვარული წიგნისადმი, ღმერთმა ნუ მოგვიშალოს სულიერი სამრდო მაინც.

პატივისცემით მარგალიტა მიქელაძე (მსახიობი)

ნამდვილად დიდი საჩუქარია ამ პაგარა დასახლებისათვის ეს მდიდარი ბიბლიოთეკა. მისი სტუმარი ხომ ყველა ასაკის ადამიანი შეიძლება იყოს. ამ ბიბლიოთეკას გახსნის დღიდანვე მკითხველი არ მოჰკლებია და დაე, მომავალშიც ასე გაგრძელდება იყოს. მე დიდი მაღლობა მინდა მოვახსენო ყველას, ვისაც ამ ბიბლიოთეკის გახსნაში წვლილი მიუძღვის. წიგნი ხომ ადამიანის

მეგობარია; მადლობა ამდენი მეგობრის შექმნისათვის, მადლობა იმ ახალი ინფორმაციებისათვის, რაც ძალიან გვაკლდა და რაც ამ ბიბლიოთეკამ მოგვაწოდა, მადლობა ამ მძიმე ცხოვრების გალამაზებისათვის. 24-ე ბიბლიოთეკა კეთილშობილურ საქმეს უძღვება. ჩვენ – მომავალი თაობა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება უწიგნურნი ვიყოთ. დიდი მადლობა ქ-ნ ნუნუ კიკნაძეს მუდამ გულთბილი მიღებისათვის, დიდი ყურადღებისათვის; ასევე დიდი მადლობა ლენა დეიდას და ქ-ნ თამრიკო ყირიმელს. ისინი ყოველთვის დაინგერესებულნი არიან იმით, რომ თითოეული მკითხველი კმაყოფილი გავიდეს ბიბლიოთეკის შენობიდან.

ნათია ბელუკაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი.

გლდანულის მცხოვრებთათვის, განსაკუთრებით კი იმ ნაწილისათვის, რომელიც დაინგერესებული არის განათლებისა და კულტურის სხვადასხვა სფეროთი, ეს ბიბლიოთეკა ნამდვილი საჩუქარია. შესაშურიც კია ყველა ასაკის

აღამიანის მონღომება და დაინგერესება ამ ბიბლიოთეკით. 24-ე ბიბლიოთეკა კეთილშობილურ საქმეს უძღვება. 21-ე საუკუნის მომავალი არ შეიძლება უწიგნური იყოს. დიდი მადლობა აქ მომუშავე ქალბატონებს მუდამ გულთბილი მიღებისათვის და დიდი ყურადღებისათვის.

ნატო ჯიფუარის ასული ქავშიანიძე
 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მაგისტრანტი.

რედაქციისაზან:

ამგვარი გამოხმაურებები ზეპირადაც არაერთი გაგვიგონია. მართლაც, საკმაოდ მაღალპროფესიულად მიმდინარეობს აქ მუშაობა. ვურჩევდი მკითხველებს, და სხვა ბიბლიოთეკების თანამშრომლებს – კოლეგებს, ეწვიონ ამ ბიბლიოთეკას, გაეცნონ მის საქმიანობას, აქ მოღვაწე ქალბატონებს და დარწმუნდნენ, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს დღეს უბნის უპრეტენზიო, მაგრამ დიდი საქმის გამკეთებელ პატარა ბიბლიოთეკას!

პერსპექტივის გათვალისწინებით

საბიბლიოთეკო

საქმე შორეულ წარსულში იღებს სათავეს და იგი სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ თუ პოლიტიკური ფორმაციის შესაბამისად იცვლიდა თავის სახეს და ამოცანებს, მაგრამ უცვლელი რჩებოდა მისი ერთი ფუნქცია – ცოდნის დაგროვება, შენახვა და გავრცელება. იგი მუდამ იყო და არის კაცობრიობის უნივერსალური მეხსიერება, ხოლო ოცდამე-


ობის კოლექტიურ მონაპოვარს და ერთაშორისი კულტურული დიალოგის ბაზას წარმოადგენს.

სწორედ ამ ფორმატში საქმიანობს კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, რომელიც 1993 წელს დაარსდა. მას საწყის ეტაპზე ორი ოთახი გამოეყო, რომელთაგან ერთში განთავსდა საცავი, მეორეში – დარბაზი; ფონდი 7000 ეგზემპლარს შეადგენდა, რომელიც მთლიანად ვერ “ფარავდა” სასწავლებლის მიმდინარე სასწავლო პროცესის კონცეპტუალურ “ბადას”. ამიგომ პირველი დღიდანვე დაიწყო მრუნვა ფონდის ისეთი სასწავლო და მეთოდური ლიტერატურით შევსებისათვის, რაც უზრუნველყოფდა უნივერსიტეტში არსებული სპეციალობების სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დისციპლინების სრულად დაკომპლექტებას. ცხრა წლის განმავლობაში ფონდი გაიზარდა 9000 ეგზემპლარით და დღეისათვის იგი შეადგენს



ლალი ყაულაშვილი
 თბილისის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი

ერთე საუკუნის მიჯნაზე ბიბლიოთეკა კულტურის ცენტრად ჩამოყალიბდა – დაიწყო იმ ღირებულებების გავრცელება, რაც კულტურული კაცობრი-



16000 ერთეულს, ფონდის გაზრდა მოხდა როგორც შეწირულობებით, ისე შესყიდვებით. დღეს უკვე ყოველი შემოსული წიგნი პასუხობს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიულ ინტერესებს. ფონდის ზრდასთან ერთად, მოხდა ბიბლიოთეკის ფართობის გადიდება. დღეისათვის იგი ოთხ ოთახშია განლაგებული, რომელთაგან ორი დათმობილი აქვს საცავს, ერთი აბონემენტს და ერთიც ღარბაზს. მთელი ფართობი ერგონომიისა და დიზაინის თანამედროვე მოთხოვნებით რეკონსტრუირდა, შეიცვალა ავეჯი, შეძენილ იქნა ბიბგექნივა, უახლეს მომავალში დაგეგმილია მკითხველთა მომსახურების კომპიუტერული უზრუნველყოფა.

უნივერსიტეტში საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სწავლების 600 სტუდენტია, პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა რაოდენობა 280-მდეა, ბიბლიოთეკა ყოველწლიურად 2500 მკითხველს ემსახურება, წიგნგაცემამ 5000 ერთეული შეადგინა. წიგნის გაცემა მეტი იქნებოდა, რომ არა მკითხველთა მიერ რუსული ენის არასაკმარისი ცოდნა, ახალი საგნები კი ძირითადად რუსულ ენაზე გამოცემული სახელმძღვანე-

სიფიკაციის შესაბამე რუსულ გამოცემას. ამ მუშაობაში ჩვენს ბიბლიოთეკარებს კონსულტაციას უწევს კათედრის დეკან-მოხელე პედაგოგი, საბიბლიოთეკო კატალოგების საუკეთესო სპეციალისტი დოცენტი ოთარ ოსაძე; სწორედ მისი დახმარებით და კონსულტაციებით იქნა შედგენილი ქორეოგრაფიული ლიგერატურის მოკლე სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიული საძიებელი,



რომლითაც სისტემატიურად სარგებლობენ როგორც სტუდენტები, ასევე პედაგოგები; ამჟამად მიმდინარეობს მუსიკალური დარგის ლიგერატურის ბიბლიოგრაფიული საძიებლის შედგენა. ბიბლიოთეკას უახლოეს მომავალში ექნება სრულიად გამართული ანბანური და სისტემატიური კატალოგები. ახალი ლიგერატურის დამუშავების პარალელურად, ინსტრუქციის დაცვით ჩატარდა არსებული ფონდის შემოწმება, გადაფასება, გექნიკური დამუშავება.

ბიბლიოთეკის მუშაობაში აქტიურად არიან ჩაბმული წიგნთმცოდნეობის, ბიბლიოთეკათმცოდნეობა-ბიბლიოგრაფიის სპეციალისტების სტუდენტები, სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ უმეტეს დროს ისინი ბიბლიოთეკაში ატარებენ, მათთვის ბიბლიოთეკა სასწავლო ლაბორატორიაა, სადაც ხდება მათი პროფესიული დაოსტატება.

სპეციალობამ რამდენიმეჯერ შეიცვალა როგორც შინაარსი, ისე სახელწოდებაც. 1993-1996 წლებში ინსტიტუტი ამზადებდა უმაღლესი კვალიფიკაციის ბიბლიოთეკარ-ბიბლიორაფებს, 1996 წლიდან სპეციალისტების სასწავლო გეგმა შეივსო უცხო ენების გაძლიერებული სწავლებითა და კომპიუტერის დაუფლებით.

დღევანდელ საქართველოში სოციო-კულტურული ვითარების რადიკალურმა ცვლილ-



ლოებით ისწავლება, რადგანაც ქართულ ენაზე არ არსებობს ამგვარი სახელმძღვანელოები. რექტორატი ყოველწლიურად გამოყოფს თანხას ახალი წიგნების შესაენად, 2001 წლისათვის შეძენილი იქნა 466 ეგზემპლარი.

საბიბლიოთეკო დოკუმენტების კატალოგიზაცია და სისტემატიზაცია მიმდინარეობს საბიბლიოთეკო დარგში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად. დოკუმენტების კლასიფიკაციის პროცესში ვიყენებთ უნივერსალური ათწილადი კლა-

ბამ განაპირობა წიგნის – როგორც კულტურული ღირებულებისადმი დამოკიდებულება და შეიცვალა მისდამი მიდგომაც. უნივერსიტეტმა ანგრიში გაუწია იმ გარემოებასაც, რომ დღეს წიგნის ბაზარზე გასაყიდად შემოდის როგორც ადგილობრივი, ისე უცხოეთში გამოცემული პროდუქცია სხვადასხვა გემოვნების მკითხველთა ინტერესების დასაქმყოფილებლად, ბაზარს კი ამ დარგის უცოდინარი, შემთხვევითი ადამიანები განაგებენ; ამიტომ დღის წესრიგში დადგა 2000 სასწავლო წლიდან გამოსხადებულიყო მიღება სპეციალობაზე – წიგნთმცოდნეობა და ბიბლიოთეკათმცოდნეობა-ბიბლიოგრაფია. ის, ვინც ამ დარგით დაინტერესდება, სასწავლო გეგმის მიხედვით, დაეუფლება ისეთ საგნებს, როგორცაა: წიგნთმცოდნეობა, წიგნის ისტორია, წიგნის არქიტექტონიკა, წიგნის ეკონომიკა, პროპაგანდა და რეკლამირება, მარკეტინგი, საგამომცემლო საქმის ორგანიზაცია.

გემოთ დასახელებული სპეციალობის კურსდამთავრებულებს მიენიჭებათ კვალიფიკაცია – “წიგნთმცოდნე, ბიბლიოთეკათმცოდნე-ბიბლიოგრაფი” შემდეგი სპეციალიზაციებით: “წიგნთმცოდნე, ბიბლიოთეკათმცოდნე-ბიბლიოგრაფი” და “საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერი”. დღეისათვის უმაღლესი სასწავლებელი ამ პროფილის 33-მა სტუდენტმა დაამთავრა, მათგან 5-ინსტიტუტში მუშაობს, 5-რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში. ბიბლიოთეკის 3-თანამშრომელი ჩვენი კურსდამთავრებულია.

ის, რომ ბიბლიოთეკამ გასული ცხრა

წლის მანძილზე შეძლო ფონდი შეეცხო უნივერსიტეტის ლიტერატურით და თავისი წვლილი შეეგანა სტუდენტების სპეციალისტებად ჩამოყალიბების საქმეში რექტორატის დამსახურებაა, რომ არა ინსტიტუტის რექტორის პროფ. თემურ ქლენგის ყოველდღიური ყურადღება, გულისხმიერება და



დაუღალავი შრომა, ბუნებრივია, არ გვექნებოდა ასეთი შედეგი.

ინსტიტუტი 2003 წელს თავის ათი წლის-თავს აღნიშნავს და სიამაყით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მან უკვე დაიმკვიდრა თავისი ადგილი ქვეყნის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებს შორის.

მხოლოდ თანადგომით გვაქვს კარგი ბიბლიოთეკა




გულიკო გიორგაძე მთელი მისი სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის ბიბლიოთეკის წამყვანი ბიბლიოგრაფი

საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის ბიბლიოთეკა 65 წლისაა, იგი ჩამოყალიბდა ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ბაზაზე. ამ ინსტიტუტის შექმნის ინიციატორები იყვნენ გამოჩენილი სამოგადლო

მოღვაწეები და დასტაქრები: შალვა მიქელაძე, ნიკოლოზ ციციშვილი და ალექსანდრე წულუკიძე. სამე-

დიცინო აკადემიის განვლილი წლების მანძილზე სათავეში ედგნენ დამსახურებული მეცნიერები: ილია კოჩიაშვილი, დავით იოსელიანი, ალექსანდრე წულუკიძე, დავით მამამთავრიშვილი, გიორგი ხუნდაძე, სიმონ ხეჩინაშვილი, მაალ კახიანი, პეტრე შოთაძე; დღეს სამედიცინო აკადემიის რექტორია ცნობილი ნევროპათოლოგი პროფესორი რომან შაქარაშვილი, პრორექტორი სამეცნიერო დარგში პროფესორი ივა ბერაძე, პრორექტორი სასწავლო დარგში პროფესორი ირაკლი ფავლენიშვილი. აკადემიის სხვადასხვა კათედრებს ხელმძღვანელობენ თვალსაჩინო მოღვაწეები, პროფესორ-მასწავლებლები: სი-



მონ ხეჩინაშვილი, პალეო კინგრაია, ფრიდონ თოდუა, თამაზ შიოშვილი, თენგიზ ბაქარიაძე, გაიომ ცინცაძე, ოთარ ჩახუნაშვილი, ზურაბ კაკაბაძე, თეიმურაზ აბულაძე, გიორგი ფიფია, თინათინ ბუკია, ვია მენაბდე, ლია ჭელიძე, მამუკა ზოდელავა, მანანა რუხაძე, კონსტანტინე აფრიდონიძე, მანანა თევზაძე. ისინი დიდ ყურადღებას და თანადგომას იჩენენ აკადემიის ბიბლიოთეკის მიმართ. სწორედ მათი ხელშეწყობით მოხერხდა წამყვანი სამედიცინო ჟურნალების გამოქვეყნება, აგრეთვე აღსანიშნავია ის გრადიცია, რომ ჩვენი აკადემიის თანამშრომლები თავიანთი პირადი ბიბლიოთეკებიდან გვჩუქნიან წიგნებს, ჟურნალებს, სახელმძღვანელოებს, ახალ მონოგრაფიებს, სამეცნიერო კონფერენციის მასალებს. აწ გარდაცვლილმა, ცნობილმა დასტავარმა მზადა კახიანმა სიცოცხლეშივე გვაჩუქა თავისი ბიბლიოთეკის ნაწილი, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ მისმა მეუღლემ მთელი ბიბლიოთეკა გადმოგვცა, ასევე მოიქცნენ ბაგ. ჰეგრე შოთაძის, გივი ცინცაძის, დავით ასათიანის, ალექსანდრე სისარულიძის, ალექსანდრე ინაურის და სხვების ოჯახები, რისთვისაც ბიბლიოთეკა დიდ მადლობას უხდის მათ.

სამედიცინო აკადემიის სამეცნიერო ბიბლიოთეკის საერთო ფონდი დღეისათვის შეადგენს 105000-ზე მეტ ეგზემპლარს – წიგნებს, ჟურნალებს, დისერტაციებს, ავტორეფერატებს, მეთოდურ რეკომენდაციებს. ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს ანბანური, საგნობრივი და სისტემატიური კატალოგები. დამხმარე კატალოგები და კარგოთეკები: გოპოგრაფიული, პერიოდულ გამოცემათა, პერსონალური, თანამშრომლების

შრომების, ავტორეფერატების, დისერტაციების, გამოგონებებისა და სასარგებლო მოდელების, სამეცნიერო შრომების. უნდა ითქვას, რომ ჩვენს ბიბლიოთეკაში არსებული საგნობრივი კატალოგი შეფასებულია როგორც ერთ-ერთი საუკეთესო სამედიცინო საგნობრივი კატალოგი. ჩვენ ვცდილობთ, ეს კარგი გრადიცია არ დავარდვიოთ და დღესაც გუღმოდგინედ ვამუშავებთ შემოსულ ლიგერატურას და შეგვაქვს კატალოგებში.

სამედიცინო აკადემიის ბიბლიოთეკას ემსახურება სამი თანამშრომელი: ბიბლიოთეკის გამგე მერი მიქელაძე, წამყვანი ბიბლიოგრაფი – გულიკო გიორგაძე, ბიბლიოთეკარი – ციალა ბაჩილავა. ყველა თანამშრომელი კეთილსინდისიერად და პროფესიულ დონეზე ასრულებს თავის მოვალეობას.

ბიბლიოთეკა მკითხველთა ფართო კონტინგენტს ემსახურება. ესენი არიან: აკადემიის კათედრების პროფესორ-მასწავლებლები, თანამშრომლები, ასპირანტები, რემიდეტები, კვალიფიკაციის ასამაღლებლად მოსული ექიმები და აკადემიასთან არსებული ინსტიტუტის სტუდენტები. მათ ხშირი კონტაქტი აქვთ ბიბლიოთეკასთან. მომსახურება წარმოებს როგორც აბონემენტებზე, ისე სამკითხველო დარბაზში; საჭიროების შემთხვევაში ვიყენებთ ბიბლიოთეკათმორისო აბონემენტს –, ვცდილობთ, ბიბლიოთეკაში მოსულ მკითხველს შევუქმნათ მუშაობის კარგი პირობები. სამომავლოდ დირექციას გათვალისწინებული აქვს ბიბლიოთეკის აღჭურვა თანამედროვე კომპიუტერული მოწყობილობებით, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს და სრულყოფს სამეცნიერო მუშაობას.





პალეოგრაფიულ-წიგნმცოდნეობითი ტერმინები ქართულში ფურცელი

(გამოკვლევა)



ბ. ცხადაძე

ფილოლოგიურ მეცნიერ-გვირგვინის ერთი ბათა დოქტორი, პროფე-ფურცელი, მაგ. ვარდის სტრი

ქართულ ენა-ში ფურცელი ფოთლის სინონიმია [1.203]. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (რვაგომეული) მითითებულია ფურცლის პირველი და მეორეული მნიშვნელობებიც. ფურცელი – ბოგან. მცენარის ყვავილის ფურცელი. გვხვდება ისეთ გამოთქმაში,

როგორცაა ხახვის ფურცელი (ხახვის ბოლქვის გარეთა თხელი კანი). გადატანილი მნიშვნელობით ნიშნავს “უნაყოფო თუთის ხეს”. აგრეთვე ქალაქის ნაჭერსაც (ჩვეულებრივ ოთხუთხედი). შედარ. ქალაქის ნაგლეჯი (ნაყუწი). იქვე მინიშნებულია, რომ ფურცელი ქალაქია, რომლისგანაც შედგება წიგნი, რვეული, გაბეთი და მისთ. გვხვდება ისეთ სიტყვათშეხამებაში, როგორცაა სასტამბო ფურცელი (იგივეა, რაც თაბახი). ფურცლის სხვა მნიშვნელობებია: ა) მოზრდილი ბომის (გაბეთზე პაგარა) დაბეჭდილი ქალაქი, ცალად, აუკინძავად გამოშვებული (მაგ. მიმართვა ხალხისადმი ჩვეულებრივ საჭირბოროტო პოლიტიკურ საკითხებზე, – მოწოდება, პროლაშაქია). ბ) ოფიციალური ცნობა რაიმე უფლება-მოვალეობის შესახებ ან წერილობითი ბრძანება, განკარგულება, მიწერილობა და სხვ. შედარ. აღმასრულებელი ფურცელი, გირავნობის, გირავნობის ფურცელი (ოფიც. ეკონ. წერილობითი დოკუმენტი რისამე დაგირავების შესახებ, – საგირავნო გარიგების წერილობითი საბუთი), ქების ფურცელი (იგივეა, რაც სიგელი) [1], ცნობის ფურცელი და სხვ.

ისმის კითხვა: როგორ იქცა და რა დროიდან დამკვიდრდა ენაში ფურცელი როგორც წიგნმცოდნეობითი ტერმინი? როგორი აგებულე-

ბა-წარმოშობისაა იგი?

როგორც ირვევეა, ისტორიულ ქართულში, თავდაპირველად ფურცელი მცენარის ნაწილი უნდა ყოფილიყო, იგივე ფოთოლი. სწორედ ფოთოლის მნიშვნელობითაა ნახმარი ფურცელი ძველ ქართულში, კერძოდ, ერთ-ერთ უძველეს თარიღიან ხელნაწერში სინურ მრავალთავში (864წ.). იხ. სინ. მრ. გვ. 79,8; 191,8.

ქართული ენის დიალექტებში ფურცელი უნაყოფო, უთუთო ბუკლას ნიშნავს. იგი აბრეშუმის ჭიისათვის უდგათ: [2]. ამ მნიშვნელობით გვხვდება იგი ი. ჭავჭავაძის “კაცია-აღამიანში?”. “ლობესთან, ერთის ფურცლის ხის სიახლოვეს, მოჩანდა ძველი ჩალური” [3,6]. ჩალური – ჩალი-საგან შეკრულ-აგებული სახლია, ქოხია, ფურცლის ხე კი თუთას, როგორც ჩანს, დიდრონი ფურცლების გამო შერქმევიან. ამ ამრს გვიმტკიცებს ა. მაყაშვილისეული განმარტებაც თუთა ლექსემისა: “თუთა – თუთის ხე. Шелковица, Тута, Тутовое дерево Mokus alba. ქართ. ფურცლთუთა, ქართლ-კახური მჭადა, ფურცელი”. კახ. მრუში, ქიმ. ჯაღლა. იმერ. რაჭ. ლეჩხ. ბუკლა; ოვრიბ. ჯორაბუკლა; გურ. აჭ. ჭან. მეგრ. ბუკლი; აჭ. უოლი; ინგილ. მამალ გაპრაი, ეაღლა, ჭან. მუოლი, მეგრ. მუოლი, ჯამპი, ჯაპი. ქალაქის თუთა [4]. ამრიგად, ქართველური ენებისა და ქართული ენის დიალექტების მიხედვით ირვევეა, რომ ფურცლის ხე, ქალაქის თუთა, თუთის ხე სინონიმებია. ჩვენს მიერ მოძიებული მასალებითაც, იმერულ დიალექტში (ე.წ. შუაიმერული კილოვაი) ფურცელი სიმინდის ყანის ალება-დაჩერგილების შემდეგ ყანაში მიწაზე გაფანტულ-გაცეცნილი გამხმარი ჩალის ფოთოლია. სწორედ ასეთი მოტივაციით უნდა აიხსნას ისტორიული თუ თანამედროვე გოპონიმების არსებობა ქართულ გოპონიმიაში: საფურცლე [5], საფურცელა (სადოვრის, სახნავის სახელწოდება იმერეთში) [6] და სხვ. ფურცელ სამოვადლო სახელზე – ა ბოლოსართის დართვით წარმოქმნილია მეგსახელი ფურცელა (შედარ. ქართული ბლაპრის გმირის სახელი ასფურცელა) და ქართული გვარი ფურცე-

ლაბე, რომელიც საფუძვლად დასდებია მიერო-
გოპონიმებს: ფურცელაძიანთ უბანი (გოპონიმი
სოფელ მარგყოფში) [7,344], ფურცელაძისოფელი
(მიეროგოპონიმი იმერეთში, სოფელ ფუთში) [8].

აღსანიშნავია, რომ ფურცელი ფოთლის
მნიშვნელობით მეგრულშიც დასგურდება [8].

ფურცელი არაიშვიათად დასგურდება
ძველი ქართულის გექსტებში: არარა პოვა მას
შინა, გარნა ფურცელი ხოლო. – მ.21,19.
მრ.11,13; რაქამს რგონი მისნი დაჩჩუან და ფურ-
ცელი გამოვალნ. – მ.24,32. მრ.13,28; იხილა
ლელუ შორით, რომელსა ესხა ფურცელ. –
მრ.11,13; რაქამს გამოვალნ ფურცელი, თვთ უწ-
ყოლით, რა ახლოს არს ბაფხული. – ლ.21,30. შე-
დარ. ფურცლოვანი-ი “ფურცლიანი”: იხილა შო-
რით ლელუ ფურცლოვანი. – მრ. 11,13.

ამრიგად, ფურცელი ისტორიულ ქართულ-
ში მცენარის ფოთოლს ერქვა. მაგრამ ძველ ქარ-
თულშივე წიგნთმცოდნეობით გერმინადაც გვევ-
ლინება. ივ. ჯავახიშვილი კევ გერმინთან დაკავ-
შირებით (ამის შესახებ სხვა დროს...) შენიშნავს,
რომ “კეფი” ძველი გერმინი უნდა იყოს, ფურცე-
ლი შედარებით უფრო ახალი ჩანს, მაგრამ მათ
შორის არსებულ განსხვავებას, ვგონებ, ის უნდა
შეადგენდეს, რომ კეფი გრაგნილის შემადგენელ
ფურცლებს ეწოდება, ფურცელი ხელნაწერის
რვეულთა ნაწილის სახელი იყო” [9,63]. ამრი-
გად, გრაგნილი შეიცავდა კეფებს, ხოლო რვეუ-
ლი “ფურცლებს” [10,56]. ფურცელ გერმინის ხმა-
რება დადასტურებულია X საუკუნის ერთ ხელ-
ნაწერში: “ფურცელსა მას წერილისასა ჰურიანი
თარგმანებენ და ნაყოფსა მას სულისასა წარმარ-
თნი მოისთულიან” [11,283].

ფურცელი ძველთაგანვე შეიცავდა ორ
გვერდს. ფურცლის გადაშლას ძველი მწიგნობარ-
ნი “ფურცლის გარდაყრას” უწოდებდნენ, აგრეთ-
ვე “გარდათუალვა”-ს, “ქცევა”-ს. მაგ. “ნუ ის-
წრაფი ფურცელთა გარდაყრასა და გარდათუალ-
ვასა ოდენ, არამედ უკუე ჰპოვო რომელიმე სიგ-
ყუათაგანი და ვერ გულისკმაჰყო, ნუ გცონინ მე-
ორედ და მესამედ და უფროდ მისა ქცევად და
კუალად წარკითხვად” (მამ. სწ.21).

მე-20 საუკუნის 30-იან წლებში წიგ-
ნთმცოდნეობის გერმინოლოგიის მკვლევარმა
ივ. ციციშვილმა სპეციალისგ-ბიბლიოთეკარებს
შესთავაზა ეხმარათ თაბახი და არა ფურცელი. იგი
ერთ-ერთ ნაშრომში განმარტავს: “ფურცელი
არის დაკეცილ თაბახის ერთ-ერთი ნაწილი. აქე-

დან ანაბეჭდი თაბახი და არა ფურცელი”-თ [12].

როგორი აგებულებისაა ფურცელნი ცეცვა?
ფურცელ/ში გამოიყოფა ფურც ძირი და -ელ ბო-
ლოსართი. -ელ კი ცნობილია მელსართავ სახელ-
თა ერთი ჯგუფისათვის. მაგ. წით-ელ-ი, ყვით-
ელ-ი, რომლებიც წარმოშობით ნაზმნარი, მიმ-
ლეობური ფორმებია: შდრ. წით-ს-წით-ელ-ი, მო-
წით-ან-ო// მო-წით-ან-ე; ყვით-ს-ყვით-ელ-ი. მო-
ყვით-ან-ო// მო-ყვით-ალ-ო...

ამრიგად, ფურცელ ისტორიულად მიმლე-
ობა ყოფილა. ფურცელია ის, რაც შგო, კვირგი
გაიფოთლა. მცენარის გამონაყრის შეფოთლვა
დღევანდელ ქართულ ენასაც შემორჩა ოდნავ
ფონეტიკურად სახეცვლილი: ფურცქნის // ფურ-
ჩქნის... ქიმიკში ფურჩნა იგივე ფურჩქნაა, ილი-
აში გამოტანილი წვრილი შგოებისა, არამსხმო-
იარე რქებისა და მელმეგი ფოთლების გაცლავა ვა-
ზისაგან [2], რომელსაც იმერეთში გამორჩევას
(ნორჩი მელმეგი ყლორგების) უწოდებენ.


ქიმიკშივე სგ. მენტეშაშვილს შეუნიშნავს
ფურჩ ლექსემის არსებობა: ფურჩი ქარისაგან
ნარყევი ხის ბზარი; აგრეთვე რკინას, თუ გამოკ-
ვერვაში ნაკეცი შეჰყვა, იცყვიან ხოლმე “ფურ-
ჩი აქვსო”. ასეთი ხე და რკინა სამასაღელ არ ვარ-
გა; გადატანით აღამიანმეც ამბობენ: “ბიჭი კარ-
გია, მაგრამ ერთი ალაგაა ფურჩი აქო” [2;189].

ფურჩქნა, ფურჩ-ში ქ სონორი ბგერა გან-
ვითარებულა, ხოლო ცქჩ ქცეულა. მსგავსი პრო-
ცესი ქართველური ენებისათვის უცხო არაა.
შდრ. ნაკვერცხალი // ჭ ნაკვერჩხალი, ფრცხილი
// ბრცხილი ჭ ფრჩხილი. ამრიგად, ფურცელ წ
ფურც ჭ ფურცის ჭ ფურცქნის (კანს აცლის) ჭფურ-
ჩქნის: ფურჩ (წფურც) ფუძისაგან წარმოიშვა ისე-
თი სიგყვები, როგორცაა: ფურჩ ჭფურჩა

ფურჩნა (ფურცქნა, ფურ-
ჩქნა) ფურჩი (ბზარიანი რკინა, ქა-
რისაგან ნარყევი ხის ბზარი. დი-
ალ.)


ფურჩისაგან ასევე წარმომდგარა: ფურჩეჩი
წ ფურცეცი, მეგრულში ფურჩა ნაქურჩალს, ფურჩეს
ნიშნავს [13]. ქართულშივე ფურჩ ძირისაგან ნაწარ-
მოებია: ფურჩ-ალ-ი, (შდრ. ფურჩალეზიანი კაბა,
“ფურცლებიანი კაბა”); თვით მზნა ფცქენის, და ნაზ-
მნარი ფორმები ნაფცქვენი, ფურც ’ ის უხმოვნო ვა-
რიანგია: ფურც-ის ჭ ფურცქნის ჭ ფცქენის შდრ.
იმერ. ფურც-უკ-ი (მუწუკი) წ ფურც-უკი, მუწუკი, რო-
მელიც აიქერცლება, თხელი კანი გაძვრება.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ:



1. ფურცელი მცენარის ყლორტისაგან წარმომდგარი ფოთოლია.
2. ფურცელი (იგივე ფოთოლი, რომელსაც ორი მხარე, გვერდი აქვს) ძველ ქართულშივე პალეოგრაფიულ-წიგნთმცოდნეობით გერმინად ქცეულა. ფურც მზნური ძირისგან დღესდღეობით

- ორე გამოცემა. – თბ., 1949.
10. სურგულაძე მ. ძველი ქართული პალეოგრაფიული გერმინები. – თბ., 1978.
11. ათანასე ალექსანდრიელი. განვაცებისათვის უფლისა. // ენიმეი XIV.
12. ციციშვილი ივ. ქართული გერმინებისათვის:



თანამედროვე ქართულ ენას, დიალექტებს შემორჩა ისეთი სიტყვები, როგორიცაა:

// კარლ მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის შრომები. – თბ., 1934 წ.1.

ქართულში, კახურში, ქიზიყურში, ყიზილარ-მომბლაკურში, ინგილოურში თუთა, თუთის ხე, უნაყოფო (მამრობითი) თუთა [4], [2], [15].

13. კილანავა ბ. 900 მეგრული სიტყვა. (მასალები ლექსიკონისათვის). – თბ., 1998.

გამოყენებული ლიტერატურა

1 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (რვატომეული). პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით.

14. წერეთელი ბ. გემომერული ლექსიკონი: ქართველურ ენათა ლექსიკა, გურული, გემომერული და ლეჩხუმური ლექსიკონები. – თბ., 1938

2. სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი.

3. ჭავჭავაძე ი. კაცია, ადამიანი; (მოთხრობა). / გამოცემული მ. ბეთანიშვილისაგან/. – პეგერბურგი, 1869.

15. ლლონგი ალ. ქართულ კილო თქმათა სიტყვის კონა. – თბ., 1975.

წყაროთა და ენა – კილოების შემოკლებათა ახსნა

აჭ – აჭარული

4. მაყაშვილი ა. ბოგანიკური ლექსიკონი; მცენარეთა სახელწოდებანი; მესამე გამოცემა ოფსეგის წესით; /სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო გ. ნახუცრიშვილმა/. – თბ., 1991.

- გურ – გურული
- იმერ – იმერული
- ინგილ – ინგილოური
- კახ – კახური
- ლ – ლუკას სახარება
- ლეჩხ – ლეჩხუმური
- მ – მათეს სახარება
- მამ. სწ – მამათა სწავლანი
- მეგრ – მეგრული
- მრ – მარკომის სახარება
- ოკრიბ – ოკრიბული
- რაჭ – რაჭული
- სინ. მრ – სინური მრავალთავი
- ქართლ – ქართლური
- ქიზ – ქიზიყური
- ჭან – ჭანური


5. ბაგრატიონი ი. ქართლ-კახეთის აღწერა: გოპონიმიკა /II. პროფ. შ. ძიძიგურის საერთო რედაქციით/. – თბ., 1980.

6. საქართველოს გოპონიმიკა I; გემო იმერეთი. – თბ., 1987.

7. სახლთხუციშვილი უ. მარგყოფის გოპონიმიის ისტორიისათვის: გოპონიმიკა I. /პროფ. შ. ძიძიგურის საერთო რედაქციით/. – თბ., 1976.

8. ჭარაია პ. მეგრულ-ქართული ლექსიკონი; / კრებული შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა დ. თვალთვაძემ/. თბ., 1997.

9. ჯავახიშვილი ივ. ქართული პალეოგრაფია; მე-



მოვლენები მკვლევობამდე და იცოდა თუ არა ილია ჭავჭავაძემ, რომ ელოდებოდა გოლგოთა



გიორგი
სარაჯიშვილი

სულ გადახმარა მდლო,-
მთები მოზურვილია,-
მამულო უბედურო,-
რად მოჰკალი ილია?
(1, გვ. 2, 1907)

1886 წელს სემინარიელი იოსებ ლაღი-
აშვილის მიერ, თბილისის სასულიერო სემინარი-
ის რექტორის, სემინარიის ებოში, ჩუღუცკის მოკ-
ვლის გამო დასაფლავებაზე წარმოთქმულ სიგ-
ყვაში ეგბარქოსი პავლე სწყევლის მკვლელს,



მეველთან ერთად თვით ქართველ ერს, რო-
მელმაც ეს მკვლელი წარმოშვა. დიმიტრი ყიფი-
ანმა, როდესაც ორი კვირის შემდეგ, ხაშურის
სადგურზე გაიგო ეგბარქოსის საქციელი, განრის-
ხებულმა მისწერა ეგბარქოსს თავისი ისტორიუ-
ლი წერილი და შეუთვალა, ან დალოცე ქართვე-
ლი ერი, ან თავი დაანებე საქართველოსო. „შე-
ურაცხმყოფელი ადამიანი შეურაცხყოფილი
ქვეყნიდან დაუყოვნებლივ გავიდეს“-ო. (გვ.
12,2) ასეთი საქციელის გამო დიმიტრი ყიფიანი
მეორედ გადაასახლეს სტავროპოლში (პირვე-
ლად ქ. ვოლგოგრადში, 1832 წლის შეთქმულე-
ბაში მონაწილეობის გამო), სადაც მეფის აგენ-
ტებმა ვერაგულად მოკლეს 1887 წელს, 74 წლის
ასაკში. „მთავრობის მიერ დაყრილი ხმა, ვი-
თომც დიმიტრი ყიფიანი გაძარცვის მიზნით მო-

ეკლათ, არავის არა სჯეროდა, ყველა დარწმუნ-
ებული იყო, რომ იგი რუსული ხელისუფლების
მიერ იყო მოკლული“. (გვ. 399,3).

„ყიფიანის მკვლევობამ თავმზარი დაგვეცა
ყველას და მთელი ქართველობა ააღელვა. გა-
დაწყვიტეს ჩამოესვენებინათ ცხედარი... ყველბ-
ნი მკლავებზე სამგლოვიარო ლენგებით შემო-
სილები დაფხვდით ცხედარს... ცხედარი უნდა გა-
მოგვეტარებინა გოლოვინის პროსპექტით ერეფ-
ნის მოედნამდე... და ისე უნდა ავსულიყავით
მთაწმინდამდე. პოლიცია რასაკვირველია გამ-
რავლებული იყო და ფეხზე იდგა... პოლიცია გა-
დაგვეღობა და გამოგვიცხადა, რომ პროცესია
გრიბოედოვის ქუჩით უნდა წავიდეს. შეიქმნა
ერთი ჩოჩქოლი, ხალხი წინ მიმავალთ მიაწვა...
მთელ პროსპექტზე გაიმართა უზარმაზარი პრო-
ცესია... განგებ შეაჩერეს ცხედარი და მიცვალე-
ბულის ლოცვა გადაიხადეს დემონსტრაციულად.
სასახლიდან არავის გამოუხედავს... დაკრძალვა-
ზე სიგყვა წარმოთქვა აკაკი წერეთელმა, რო-
მელმაც დიმიტრი ყიფიანი გამოაცხადა საქარ-
თველოს მეორე დიმიტრი თავდადებულად...“

მოელოდნენ ილიას სიგყვასაც, მაგრამ
მას არაფერი უთქვამს. ისე კი გვითხრა, „რა ამ-
ბავსაც დღეს აქ ვუყურებთ, ამას არავითარი სიგ-
ყვა არ სჯობიაო!“ უამრავი ხალხი იყო დაკრძალ-
ვაზე მოსული, ნამდვილად მთელი საქართვე-
ლო!.. გრანდიოზული პროცესია დიდი და გაბე-
დული დემონსტრაცია იყო ქართველი ერისა ცა-
რიზმის რეჟიმის წინააღმდეგ. მან ძლიერი შთა-
ბეჭდილება მოახდინა ქართველობაზე და ერ-
თგვარსაგონებელშიც ჩააგდო ხელისუფალნი. მე-
ორე დღეს მთავარმართებელმა დონდუკოვ-
კორსაკოვმა მოიწვია საბჭოს სხდომა და თათ-
ბირობდნენ... რეპრესია დემონსტრაციის მომ-
წყობთა მიმართ კიდევ მეტ გართულებას გამო-
იწვევდა... უბრალო წინააღმდეგობად ჩათვა-

ლეს. დიმიტრი ყიფიანის ნათესავი, თბილისის ცნობილი ნოტარიუსი დავით ყიფიანი 6 მანეთით დააჯარიმეს და ამით გათავდა საქმე”. (გვ. 394,3).

დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვაზე დამსწრე ილია ჭავჭავაძემ რა იცოდა, რომ 20 წლის შემდეგ იგივე ხვედრი ერგებოდა 70 წლის ასაკში, 1907 წელს, წიწამურთან, 30 აგვისტოს.

მკვლელობიდან 95 წლის გასვლის შემდეგაც ძნელია აუღელვებლად რაიმეს წერა. დღემდე ისმის შემზარავი კითხვა: „ვინ მოჰკლა ილია?“, ცხოვრების რეფორმატორი, თავისი შემოქმედებით სულიერების, მნეობის მასაზრდოებელი, ბავშვობიდან ქართველი გარბილადი.

ჰენრიხ ჰაინე გეისხნის „სადაც დიდებული აღამიანი წარმოთქვამს თავის ამრს, იქვე გოლგოთაა აღმართული”. (გვ. 75,1). პეტერბურგიდან, უმაღლესდაუმთავრებელი, 1861 წელს ჩამოსვლის შემდეგ, ილია ჭავჭავაძეს ამრებიც გამოუთქვამს; პოლემიკაში, დემონსტრაციაში მიუღია მონაწილეობა და უსამართლობის წინააღმდეგ ბევრი წერილიც გამოუქვეყნებია. ილია, ავტოკეფალიის აღდგენის მიზნით, მეფისნაცვალსაც ხლებია და სხვადასხვა საკითხების მოსაგვარებლად კანცელარიის ხშირი სტუმარიც ყოფილა. ილია, მისივე დაარსებულ „საქართველოს მოამბეში”, რომელიც უსახსრობისა და განსაკუთრებით ცენზურის გამო დახურეს (გვ. 127.5), წერდა: „ამ წერილს თირკმელები განგებ ამოვაცალეთ და შუა წელი გამოვსჭერით, რომ თავსა და ბოლოს მაინც ჰქონოდა უფლება ქვეყანაში გამოსვლისა”. (გვ. 8,7). ცენზურის სიმკაცრე ილიას შემოქმედების მუდმივი თანამდევნი იყო.

ავ ენათა პატრონი დაუფარავად გამოხატავდნენ უმადურობას, სამოგალო მოღვაწეების მიმართ, რომლებიც ერის გამოღვიძლებას ცდილობდნენ. ილია არ იყო გამონაკლისი. „არგურ ლაისგის ცნობით, იმ დროს გულჩათხრობილი ილია ხშირად აღმოთქვამდა ხოლმე სიგყვებს: „უმადურები, უმადურებიო!” (გვ. 264,4).

„1905 წლის 10 აპრილს ჟურნალი „მოგზაური” (N13) აქვეყნებს „გ.ნ.”-ს ხელმოწერით (ვასილ ნაცვლიშვილის) წერილს „საგურამოს და ჭოპორგის სამოგალოება”, რომელშიც ილიას ბრალს სდებს გლეხების შევიწროვებაში და ათასგვარ ცილს სწამებს. 1905 წლის 15 აპრილს გაზეთი „ივერია” (N54) მიმოიხილავს ჟურნალ „მოგზაურში” დაბეჭდილ ამ წერილს და ცეცხლზე ნავთს ასხამს (რედ. ფილიპე გოგიჩაიშვილი).

ილია 17 აპრილს „ივერიაში” (N55) ბუჭდავს მოკლე პასუხს ამასთან დაკავშირებით, მაგრამ ვრცელი პასუხი „ნუ თუ?”, რომელიც ილიამ მოამზადა აპრილის ბოლოსათვის, „ივერიის” რედაქციამ არ დაბეჭდა იმ საბაბით, რომ თანამშრომლები გაფიცვით დაგვემუქრნენ, თუ ამას დავებეჭდავთო. ილიამ იგი გამოსცა ცალკე ბროშურად... თბილისის სათავადაზნაურო ბანკის 1905 წლის 23 ივნისის კრებაზე თ-დ მ. ვეზირიშვილის თავხედური საქციელით გულმოსულმა თავისი სათაყვანებელი ბანკიც („ივერიასთან” ერთად) მიაგოვა...” (გვ. 263,4). წერილში „ნუ თუ?” ილია თავად ამბობს, „... მე მამბრალეებს, – ვითომც მხეცურ გულქვობით და სამარცხვინო ავმნეობით ვეპყრობოდე საგურამოს გლეხკაცობას და ამისათვის ერთმანეთზე ცოგად თუ ბევრად შეუწყნარებელს ამბებს მოგვითხრობს...” (გვ. 269,16).

ფილიპე მახარაძე, 1905 წლის 15 მაისის ჟურნალ „მოგზაურის” (გვ. 277-79) N18-ში წერს „პასუხათ თ-დ ილია ჭავჭავაძეს”, „თავის მართლებაც ასეთი უნდა!” სადაც რედაქცია შეახსენებს მკითხველს გაგრძელება „შემდეგ იქნებაო”. იმავე ნომერში „პასუხად ილია ჭავჭავაძეს” (გვ. 283-87) „გ.ნ.” კორესპონდენტი წერილში ამბობს რაღვან: „... ეს კურთხეული ილია ძალიან ჭირვეული კაცი ყოფილა: აღარ მეშვება, მემუქრება, „მგყუანს კარამდე უნდა მივყვეო” და მეც თუ განზე გავექე, ჩვეულებრივით გათამამდება და მართლა მგყუანს დამიძახებს”-ო. (გვ. 286). 1905 წლის 22 მაისის „მოგზაურის” (გვ. 301-03) N19-ში მახარაძე აგრძელებს წერილს, „თავის მართლებაც ასეთი უნდა!” დაპირებულს „შემდეგში იქნებაო” და ასრულებს კორესპონდენტის „მოგზაურის”, N8-ში მოთავსებული წერილის კრიტიკას ილიას საწინააღმდეგოდ ...

თითიდან გამოწოვილია, შეთითხნილია, შეკვეთით დაწერილია პასკვილი. მოურავი წყლიან კოკებს დაუმგვრევს კეცით გლეხს, „უბედური გლეხი, ვიდრე სახლში მივიდოდა დასველებული, გზაში მთლად გაყინულიყო. მივიდა სახლში, მარა კერა გაციებული დახვდა უშემობის გამო. გახდა ხელახლად ავად და ერთს კვირაში გაათავა მრავალგანჯული და წამებული სიცოცხლეო” (გვ. 301,16), წერს პასკვილში ორი ასოთი ხელის მომწერი ავტორი.

თურმე ილია გლეხებს წყალს არ აძლევდა, ამაყად იდგა საგურამოს სახლის აივანზე და

მოურავს აქებდა ასეთი საქციელისათვის და...

ილია ასწავლის პასკვილის „გამკეთებელს“ სადაც ასე ამთავრებს: „არის მოგიერთი იმისთანა მნებორივი კანონი, რომელიც კაცთა ერთმანეთობით ცხოვრებას საძირკვლად უდევს და რომელიც ყოველთვის ერთნაირად სავალდებულოა, რა დასისა, წრმენისაც გინდა იყოს, და ერთი ამ კანონთაგანი ის არის, რომ რაც შენ არ გინდა მოგივიდეს, იმას ნურც სხვისთვის მოინდომებო“.

„ილია ყველას პატივს სცემდა, ყველა გაჭირვებულს ეხმარებოდა, მისი ნაწყენი კაცი მე არ მინახავს ჩემს ცხოვრებაში. ისე კი გაბეთში დაწერილი წერილებით ხშირად აგკენდნენ გულს. ჰო და აბა რა უნდოდათ ამ ღვთისნიერ კაცთან“ (გვ. 54,6) – თვალცრემლიანი ყვებოდა ოლლა.

ილია კახეთის ულამაზეს მიწაზე ყვარელში დაბადდა, სადაც ბევრი სახელოვანი ქართველი დაბადებულა. „როცა დედა მშობიარობდა ილიაზე, ლეკები დაესხნენ მის საცხოვრებელ ბინა-კოშკს. მშობიარე ქალი იქვე კოშკში შეხიზნეს და ვაჟიშვილი მოევიდნა ქვეყნიერებას, ბრძოლის ყამს. ვისაც მოგვიანებით, 1896 წელს საგურამოში „ილიაობაზე“, მთარმევენ ეროვნული დროშას, როგორც ერის ბელადს, მასზე ამოქარგული მისივე სიგეყვებით: „კაცი უნდა კაცად იყვეს, სანთელსავით თვით დაიწვას და სხვას კი გზას უნათვიდეს“ (გვ. 13,7).


1897 წელს ილია ჭავჭავაძეს უსრულდებოდა დაბადებიდან 60 წელი, ხოლო ერის სამსახურში 40 – წლიანი მოღვაწეობის თარიღი. გაბეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 260) წერდა იუბილეს აღნიშვნის თაობაზე, განა შეიძლება „... განვილილ 40 წელსაც არ ვუწოდოთ ხანა ილია ჭავჭავაძისა და ჩვენი გამოღვიძების სულის ჩამდგმელად და მეთაურად ის არ ჩავთვალოდ, როგორც მეფე ერეკლეს ვთვლიდით „ასპინძის თმის“ მომგებად“. ამ ცნობის შემდეგ უამრავი წერილი დაიბეჭდა გაბეთებში ეროვნული დღესასწაულის შესახებ, რომელიც უნდა გადაეხადათ დიდუბის ეკლესიაში, გაბაფხულზე. „ცნობის ფურცელმა“ გამოაქვეყნა თოთხმეტი მუხლისაგან შემდგარი წინადადება, მათ შორის იუბილედან შემოსული თანხით უნდა დაედგათ რუსთაველის ძეგლი სათავადაზნაურო ბაღში.

ქურნალ „მწყემსს“ რეაქციული პოზიცია ეჭირა იუბილეს მზადების პერიოდში. იგი წერდა: „შემდგომ დროში მემგინანე ვერ შეადგენს ნამდვილ აზრს, ვინ იყო ღირსი ქებისა და ვინ დი-

დებისაო... ნეგავი რას ფიქრობენ სხვა პირების იუბილეს დღესასწაულობის შესახებ? ნუთუ სხვებს არ შესრულებია 41 (დაცინვითი) წელიწადი მათი მოღვაწეობის დაწყებიდან? მოგიერთები ლამის ხელიდან გვეცლებიან და არავინ ფიქრობს მათ იუბილეს დღესასწაულობაზე! დი-ახ, პურ ღვინოს და სადილებს ბევრი შეუძლია... მრავალს აბრმავეებს და მრავალს თვალს უხვევს“. გაბეთი ღვარძლითა და სიამოვნებით დასძენს, „როგორც შევიგყვეთ, მთავრობა ნებას არ იძლევა ილიას იუბილე გადაუხადონო“ და სხვა.

არავინ ღაობს იმის შესახებ, „ვინ იყო ღირსი ქებისა და იუბილეების გადახდისა“, რადგან მაშინაც გვეყვანდნენ იუბილეს ღირსნი. დაბოლმილების ჭკუამოკლეობა გამოვლინდა, როცა, „ვერ შეადგინეს ნამდვილი აზრი, ვინ იყო ღირსი ქებისა“, გედგამოჭრილია მათზე ღე კასტელის გამონათქვამი: „უმაღური საქციელი ყველა ადამიანის სარკეაო“. (გვ. 247,14) მათ ვერ განჭვრიტეს, რომ გაივლის დრო და ეკლესია ერის სულიერ მამას, ილია ჭავჭავაძეს წმინდანად შერაცხს (1987). აი, რაგომ იყო საჭირო ილია ჭავჭავაძისათვის იუბილეს გადახდა და გენიოსის დაფასება.

აგეხილმა მარების რეკვამ მოიგანა ის, რომ „ერთ საღამოს სხლომაზე... უკვე ღროა ვითხოვოთ მთავრობის ნებართვა... შემოვიდა ილია კრებაზე... მწარე ღიმილით სთქვა, გყუილად ნუ ირჯებით, ბაგონებო. მე წინაღვე ვიცოდი, რომ ნებას არ მოგვეცემდნენ და არც მოგვეცემენ. დღეს დილით... გოლოვინის პროსპექტზე, ჩვენი პოლიცემისგერი ჩვეულებრივ მთაფრენდა თავის „დროშკას“. დამინახა თუ არა... საჩქაროდ გადმოსტა, ჩემსკენ გამოემურა. ეს არის თქვენთან მოვდიოდი, კნიაზ ილია გრიგორიჩ, თქვენთან დიდი სათხოვარი მაქვს: თქვენ უნდა იქონიოთ გავლენა და გადაადებინოთ თქვენი იუბილე. დიდი არეულობაა ხალხში, დიდი მღელვარებაა, დიდი შეხლა-შემოხლაა პარგიათა ბანაკში, ხომ მოგეხსენებათ, რა დიდი სახელი გაქვთ მთელ საქართველოში, აუარებელი ხალხი შეიყრება თქვენს პატივსაცემად, შეიძლება რაიმე ინციდენტი მოხდეს და თქვენ და ხალხსაც უსიამოვნო შეტაკება მოუხდეთ რაიმე. ხომ მოგეხსენებათ, ბრბოს შეკავება ძნელია... მე იძულებული ვიყავი აღმეთქვა, რომ ყოველ ღონისძიებას ვიხმართ, რომ გადადებული იყვეს იუბილეს ყოველი სამზადისი“. (გვ. 17,8). მეფის მთავრობა ში-



შობს, „ჩაშლილი იუბილე“ არ იქცეს ეროვნული აღგზინების საბაზად. ილია თავად იმ ამრისა იყო, რომ „ხალხი – ეს თავი და ბოლო ისგორიისა, მღვაა. ერთი რომ დაიგრიანლოს ძალა და დიდება მისია“. ასე რომ, ილიას თვითონვე ათქმევინეს იუბილეზე უარი. გამალებულმა „იუბილესათვის მზადებამ უფრო დააჩქარა პოეტის ვერაგული მკვლელობის სამზადისი ვინაიდან იუბილეს მზადების პროცესში უფრო ნათლად გამოჩნდა ქართველი ხალხის ერთიანობა, ერთგულება და სიყვარული პოეტის შემოქმედებისა და მისი საზოგადოებრივ მოღვაწეობისადმი“. (გვ. 17,8).

„... 1884 წლის 25 აპრილიდან პოლიციამ ილია ჭავჭავაძე საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ აიყვანა, რომლის მთავარი მიზეზის თაობაზე პოლიციის საიდუმლო ქაღალდებში ვკითხულობთ: „ილია ჭავჭავაძე ქურნალების „ივერისა“ და „იმედის“ თანამშრომლებთან ერთად შეადგენს ჯგუფს იმ ლიბერალებისას, რომელთაც სურთ მოიპოვონ საქართველოს დამოუკიდებლობა და ოცნებობენ ქართულ პარლამენტზე... ან კიდევ: „თავადი ილია ჭავჭავაძე გამორჩეული ჭკუის პაგრონია და დიდი ავგორიგეგით სარგებლობს ქართველებში და, განსაკუთრებით, თავისუფალ მოაზროვნეთა შორის. დადის ხმები, რომ მასთან დროდადრო იკრიბებიან ქართველი ინტელიგენტები და არკვევენ საქართველოს სხვადასხვა საზოგადოებრივ და სოციალურ საკითხებს...“ (გვ. 245,13).

მოგვიანებით, მომხდარა ასეთიც, „... საბუთებში, სხვათა შორის, იყო ქანდარმერიის უფროსის მოწერილობა, სადაც პირადად ევალებოდა მაზრის უფროსებს თვალყური ელევნებინათ ილია ჭავჭავაძის მოქმედებისათვის, ვინაიდან იგი არასაიმიელო პიროვნებად მიაჩნდათ“, წერს ყარამან ფაღავა და დასძენს: „ილია ჭავჭავაძე მაშინდელი ადმინისტრაციის დიდი პატივისმცემელი არ იყო... გადავეცი საიდუმლო, რომ მაზრის უფროსს ევალება მოგაქციონ თქვენ ყურადღება, როგორც არასაიმიელო პიროვნებას. ილიამ გაიცინა და მითხრა, გეგყობა, რომ ახალი მაზრის უფროსი ხარო და თქვენთვის ეს ახალი ამბავიაო. მე კი დიდი ხანია ვიცი, რომ ქანდარმერიიდან დაჯილდოვებული ვარ უნდობლობის ჯილდოთი... ვახშმის დროს შემოვიდა მოურავი დიმიტრი ჯაში, მის შემოსვლაზე ილიამ ჩანგალი ხელიდან გააგდო, ცუდ გუნებაზე დადგა და შეეკითხა რა გინდათ? ჯაშმა უთხრა – ბაღისათვის მუ-

შები გეჭირდებაო; ილიამ უთხრა – სომ ხელავ, ესლა დრო არა მაქვს და ხვალ მელაპარაკეო, მოურავი გავიდა. ილიამ თავი გააქნია და თქვა: ეს ვინ მომახვიეს თავზეო, ხალხში დაძვრება, რაღაცა ხმებს ავრცელებსო. მაალ ჭავჭავაძემ უთხრა – თუ ასეთი პიროვნებაა, რატომ თავიდან არ მოიშორებო? ილიამ მიუგო – ესლა კი მალე მოვიშორებ, მაგრამ გვიან არისო. მეც ჩავეერიე – ბაგონო ილია! თქვენი მოურავი არ უნდა იყოს სუფთა კაცი-მეთქი, და გადავეცი ჩემი ნანახი, როგორ გამოვიდა ქანდარმთა სამმართველოდან ჯაში და რაც გადმომცა მცხეთის ქანდარმთა ვახშმისგრმა რომანენკომ ჯაშის შესახებ, „ის ჩვენთან მუშაობს აგენტადო“. ილიამ თქვა: ეს ჯაში ისეთი პიროვნებაა, ყოველივე საზიზღრობა შეუძლიან ჩაიღინოსო“. (გვ. 17,9).

„Сестра Ильи чавчавадзе - Елизавета, проживающая в Тбилиси, после убийства Мемарнишаили стала получать анонимные письма с угрозом - в том случае, если на место Мемарнишвили не будет назначен Джаши, она будет убита, а дом её предадут огню. Сестра многократно просила брата о требуемом назначении Джаши, но Илья Чавчавадзе, не боясь никаких угроз, отказывал сестре. В дело вмешались и годские власти Тифлиса, намекая на близость Джаши к заместнику царя на Кавказе графу Воронцову-Дашкову, который, действительно, несколько раз приглашал на свои приёмы этого малоизвестного репортера, подписывающего свои заметки псевдонимом „Джигит“ и состоящего в партии социалистов-федералистов (а не в социал-демократической партии, как утверждают некоторые исследователи). Параллельно с этим, к владельцу дома, в котором проживала Елизавета заявили неизвестные, которые в ультимативном форме сказали ему, что если в ближайшие дни Джаши не будет назначен управляющим сагураимским именем, и княгиня и он сам будут убиты Сестра вновь, уже категорически, попросила брата, и он, скрепя сердце, дал согласие.“ (BE. 128,10).

დიმიტრი ჯაში გარდა კორესპონდენტობისა, ქანდარმთა აგენტობისა და საგურამოში, ილიას ადგილ-მამულის მოურავობისა, იყო სოციალ-დემოკრატიული (გვ. 278,4) და სოციალისტ-ფედერალისტთა (გვ. 128,10) პარტიების წევრი. მკვლევართაგან ან ერთი ცდება, ან მეორე, ჩვენი აზ-

რით ორივე მართალია, ერთის დამატებით – იგი მენშევიკ-ბოლშევიკ-რევოლუციონერიც იყო, რასაც გვაფიქრებინებს თავად ილიას სიტყვები: „ყოველი საზომლობა შეუძლიან ჩაიღინოსო.“

1896 წელს, 71 წლის ასაკში გარდაიცვალა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი, ერისკაცობაში გერასიმე ქიქოძე (დაიბ. 1825). ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის მოწინააღმდეგე, ერის საჭირბოროტო საკითხებისათვის მებრძოლი. „გაბრიელ ეპისკოპოსზე ილია დიდი ამრისა იყო... ილიამ სთქვა, „რასაც იტყვის იმას დიდ ანგარიშს უწევნო“. (გვ. 412,3). გაბრიელის სიტყვები და ქადაგებანი გამოცემულია ქართულ (1865, გ. 1-2, 1848-85), რუსულ (1893) და ინგლისურ (1867) ენებზე. 1858 წელს პეტერბურგში გამოქვეყნდა მისი კაპიტალური ნაშრომი, „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“, რომელიც რუსეთის სემინარიებში დიდი ხნის მანძილზე სასწავლო სახელმძღვანელოდ იხმარებოდა, რამეც ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიაში (გ. 28) წერია: „ამ წიგნით იწყება რუსული ფსიქოლოგიური მეცნიერების ისტორია“-ო.

ეპისკოპოსი დაკრძალეს გელათის ღვთისმშობლის ეკლესიაში. ილია ჭავჭავაძემ წარმოთქვა სამგლოვიარო სიტყვა. „მას დიდი პატივისცემითა და აღფაცებით მოუსმინა დიდძალმა ხალხმა, რომელსაც გაეჭედა ეკლესია“. (გვ. 414,3).

იმ დროს ქუთაისის პოლიცემისგერი ყოფილა ვინმე სიმონიშვილი, რომელსაც ქართველებს შორის ძალიან ცუდი სახელი ჰქონია გავარდნილი: „დამსახურებისათვის ყველაფერს ჩაიდენსო“. (გვ. 415,3) გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვას ესწრებოდა, „ილიასთან ყველაზე უფრო დაახლოებული პირი ლევან ჯანდიერი (1848-1918), თბილისის მაზრის უფროსი... ჯანდიერს შეეგყო და ჩვენც გვაცნობა, რომ იმ სიმონიშვილს თბილისიდან მელიძემ მისდიოდა ღეპეშევი: „Следить за Ильей Чавчавадзе и записать каждое слово что он скажет.“ (BE. 415,3).

პოლიციას ახსოვდა საქართველოში აჯანყებები, 1832 წელი, გაფიცვები, დემონსტრაციები, 1893 წელს ქართველი გენიოსის განჯიდან გადმოსვენება და სხვა. იმ დროისათვის დიმიტრი ყიფიანის, ვისთანაც ილიამ დააარსა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება 1879 წელს, დაკრძალვიდან 9 წელი იყო გასული, არც ისე დიდი დრო, რომ ყოველივე დავიწყებოდა მეფის ოხრანკას. ილიას

საფრთხე ყოველდღე ელოდა, იგი სამიზნედ ყავდათ მიჩნეული, თვალთვალი იყო მასზე დაწესებული. რა იყო ამის მიზეზი? ილიას ენციკლოპედიური განათლება? პაგროტიზმი? ლიგერატორული შემოქმედება? ყოველივე ერთად აღებული! განა თვითონ ილია არ გაიძახის, არსებული რეჟიმის გამო, „კაცი არ არის გარშემო, რომ ადამიანის ნიშანწყალი ჰქონდეს. ვყვირივართ, როგორც ნახირი ბაკშიო“.

საინტერესოა, თუ როგორი დატოვა საქართველო ილია ჭავჭავაძემ პეტერბურგში წასვლამდე. 900-იანი წლებიდან დაწყებული, პარგიათა გააქტიურებამ მოიგანა არა მარტო მუშათა რევოლუციები. პარტიებმა დაიწყეს ცხოვრების შეცვლა, რაშიც ლიდერებს ეხმარებოდათ სამღვარგარეთის პარგიათა გამოცდილებების კარგად შესწავლა და მათი გავლილი გზების ანალიზი.

1892-1903 წლებში საქართველოში ჩამოყალიბდა სოციალ-დემოკრატიული პარტია. (გვ. 32,15), თავისი ფრაქციებით, ხოლო მოგვიანებით 1906 წელს სოციალისტ-ფედერალისტების პარტია დაარსდა, განსხვავებით დემოკრატებისაგან, რუსეთის ფედერალისტებისაგან განცალკევებით. რევოლუციურ მოძრაობას სათავეში ედგა მძლავრი ბირთვი, რომელიც თავიდანვე მტკიცედ დადგა ლენინურ პლატფორმაზე, ვინც ცარიზმის და კაპიტალიზმის წინააღმდეგ დარაბმა მასები.

რევოლუციის პირველი მძლავრი ხანძარი 1905 წელს გაჩაღდა. მუშათა მოძრაობა ფაბრიკა-ქარხნების კედლებს გასცდა, ქუჩებს მოედო და კაპიტალისტური ჩაგვრისა და თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ მძლავრ პოლიტიკურ დემონსტრაციად და საბარაკალო შეჯახებებად გადაიზარდა. სოფელი აღსდგა და აგრარულმა მოძრაობამ მძლავრი გაქანება მოიპოვა. გაზეთი „ვეპერიოდი“ 1905 წელს წერდა: „კავკასიაში რაღაც არაჩვეულებრივი ხდება“. ბოლშევიკური (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა. გ.ს.) პარტიის III ყრილობის რეზოლუციაში შექმნილი ვითარება დახასიათებული იყო როგორც სანიმუშო მთელი იმპერიის მასშტაბით, რადგან აქ რევოლუციური მოძრაობა „უკვე მივიდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო აჯანყებამდე“.

ილია ჩრდილოეთში მოუშვადებელი არ წასულა, მანამდე დაწერა პოლიტიკური ეკონომიის და სამართლის საკითხებზე ნაშრომები, პუბლიცისტური ნარკვევები: „ცხოვრება და კანონი“

(1877-81), „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა“ (1886), „ხიზნების საქმე“ (1880-86), „სამოგალობრივი ცხოვრების ნაული და მისი ეკონომიური მიმღებები“. (1897) და სხვა. დღეისათვის აქტუალურია ილიას „აი ისტორია“ (1889) და „ქვათა ღაღაღი“ (1889), რათა პასუხი გაეცეს განმაქიქებლებსა და ფალსიფიკატორებს ილიასებურად. ბროკჰაუზის ენციკლოპედიისათვის დაწერილ ავტობიოგრაფიაში (1902 თუ 03) ილია ამბობს: „სომხთა მეცნიერი და ქვათა ღაღაღი“, წერილი ამას წინათ დაიბეჭდა რუსულად და დიდი ალიაქოთი ასტეხა სომხურ მწერლობაში“. დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ „ბაბალეთის ტბის“ (1883) დაწერის დღიდან 120 წელია გასული, მაგრამ ერი აღორძინების ნაგვრამია და მომავლის იმედს მოთმინებით შესცქერის! ივანე ჯავახიშვილი ბრძანებს, ილიამე: „საქართველოს ისტორიოგრაფიაშიც ისეთი ღვაწლი ჰქონია, რომლის დავიწყების უფლება არც ერთს ქართველს არა აქვს“. (გვ. 16,19).

ქართველ „დეკუტატებზე ადრე ილია ჩამოვიდა (აპრილი 1906 წელს), თავად-ამნაურთა კრებაზე არჩეული იქნა (თბილისის გუბერნიიდან. გ.ს.) სახელმწიფო საბჭოს წევრად“ (გვ. 107,12). არჩევისას განაცხადა: „სახელმწიფო საბჭოში თუ თავადამნაურთა სახელით შევდივარ, ეს მხოლოდ ფორმალური, იურიდიული მხარეა. არ დაფარავ და ვიგყვი: საბჭოში მთელი საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები“. პეტერბურგში ჩასვლისას ქურნალ-გამეთის წარმომადგენელი ეწვივნენ. (გვ. 107,12) სურდათ გაეგოთ ილიას პოლიტიკური მიმართულებანი და საქართველოს ამბები. „ყოველ კითხვაზე დაუმარებლად იძლევა პასუხს, საქართველოს აწიოკების შესახებ. ნაღვლიანი კილოთი მითხრა: „რაც რუსულ გამეთებში დაიბეჭდა, ის სინამდვილის მეასედია. ჩვენი ხალხის ცხოვრება ჯოჯოხეთად გარდაქმნეს. მე დარწმუნებული ვარ – ჩვენი დეკუტატები სათათბიროში ამ საგანზე აღძრავენ შეკითხვას. თუ სახელმწიფო საბჭოში მოხერხდა – მე ვეცდები დაუფარავად დავხატო სრული და უგყუარი სურათი ჩვენი ქვეყნის ვაებისა“, (გვ. 108,12) წერდა დიდი ილიას შესახებ სპარლამენტო პრესის თავმჯდომარე მალაქია ბოლქვაძე. ბოლქვაძე თითქმის ყოველდღიურად ხედებოდა ილია ჭავჭავაძეს. სანამ ქართველი დეკუტატები ჩავიდოდნენ და პირველი ისტორიული დაწესებულება, სათათბირო დაიწყო მუ-

შაობას. თბილი ურთიერთობები დამყარდა მათ შორის, ერთად დაათვალიერეს პოტიომკინის სასახლე, სადაც სპარლამენტი იყო განთავსებული.

„აქ უნდა შრომა, შრომას კი ძალთა შეკრება“, (გვ. 133,12) ამბობდა ილია და „სიამოვნებით ესწრებოდა ყოველ კრებას და აქტიურ მონაწილეობას იღებდა მსჯელობაში“, რომელსაც მომარცხენეთა მცირე გუნდი – რუსეთის მოწინავე სამოგალობისა და მეცნიერების წარმომადგენლები განცალკევებულ კომისიას შეადგენდნენ. ისინი თავის კრებებისათვის არჩევდნენ დიდ საკითხებს – ამინისტია, სიკვდილით დასჯის მოსპობა, აგრარული საკითხი და სხვა, რომელნიც სათათბიროში მზადდებოდა. ილია თანდათანობით მჭიდროდ უახლოვდებოდა „მემარცხენეთა გუნდს“. მან მალე მიიქცია, პოლიტიკურ ასპარეზზე „უცხო ამხანაგთა“ ყურადღება. „ილია იქაც ილია იყო. ასეთ პირობებში დაიწყო ახალი მოღვაწეობა ჩრდილოეთში მოხუცებულმა, დაღლილმა ილია ჭავჭავაძემ“. (გვ. 110,12)

ილიას პოლიტიკური შეხედულებების ასეთი განსხვავება მის „ამხანაგებს“ მეტად აღელვებდა. ეს „ამხანაგები“ იყვნენ ილიას ამომრჩეველები – თავადამნაურთა წარმომადგენლები, რომლებიც რუსთა კავშირს ან მემარჯვენე ჯგუფს ეკუთვნოდნენ.

„რუსეთის თავადამნაურთა უმრავლესობა (მათ შორის სახელმწიფო საბჭოს წევრი და ამომრჩეველნი) დღესაც დიდი საყვედურით იგონებენ ილიას. უკანასკნელ თავადამნაურთა არჩევნებზე, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ თავ. ბაგრატიონ-დავითაშვილი, ვ. მიქელაძე, სახელმწიფო სათათბიროს „ცნობილმა“ წევრებმა კრუპენსკიმ და მარკოვმა ბრძანეს: „ჩვენ ავირჩიეთ ილია ჭავჭავაძე, იმან მთელი თავადამნაურობა შეგვარცხვინა, ის სახელმწიფო საბჭოს მემარცხენეთ მიეკელა. ჩვენ შევცდით და ვნანობთ. ეხლა თუ საიმედო კანდიდატს დავვისახელებთ, ისეთს, როგორც გენერლები ორბელიანი და მუხრანსკია, თუნდ წერა-კითხვაც არ იცოდეს დიდი სიამოვნებით ავირჩევთ“... მათ სხვებმაც ბანი მისცეს“. (გვ. 108-109,12).

„ჩვენ არ ვამბობთ, ილია სოციალისტი იყო, არა. ეს არც რუსთა თავად-ამნაურთა ამინებდა. ამათვის საკმაო იყო ის, რაც ერთ დიდ წიგნშია აღნიშნული, თეთრზე შავად: „Князь является сторонником широкого местного самоуправления, с широкой законодательной

местной властью". (გვ. 109,12).

„ილიას ესმოდა უკმაყოფილების ხმა (თავიდანვე), მაგრამ ის ასეთ ქცევას ღირსეულად აფასებდა. დამოკიდებულებას არ ამწვავებდა, თავის სიგყვას და გადაწყვეტილებას არ ღალატობდა, ჭკვიანური მხედველობით უცქერდა სინამდვილეს". (გვ. 109, 12) „ილიას ნიჭი იყო ძლიერი, სასტიკი, მეხთა მტეხი, მრისხანე და შეუპოვარი", წერდა კიგა აბაშიძე.

„პირველი სათათბიროს უკანასკნელი დღენი იყო, როდესაც თბილისიდან ამბავი მოვიდა, „შიო ჩიგაძე მოკლეს სათავად-აზნაურო გიმნაზიაშიო"... ილიას სიბრძნით სავსე თვალები ცრემლთა ზღვაში დასცურავდა, სახე სულის განჯვას და უსამღვრო ნაღველს მოეცვა შიო ჩიგაძის ვერაგულ მკვლელობას...

– რა უბედურება გვატყდება თავს?!. რას ვესწრებით? რას გვიშვებიან?!. უთუოდ შეკითხვა უნდა შეიგანონ ჩვენმა დეპუტატებმა. რა ხდება?.. გულმოკლული გაიძახოდა ილია. სათათბიროში შეკითხვის გარჩევას ილია დაესწრო, მოისმინა ჟორდანიას, ჯაფარიძის და ი. ბარათაშვილის სიტყვები, „განსაკუთრებით გული აუჩვილა უკანასკნელის სიტყვამ". გადაწყვიტეს ალექსანდრე ნეველის ლავრაში პანაშვილის გადახდა. სამწუხაროდ, პეტერბურგელ ქართველთაგან ორიოდე კაცი დაესწრო. მათ შორის პროფ. ალ. ცაგარელი. ილია ცუდად გრძობდა თავს, მაგრამ მაინც მოვიდა ყველაზე ადრე". (გვ. 133-134, 12).


სახელმწიფო საბჭოს გახსნის ორი თვის თავზე, ილიამ საბჭოს შინაგანაწესის პროექტის კრიტიკით „დიდი ალიაქოთი ასტეხა", სადაც იგი ცარიზმს მოიხსენიებს „საძულველ ვიწრო – ბიუროკრატიულ რეჟიმად". ილიამ თქვა: „Комиссия возымела желание дополнить учреждение (положение) Государственного Совета в наказе... - в смысле преграждения всякого общения между Государственным Советом и народом... Это немного напоминает ненавистное начало узкобюрократического режима, который полагает, что не правительственные лица и учреждения существуют для народа а народ для этих учреждений..." (სტენოგრაფიული ანგარიშიდან).

1811-1917 წლებში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმებული იყო. რაც რუსეთმა ძალით – ადმინისტრაციული წესით მოახდინა. სახელმწიფო საბჭოს მუშაობის პერიოდში,

იმ დროს სინოდში მონაწილეობის მისაღებად გაწვეულნი იყვნენ ეპისკოპოსები ლეონიდე და კირიონი, მათთან ვოსტროგოვიც იყო. სინოდის კრებებს ალ. ცაგარელი ესწრებოდა. ალ. ცაგარელმა ილიას ყოველივე უამბო. „ილია სახელმწიფო საბჭოს წევრი იყო და უნდა მორიდებოდა კერძო ვიზიტებს. ბიუროკრატიულ წესს ჭავჭავაძემ გვერდი აუხვია, მეორე დღეს ცაგარელთან ერთად წავიდა პეტერბურგის მიგროპოლიტი ანტონისთან, სინოდის თავმჯდომარეს ქართული ეკლესიის თავისუფლებაზე დიდხანს ესაუბრა. (გვ. 113,12).

სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ ვრცელი მოხსენების შედგენა და სახელმწიფო საბჭოში წაკითხვა ილიამ იკისრა. ილიასთან დაახლოებული, პეტერბურგში მცხოვრები ალექსანდრე ყოშიძე ქართველი, არ ურჩევდა მოხსენების წაკითხვა ქართველს ეკისრა, „ასეთი დაუფიქრებლობით მთელ საქართველოს საქმეს ვაუფუჭებთ... ისევ რუსმა წაიკითხოსო". (გვ. 111,12). ილია პასუხობდა, „ჩემს ამრს და გადაწყვეტილებას არ გადავთქვამ... პრინციპულად არ მსურს მოგისმინოთ". ილია ყოველგვარ ქმედებაზე აკი თავად წერს: „მე ჩემს მოქმედებაში კანონის ნებართვას კი არ ვიმძღვარებ წინ – სინდისის ბრძანებას ვასრულებო". (გვ. 13,7).

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ, მთელ იმპერიაში სგოლიპინის რეაქცია მძვინვარებდა, რუსეთში სახრჩობელები იდგებოდა. სჯიდნენ რევოლუციონრებს. ილიას გამოსვლა საბჭოში ფაქტიურად მათ დაცვას გულისხმობდა, ასე ესმოდათ სახელმწიფო საბჭოს დიდ უმრავლესობას და იმპერატორის სასახლე გაუღიმიანებია. ილია ჭავჭავაძის საბჭოში გამოსვლის, სიტყვის დაბეჭვლევა მთავრობას აუკრძალავს, ამიგომ დედანი აღმოჩენილი არ არის, ხოლო „მოკლე კონსპექტი ილია ჭავჭავაძის სიტყვისა, „სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ", შეგანილია თხზულებათა 10 ტომში. ილიას სიტყვის სტენოგრაფიულ ჩანაწერებში წერია: „Убийство, смертная казнь стали таким обычным явлением. Подобные события перестали быть новостью..." ილიამ საბჭოს გრიბუნა გამოიყენა იმისათვის, რათა დაეგმო სისხლიანი გზა. მან კარგად იცოდა, რომ „вопрос об отмене смертной казни, несмотря на все наши старания не пройдёт..." ისტორიკოსი, აბაღემიკოსი, სახელმწიფო საბჭოს წევრი მ. კოვა-



ლევსი 1913 წელს ილია ჭავჭავაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ სხდომაზე, რომელსაც იგი თავმჯდომარეობდა, სიტყვაში ამბობდა: „Мы собрались чувствовать память крупного общественного и политического деятеля... Нужно ли говорить о том, что каждый раз он оставался в меншенстве?... Он был в числе немногих сторонников широкой аграрной реформы, имевшей своей задачей расширение крестьянского землевладения...” და სხვა.

ილია „აღტაცებით აღნიშნავდა ორაგორის სიტყვის დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას... ქება-აღტაცებასთან ერთად, კრიტიკულად არჩევდა ღეპუტატთა ნათქვამს”. ერთ სხდომაზე ღეპუტატმა, სადაც ყველა მინისტრი ესწრებოდა, მათ საწინააღმდეგო სიტყვა თქვა. „მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა... ნეტავ რა გუნებაზედ არიან მინისტრები. ძლიერი მათრახია ურყევ საფუძველზე აშენებული. ამბობდა ილია, უსამღვრო კმაყოფილებით”. (გვ. 115,12).

ილიას ძალიან აღიზიანებდა ავგონომიის საკითხი. ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლუციის დაწყებისთანავე თავადაზნაურთა პეტიციაში მოითხოვა ავგონომია და ჩააწერინა, რომელიც გაიგზავნა რუსეთში. იგივე შინაარსით გაეგზავნა მოთხოვნა იმპერატორს დასავლეთ საქართველოდანაც.

ღეპუტატები ნოე ჟორდანიას, ისიდორე რამიშვილი, ივანე გომართელი, სიმონ წერეთელი, სერგი ჯაფარიძე ყველანი სოციალ-დემოკრატები და იოსებ ბარათაშვილი პეტერბურგში ჩავიდნენ თუ არა, იმ დღესვე სათათბიროს კრებას დაესწრნენ. ილიას სურდა გარკვევა, შეიძლებოდა თუ არა მათთან პოლიტიკურ საკითხებში საერთოს გამონახვა, შეთანხმების მიღწევა. პეტერბურგში ჩავიდა დავით სარაჯიშვილი. მალაქია ბოლქვაძემ დავითი სათათბიროს კრებაზე წაიყვანა. კულუბრებში სეირნობის დროს დავითმა წინადადებით მიმართა ბოლქვაძეს: „მსურს ჩვენს დელეგატებს და მათთან ერთად მოგიერთ აქაურ ქართველებს სადილი გაეუმართო” (გვ. 126,12). და სთხოვა ორგანიზება. „მე ძლიერ გამიხარდა. სარაჯიშვილს ავუსხენი, რომ ასეთი შეკრება სწორედ გვინდოდა... შევჩერდი. გავიფიქრე ისიდორე რამიშვილი და სხვანი რომ სადილად არ წამოვიდნენ. მაგრამ დიდად შევცდი. ყველანი დათანხმდნენ. ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა”. „აქაურ ქართველებში” დავითი გულისხმობდა ალექსანდრე ცაგარელს, პე-

ტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორს, პირველ ქართველ ენათმეცნიერ ხარისხდაცულს, ისინი ერთად წავიდნენ პეტერბურგში სასწავლებლად (დავითის მეჯვარე იყო).

პეტერბურგის სასტუმრო „ევროპის” ცალკე დიდ ოთახში შეკრებილან. „სუფრის თავმჯდომარის ადგილი დაიჭირა ილიამ, და მთლად სმენად გარდაქცეული, ათვალეირებდა იქ მყოფთ. ის. რამიშვილს მიუჯდა პროფ. ცაგარელი. სადილის გათავებამდე ლაპარაკს ნაწყვეტების ხასიათი ჰქონდა... ის. რამიშვილმა შამპანიური ღვინო დაცალა და თქვა, მშვენიერი ღვინოა, ამიგომ ვერ შორდება და იცავს თავის ცხოვრებას ბიუროკრატია და ბურჟუაზია. რა თქმა უნდა ასეთი ღვინის დაკარგვა ეძნელებათ”... კიდევ დალიეს. ილია გამხიარულდა და გულახდილად შენიშნა: სოციალდემოკრატს შამპანური გაუტკბილდაო! ჩემს სიცოცხლეში არ დამიღვევია, მაგრამ, უარს ვერ ვიტყვი, ჩაილაპარაკა ისიდორემ და დაუმატა: მართლა ჩინებული რამ არის!

ხუმრობასაც ბოლო მოეღო. სადილს მორჩინენ და შეუდგნენ პოლიტიკას. ილიას ყველანი დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ. ნ. ჟორდანიას და დ. სარაჯიშვილი გერმანულად და ფრანგულად ლაპარაკობდნენ. ის. რამიშვილი პროფ. ცაგარელს მთელს ლექციას უკითხავდა. კრების მიზანი ანუ ავგონომიის შესახებ ამრის საბოლოოდ გამოთქმა იყო. ცაგარელის ენერგიულმა განმკვიცებულ რწმენაზე აშენებულმა სიტყვებმა ვერ შეარყიეს ის. რამიშვილი. იგი წყნრად და ტკბილად ამბობდა: „ჩვენ ეხლა ამ საკითხზე სათათბიროში ლაპარაკი მეგად მიგვაჩნია, ჯერ სხვა საერთო კითხვებია გასარჩევი”... მშვიდი და წყნარი იყო სოციალდემოკრატთა კრება ილიასთან ერთად”. (გვ. 126-127-128,12).

სათათბირო 1907 წლის 8 ივლისს დაიხურა. ილიას საქართველოსაკენ გული უწევდა, სადაც ერთი წელიწადი არ ყოფილა. „ნაცნობ-მეგობრები ილიას არ ურჩევდნენ წასვლას... ჩვენში გამწვავებულ ცხოვრებით ამინებდნენ. ოღდასაც არ სურდა კავკასიაში გამგზავრება, ისიც წინააღმდეგი იყო... როგორ შეიძლება?! ამდენი ხანი არ ვყოფილვარ საქართველოში!.. მაფხული თუ იქ არ გავაგარე, ჩვენს ქვეყანას არ გადავხედე მამთარში აქ რა გამაძლებინებს? განა დიდი ხანი დამრჩენია? უთუოდ წავალ, გადაწყვეტით ამბობდა ილია. რას ან ვის უნდა შევუშინდე?!. გაკვირვებით დაე-

კითხებოდა, ხოლმე ილია მოლაპარაკეს, მე იქ რა უნდა მაშინებდეს? მე არეინ არას მიზამს საქართველოში. შიშით განა აქ უფრო არ უნდა მეშინოდეს?... თქვენ თვითონ ნუ გეშინიათ, შემოდგომაზე ისევ ერთად ვიქნებით. უფრო გაყოჩაღებული ჩამოვალ..." (გვ. 135,12) უყვარდა ენდობოდა ქართველებს.

ამბავი იმის შესახებ, რომ „...საბაშვილის ღუქანში უმოწყალოდ სცემდნენ ბაქარია ჭიჭინაძეს... იმდროინდელ თბილისში, ალბათ, ძნელად დაიჯერებდნენ რომ გტყვათ, ბაქარია ჭიჭინაძე გალახესო... ხელადა ღვინო, პური და ყველი მოითხოვა... მოშორებით კუთხეში მაგიდას ყმაწვილები უსხდნენ. ბაქარია იცნობდა მათ... მწიგნობარმა მათი სადღეგრძელო შესვა... ბოლოს ილიას სადღეგრძელო დალია და იმ ახალგაზრდებს შესთავაზა. იმათ ეს უკვე აღარ ესიაზოვნათ. აიძრინდნენ, გაბრაზდნენ... შავრაზმელ ილია ჭავჭავაძის გოსგს ჩვენ არ შევსვამთო. ამ დღეებში მის მოკვლას ვაპირებთ და თუ ძალიან გინდა, შესანლობარს გეახლებითო... წაავლეს ხელი ბაქარიას და ფეხქვეშ გაიგდეს, წიხლები დაუშინეს... დაუზოგავად ურგყამდნენ... მერე ცოცხალ-მკვდარი სარდაფიდან გაათრიეს და ქუჩაში გააგდეს... ეს ამბავი არ იცის ილიამ და ვერც ვერასოდეს შეიგყობს". (გვ. 155,17).

ამ ცნობამ, ბევრი საფიქრალი დაგოვა. ა) „ბაქარია იცნობდა ყმაწვილებსო“, ვინ არიან ეს ყმაწვილები? ბ) „ამ დღეებში მის (ილიას გ.ს.) მოკვლას ვაპირებთო“, რომ ამბობდნენ, ნუთუ საქვეყნოდ იყო ნათქვამი? გ) „ყმაწვილებს“ სჯერათ, მოხდება მკვლელობა, სხვა შემთხვევაში, „ცოცხალ-მკვდარ“ ბაქარიას სარდაფიდან არ გაათრევენ. დ) რატომ თქვეს „შავრაზმელი“ ილიაზე? მეფის რუსეთში „შავრაზმელი“ უკიდურესი მონარქიული ორგანიზაციის წევრი იყო. ეცვათ შავი ფერის განსაცმელი გაწყობილი ყვითელი „ლენგით“, ყველა სცნობდა მათ. ხომ არ ჩათვალეს ილია მონარქიზმის მიმდევრად, მონარქიული მმართველობის მომხრედ, რადგან იგი წერდა, „მონარქები ჯერ კიდევ ღონეს იჩენენ და იმედს არა კარგავენ რესპუბლიკის დამხობისასო“.

„... მკვლელობაზე ბევრი ხანი დადიოდა ხმები და ქართველობამ არ იმრუნა აერიდებინა ეს მარის დამცემი საქმე იმ კაცისათვის, რომელსაც ქართველობავე სახავდა თავის სალოცავად". (გვ. 2,11).

გამეთი „ჩვენი გზა“ გულახდილად, უგიფრად, უბრალოდ აღნიშნავდა: „გულწრფელად უნ-

და ვაღიაროთ, რომ როგორც მეზობელი, როგორც საზოგადო მოღვაწე ჩვენთვის ილია ჭავჭავაძე დიდი ხანია არ არსებობდა". (გვ. 3,18).

„ილიას ოპოზიციის ედგა სოციალ-დემოკრატიის მენშევიკური ფრაქცია, ხოლო ილია ოპოზიციის ედგა რუსეთის თვითმპყრობელობას ისე, რომ მას არ აკლდა მოწინააღმდეგეები არც მარცხნიდან, არც მარჯვნიდან და არც ცენტრიდან"-ო. (გვ. 262,4). შეფასება ობიექტურია. ეს ის პერიოდია, როდესაც ბოლშევიკები საქართველოში უმცირესობას წარმოადგენდნენ, ხოლო პარგიათა წარმომადგენლები ჩრდილში იდგნენ და სეირს უყურებდნენ, ვითომც არაფერი მომხდარიყოს. ვინ ედგა ილიას გვერდში? კაცურად სიგყვის მთქმელი? არავინ!


ილიას წინააღმდეგ გამოსვლების ყველა ფაქტი-მასალის მოგანა ძნელია, რადგან ძალიან ბევრია გაზეთებში, ჟურნალებში დაწერილი. ყველა მათგანში იგრძნობა უსამართლო, უგიფარი დამოკიდებულება ილიას მიმართ, წიწაკანაჭამი „ადამიანები“ ისე იყვნენ მომრავლებულნი, როგორც იონჯა. „მკვლელობის წინა დღეს სოფ. წიწამურში მივიდნენ პავლე ფშავლიშვილი, ვანო ინაშვილი, გიგლა ბერბიჭაშვილი და „ვილაც იმერელი“, რომლებმაც შეაგროვეს სოფლელები და გამოუცხადეს, რომ (სოც.-დემო. პარტიის) კომიტემა გადაწყვიტა თ-დ ილია ჭავჭავაძის მოკვლა და მათ უნდა სისრულეში მოიყვანონ ეს გადაწყვეტილება". (გვ. 276,4).

ქუდზე კაცი რომ გამოსულიყო წიწამურში, საქართველო მეოცე საუკუნის მკვლელობას ასცდებოდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება.. (მაშო სალარიძის დახმარებით) ბაქოს ქართველთა ამხანაგობის კალმი-სა, N 9, გვ. 1907.
2. სახოკია თედო. ჩემი საუკუნის ადამიანები. გამ. თბ. საბჭოთა საქართველო. 1984.
3. თაყაიშვილი ექვთიმე. ემიგრანტული ნაშრომები // დაბრუნება. - გ. 1/ გ. შარაძის საერთო რედ-ით. - თბ., მეცნიერება, 1991.
4. სართანია გარიელ. ილია ჭავჭავაძე. თბ. ღია-ღემა 2000.
5. საქართველოს მთაბზე. გამოვიდა 1863 წელს სალიტერატურო ჟურნალი. სულ გამოვიდა თორმეტი წიგნი. თითო საშუალოდ 160-180 გვ. (გ.



საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

ბაქრაძე, ქართული პერიოდის ბიბლიოგრაფია. თბ. 1947. გვ. 5.)

6. სტეფანიშვილი არჩილ; დავით სარაჯიშვილი. . თბ., საბჭოთა საქართველო. 1968. გვ. 52, ნ. მაჭავარიანის მოგონებიდან. გვ. 54.

7. ბეროშვილი ილო. აქ დაიბადა ილია ჭავჭავაძე. ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი სტაციონალური ექსპოზიციის მეგზური. ყვარელი, 1967.

8. სიგუა ალექსანდრე. წინაპართა ხმა. თბ., მერანი, 1978. გვ. 9.

9. ილია ჭავჭავაძე თანამედროვეთა მოგონებებში. ყარამან ფაღავა. ილია ჭავჭავაძე და საგურამოელი გლეხები., თბ., საბჭოთა საქართველო. 1987. გვ. 44.

10. სტურუა დევი. „ არ – დავიწყება მოყვრისა“. თბ. სამშობლო. 2000, გვ. 118.

11. ფურცელაძე ანტონ. გუნია დამცველი ილია ჭავჭავაძისა. გამ. „ამირანი“, N147, 1908.

12. ბოლქვაძე მალაქია. ახლო წარსულიდან. ილია ჭავჭავაძე რუსეთში. (1906-1907). // ქურნ. განათლება. - N3-4, მარტი-აპრილი. 1908. გვ.

107-136.

13. შარაძე გურამ. ილია ჭავჭავაძე. წიგნი II. თბ., ხელოვნება, 1990.

14. დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. თბ., მეცნიერება. 1976. გვესტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბუქან გიორგაძემ.

15. გურული ვახტანგ. ქართული სოციალ-დემოკრაგია 1892-1904 წლებში.

16. ილია ჭავჭავაძე, თხუზულებათა სრული კრებული. ტ. IX. თბ., სახ. გამ. 1957.


17. ბაქრაძე აკაკი. ილია ჭავჭავაძე. წიწამური. თბ. ნაკადული, 1984.

18. გამ., ჩვენი გზა“. N1. 1907. 4 სექტემბერი.


19. ჯავახიშვილი ივანე. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია. თბ., სსრკ მეც. აკად. საქ. ფილიალი, 1938.

20. გორგაძე ილია, გურგენიძე ნოდარ. ილია ჭავჭავაძე: ცხოვრების შემოქმედების მაგნიტ; ბიბლიოგრაფიული ქრონიკა. 1837-1907. თბ. 1987.

ისტორიის უზრცლებიდან



ამ სერიით ჩვენი ჟურნალი იწყებს საქართველოს მნიშვნელოვანი ბიბლიოთეკების მატარებელთა გამოქვეყნებას. მოცემულ სტატიაში ასახულია ეროვნული ბიბლიოთეკის ისტორიის საწყისი პერიოდი კავკასიის მუხეუმთან შეერთებამდე. იგი ძირითადად ეფუძნება ჯერ გამოუქვეყნებელ ახ ყურადღების გარეშე სრულიად გაუმართლებლად დარჩენილ მასალებს და საკმაოდ სერიოზულ კვლევის შედეგს წარმოადგენს. ეროვნული ბიბლიოთეკის განვითარების შემდეგი ეტაპები აისახება მომდევნო ნომრებში.



6. მელქაქაძე ა. ლორია

გფილისის საჯარო ბიბლიოთეკის მაგნიტ (1846-1868)

ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა კავკასიის მეფისნაცვალმა მ. ს. ვორონცოვმა 1846 წლის იანვარში დააარსა. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ფუნქციებთან ერთად, მას კავკასიის შესახებ ინფორმაციის ცენტრალური წიგნთსაცავის ფუნქციაც დაეკისრა. სახელწოდება “კავკასია” ყველა იმ ქვეყანას აერთიანებდა, რომელიც ყუბანსა და არაქსს, აგრეთვე ზემო ევფრატ-

სა და შავსა და კასპიის მღვებს შორის მდებარეობდა [5:856].

თავიდან ბიბლიოთეკის ორგანიზება გაბრიელ ალექსანდრეს ძე ტოკარეფს დაევალა, მეფისნაცვლის სამოქალაქო კანცელარიის უფროს საგუბერნიო მდივანს. მასვე დაევალა კავკასიის შესახებ აუცილებლად შესაძენი ლიგერაგურის შედგენა.



გ. ა. გოკარევი განსაკუთრებული გულმოდგინებითა და სიყვარულით შეუდგა გფილისის საჯარო ბიბლიოთეკის შექმნას. რეესტრზე მუშაობისას მან დაინახა: მიუხედავად იმისა, რომ კავკასიაზე ძველთაგანვე ბევრი იწერებოდა, ბიბლიოგრაფიული საძიებელი, სადაც მითითებული იქნებოდა კავკასიის შესახებ ისტორიული, გეოგრაფიული, სტატისტიკური და სხვაგვარი ცნობები, საერთოდ არ არსებობდა. დიუბუა დე მონპერეს მიერ შედგენილი საძიებელი მხოლოდ იმ წყაროებს ასახავდა, რომელნიც თვითონ შეისწავლა. სწორედ ამან გადააწყვეტინა მას კავკასიის შესახებ არსებული ლიტერატურის სრული სია შეედგინა. მისი ორწლიანი მუშაობის შედეგი გაბ. “კავკაზში” გამოქვეყნებულ სტატიაში აისახა [16; 17; 18]. 1848 წლის 16 აგვისტოს ნომერში იგი წერდა: “... ახლა, ამ ბიბლიოგრაფიული ნაშრომის შემდეგ, შემიძლია გფილისში კარგი, თანამიმდევრული საჯარო ბიბლიოთეკის შედგენაზე ვიმზუნო. მისი მთავარი ღირსება მის სპეციალიზაციაში უნდა მდგომარეობდესო”. [18].

საჯარო ბიბლიოთეკის დაარსების გადაწყვეტილებამ მაგერიალური მხარდაჭერაც ჰპოვა, რაც საკმაოდ მრავალრიცხოვან შემოწირულობაში გამოვლინდა. წახალისების ერთგვარი ფორმა გაბ. “კავკაზში” გამოქვეყნებული შემომწირველთა გვარების გამოქვეყნება იყო. პირველი ამგვარი მაღლობა პოდპოლკოვნიკ პოტოცკის გამოცხადდა, რომელმაც ლონდონში ლათინურ ენაზე გამოცემული მოსე ხორენაცის “სომხეთის ისტორიის” სამგომეული გადასცა ბიბლიოთეკას [9]. მათ შორის, ვისაც მაღლობას უცხადებდნენ, იყვნენ: საქართველოს ეგმარხოის ისიდორე, კავკასიისა და შავიზღვისპირეთის ეპისკოპოსი იერემია, პ. იოსელიანი, ა.ა. გრინჩენკო, მ.ა. ობოლენსკი, მ.ს. ვორონცოვი, გ.კ. ვორონცოვა, მ.გ. ჭილაევი, დ.ე. ჩუბინოვი, ს.ვ. საფონოვი, ა.ი. მურავიოვი, ა.დ. ლორის-მელიქოვი, გურამოვი, თ.ი. კონსტანტინოვი, გ. ფომინცაგარელი და სხვანი.

ბიბლიოთეკის ჩამოსაყალიბებლად მ.ს. ვორონცოვმა სახალხო განათლების მინისტრს, გრაფ უვაროვს თხოვნით მიმართა, რათა მეცნიერებათა სამიმპერატორო აკადემიის და განათლების სამინისტროს დაქვემდებარებული სხვა ორგანიზაციების გამოცემები თფილისში გამოეგზავნათ. გ.ა. გოკარევი კი სანკტ-პეტერბურგში გაიგზავნა ბიბლიოთეკისათვის საჭირო ლიტერატურის შესაძენად.

შემონახულია გ.ა. გოკარევის მიერ კავკასიის მეფისნაცვალის კანცელარიის ღირექტორის ს.ვ. საფონოვის სახელმძღვანელო მოხსენება, სადაც ნათქვამია, რომ პეტერბურგში იყიდება კერძო ქართული ბიბლიოთეკა, რომლის შესახებ ცნობები პროფ. დ. ჩუბინოვს მოეპოვებაო. გ.ა. გოკარევი რამდენჯერმე სტუმრებია დ. ჩუბინაშვილს ამ საკითხის გამო, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ შეხვედრია და წერილი დაუტოვებია თხოვნით, პასუხი თბილისში ეცნობებინა.

1850 წელს მ.ს. ვორონცოვს მთავარი შტაბის უფროსმა მხაგვარ ნორევის ნახაგების ალბომი გადასცა სამეგრელოს, აფხაზეთის, იმერეთისა და სომხეთის ღირსშესანიშნავ ტაძართა ხედებითა და გეგმებით. მ.ს. ვორონცოვმა ყურადღება მიაქცია ამ ალბომს და მხაგვარს აკვარელის 20 ნახაგი შეუკვეთა გფილისის საჯარო ბიბლიოთეკისათვის [8:220].

შეიძინეს სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის ა.ა. დეგუროვის ბიბლიოთეკა, რომელიც შეიცავდა 6846 ტომს [6:vii], რისთვისაც თანხა მ.ს. ვორონცოვმა მხარეში სასარგებლო საქმიანობისათვის არსებული ფონდიდან გაიღო [1:218].

1846 წელს დაფუძნებული გფილისის საჯარო ბიბლიოთეკა 1848 წლის 5 ივნისს პირველ მკითხველთა მისაღებად მზად იყო. გ. გოკარევმა, პირველმა თბილისში, ბარათული კატალოგის სისტემა შემოიღო [6:X]. 1849 წლისათვის კატალოგში შეტანილი ბიბლიოთეკის კოლექცია 1957 დასახელების 5429 ტომს მოიცავდა 16 ენაზე, მათ შორის წიგნები კავკასიასა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების შესახებ (325 დასახელების 515 ტომი) [10].

ბიბლიოთეკაში 3 გიპის კატალოგი შეიქმნა: 1. საინვენტარო. 2. ანბანური. 3. სისტემატური. კატალოგებში შეტანილი იყო: 1) დ.ი. ყიფიანის გამგებლობაში მყოფი გფილისის კერძო სამხანაგო ბიბლიოთეკის კოლექცია, რომელიც 233 დასახელების 510 ტომს მოიცავდა. 2) მთიანი მხარის გამგებლის გრაფ მუსინ-პუშკინის ყოფილი ბიბლიოთეკა, რომელიც გფილისის სტატისტიკურ პალატაში იყო განთავსებული და 183 დასახელების 411 ტომისაგან შედგებოდა. ასევე საჯარო ბიბლიოთეკას ანდერძით გადაეცა სტრეჟენიცკის ბიბლიოთეკის 32 დასახელების 72 ტომი [1:218;10].

კოლექციის მრდამ შენობის გაფართოე-

ბა მოითხოვა. ამიგომაც ეწყო ა.ა. დეგუროვის საგან შეძენილი წიგნები აქ ორ წელზე მეტ ხანს დაუმუშავებელი. მ.ს. ვორონცოვმა წინადადებით მიმართა გენერალ-მაიორ ვ. ორბელიანს, რათა მას საკუთარი სახსრებით აეგო ბიბლიოთეკის შენობა და იჯარით გადაეცა გფილისის საჯარო ბიბლიოთეკისათვის. გაფორმებული ხელშეკრულებით ვ. ორბელიანს გფილისის ცენტრში, ალექსანდრეს მოედანზე უნდა აეგო სახლი. მ.ს. ვორონცოვისავე შუამდგომლობით, უმაღლესი ბრძანებულებით დაწესდა გფილისის საჯარო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარის თანამდებობა და 1850 წლის 26 აპრილს ეს კიდეც გამოქვეყნდა სენატის უწყებებში [13].

1851 წლის შემოდგომაზე ალექსანდრეს მოედანზე შენობა დასრულდა და 28 წლის ვადით იჯარით გადაეცა ყოველწლიურად 1200 ვერცხლის მანეთად.

1852 წლის 1 მაისს გფილისის საჯარო ბიბლიოთეკის ახალი შენობის კარი მკითხველთათვის გაიღო. მას შემდეგ, სახელწოდებისდამხედვით და არსითაც იგი საჯარო ბიბლიოთეკად იქცა. ბიბლიოთეკარად დაინიშნა ლუდვიგ დე-სენ-გომა, რომელიც რამდენიმე თვის შემდეგ მისმა ვაჟმა – ვლადიმერ დე-სენ-გომამ, პროფესიით ნუმისმაგმა, შესცვალა და ეს ადგილი მას 1857 წლამდე, გარდაცვალებამდე ეკავა.

მ.ს. ვორონცოვის განკარგულებით გ.ა. გოკარევი და ვლ. დე-სენ-გომა ძირითადი წიგნადი კოლექციის, აგრეთვე ა.ა. დეგუროვისაგან შეძენილი წიგნების გადარჩევას შეუდგნენ. ისინი არქიგეტორ რაისის ესკიზებით დამზადებულ კარადებში განალაგეს.

ალექსანდრეს მოედანზე ახალ შენობაში ოფიციალურად გახსნის დღეს, ბიბლიოთეკის კოლექცია 5249 დასახელების 13011 ტომს შეიცავდა, მათ შორის კავკასიის შესახებ – 477 დასახელების 873 ტომი [6:X]. მხედველობაშია მისადები, რომ ლიგერატურის შესაძენად გამოყოფილი მცირე ფულადი სახსრების გამო, ბიბლიოთეკის კოლექციის სწრაფი მზრდის მოსურნე მ.ს. ვორონცოვმა 1852 წლის 10 ივნისს ბრძანება გასცა კავკასიაში გამოსული ნაბეჭდი პროდუქციის ორი ეგზემპლარის გფილისის საჯარო ბიბლიოთეკისათვის გადაცემის შესახებ. კავკასიის საცენზურო კომიტეტიდან შემოსული წიგნებისა და პერიოდულ გამოცემათა უმეტესობა კავკასიოლოგიას შეეხებოდა. მათ გარდა, გფილისის საჯარო

ბიბლიოთეკა ოდესაში გამომაველ ყველა წიგნს იღებდა. მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ გ. გოკარევი პირველად დაწერა წიგნცვლით ფუნქციების გამდიდრების გრადიცია. ამას სათანადოდ უდო მის მიერ თბილისის გიმნაზიის ბიბლიოთეკასთან დუბლიკაციების გაცვლამ [1:218].

უბედური შემთხვევის შემდეგ მძიმედ დაავადებული გ.ა. გოკარევი 1854 წლის აგვისტოში გარდაიცვალა. მან დიდი სიყვარულითა და პროფესიონალიზმით შეასხა ხორცი მ.ს. ვორონცოვის იდეას – შექმნილიყო გფილისის საჯარო ბიბლიოთეკა, კავკასიის შესახებ არსებული ლიგერატურის ცენტრალური წიგნსაცავი [15].

თურქეთთან ომის წლები გფილისის საჯარო ბიბლიოთეკისათვის უმოქმედობის წლები იყო (1853-1856). მიუხედავად ამისა, მისი დამაარსებლის – მ.ს. ვორონცოვისა და ორგანიზატორების – გ.ა. გოკარევის და ვლ. დე-სენ-გომას სასახელოდ უნდა ითქვას, ბიბლიოთეკის კოლექცია იმდენად კარგად იყო შერჩეული, რომ ცნობილი ნაგურალისტი, აკადემიკოსი კარლ-ერნსტ ბერი, კავკასიაში 1855 წელს მოგზაურობისას, აღფრთოვანებას ვერ ფარავდა საჯარო ბიბლიოთეკაში დაცულ წიგნთა მრავალფეროვნებისა და თბილისელთა წიგნის სიყვარულის გამო. თბილისის იგი რუსეთის სხვა საგუბერნიო ქალაქებს აღარებდა, მაგალითად, ასკრახანს, და წუხილით იხსენებდა, რომ იქ ძლივსძლივობით მოიპოვა გეოგრაფიული ატლასი, ისიც არც ისე სრული და თანამედროვე; ამის საერთო რუკაზე აღნიშნული არ იყო კამჩატკა. [7:XXXI].

1856 წლის ბოლოს გფილისის საჯარო ბიბლიოთეკას ალექსანდრე ივანეს ძე ბარიაგინსკის სახით ახალი მზრუნველი გამოუჩნდა. მან 30 ათასი მანეთი გადაუხადა ვ. ორბელიანს სახელმწიფო ხაზინიდან, რომ მის მიერ აგებული შენობა ბიბლიოთეკას კუთვნილებაში დარჩენოდა. [6:XXII]. ამას გარდა, 1000 მანეთი გააღაცემინა დ. ყიფიანისათვის გფილისის კერძო ბიბლიოთეკის ფონდებისათვის, რომლებიც საჯარო ბიბლიოთეკას გადაეცა თავის ღროს და შემდეგში კი ყიფიანმა ამისათვის კომპენსაცია მოითხოვა, რაც კარგა ხანს დიდი დავის საგნად იყო ქცეული [11]. (ეს ნაგებობა 1894 წ. დაინგრა, მაგრამ ბიბლიოთეკა იქ უკვე აღარ იყო).

1858 წლის დასაწყისში ბიბლიოთეკის დირექტორად ა.პ. ბერჟე დაინიშნა. ა.ი. ბარიაგინსკმა ყურადღება მიაქცია ბიბლიოთეკის სპეცი-

ფიკას და შეძლებისდაგვარად ყოველგვარი მასალის, რასაც კავშირი ჰქონდა კავკასიასა და მის მიმდებარე სახელმწიფოებთან, შეგროვება ურჩია. ა.პ. ბერჟე მხარს უჭერდა ამგვარი ლიბერატურით განსაკუთრებულ დაკომპლექტებას. იგი წერდა: “გფილისის საჯარო ბიბლიოთეკის დამახასიათებელი თავისებურება ის არის, რომ იგი კავკასიის შესახებ მასალების სპეციალური წიგნსაცავია, რაც მას სხვათაგან გამოარჩევს”. 1859 წელს ა.პ. ბერჟე ბეჭდურ კატალოგზე მუშაობას შეუდგა. ამ საქმისათვის ბიბლიოთეკაში კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს მოხელე – ნ.პ. კეპენი მოავლინეს [3:119].

1861 წელს გამოიცა “გფილისის საჯარო ბიბლიოთეკის მოკლე კატალოგი (1846-1861)”. იგი ორი ნაწილისაგან შედგებოდა: 1. სისტემატური; 2. ანბანური.

სისტემატურ კატალოგში სახელწოდებების შეგანის ფორმა სანკგ-პეგერბურგის საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკის უფროსი ბიბლიოთეკარის ვ. სობოლშიჩკოვის სტაგნიდან იყო აღებული [14]. ფონდების გაფართოების შემდეგ კატალოგის გაგრძელების გამოცემა იყო გათვალისწინებული.

გფილისის საჯარო ბიბლიოთეკის მოკლე კატალოგის შედგენამ ა.პ. ბერჟეს საშუალება მისცა კოლექციის შემადგენლობა შეესწავლა. იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ბიბლიოთეკა ცალმხრივად იყო განვითარებული და ჩამორჩენილიც, რადგან გამოწერილი არ იყო ძირითადი პერიოდული გამოცემები რუსულ, გერმანულ, ფრანგულ ენებზე, რომლებიც საზოგადოებას თანამედროვე ევროპულ პოლიტიკასა და ლიბერატურას გააცნობდა. ამ მხრივ ბიბლიოთეკას განახლება სჭირდებოდა. მოინიშნა აუცილებლად შესაძენი სხვადასხვა გამოცემები, რომელთაც უშუალო შეხება ჰქონდა კავკასიასთან. შესავსები იყო იურიდიული, ისტორიული, სტატისტიკური, გეოგრაფიული, ფილოლოგიური და კავკასიოლოგიური განყოფილებები. სამაგიეროდ, ვრცლად იყო წარმოდგენილი საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური განყოფილებები. გ.ი. რადემ, აბისმა, სტეზნიცკი იმ გამოცემათა ბიბლიოგრაფიები წარმოადგინეს, რომლებიც უპირველეს ყოვლის უნდა შეესყიდათ [3:67-68]. ეს სია სახელმძღვანელო შეიქმნა ა.პ. ბერჟესათვის გფილისის საჯარო ბიბლიოთეკისათვის წიგნების შესაძენად მივიღებთ ი.პ. კოვჩინისას. ამას გარდა, ა.პ.

ბერჟემ შეადგინა დუბლეტების სია, რომელთა შეძენასაც იგი სხვა ბიბლიოთეკებში აპირებდა.

1862 წლის დეკემბერში კავკასიის მეფისნაცვალის დიდი თავადი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი გახდა. მან დიდად შეუწყო ხელი ბიბლიოთეკის განვითარებას და კოლექციის გასამდიდრებლად ერთდროულად 3500 ვერცხლის მანეთი გამოჰყო [7:XI]. ა.პ. ბერჟე სახალხო განათლების სამინისტროს და საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის სახელზე მიმართვაში წერდა: “... კავკასიის მეფისნაცვალმა გფილისის საჯარო ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული შემადგენლობის გამდიდრება ისურვა, გამამგზავრა გერმანიასა და საფრანგეთში დავალებით, შემეძინა სამეცნიერო თხზულებანი სხვადასხვა დარგში კავკასიის შესახებ”. [3:105].

მივლინებიდან დაბრუნებული ა.პ. ბერჟე 1864 წლის 26 დეკემბერს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსს ა.პ. ნიკოლაის მოახსენებდა: “მეფისნაცვლის, დიდი თავადის ნება, გფილისის საჯარო ბიბლიოთეკისათვის წიგნები შეძენილიყო, ასრულებულია. ლაიპციგში ცნობილ წიგნით მოვაჭრე-ბროკჰაუზისაგან, სანკგ-პეგერბურგში – ბიგეჰაჟისა და კალუგინისაგან შეძენილია 470 დასახელების წიგნი და 40 დასახელების რუკა. წიგნების შერჩევისას განსაკუთრებული ყურადღება კავკასიასა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების შესახებ გამოცემებს დაეთმო. შეძენილია უახლესი გამოცემები, რომელთაც სახელი გაითქვეს და ნებისმიერი კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკისათვის არის აუცილებელი. მნიშვნელოვნად შეივსო რუსული ბელეტრისტიკის განყოფილება და შეივსო არსებული გამოცემების ნაკლული ტომები. წიგნები მიღებულია და შეგანილია კატალოგში”. [3:124].

1864 წლის დასაწყისში ა.პ. ნიკოლაიმ მხატვარი ი.ა. ნაუმენკო მივლინებით გაგზავნა ნოქალაქევეში ნანგრევების ასლების გადასაღებად და ბიბლიოთეკაში ჩამოსაგანად.

პეგერბურგში ყოფნისას ა.პ. ბერჟემ თხოვნით მიმართა მეცნიერებათა საიმპერატორო აკადემიას, რომ ბიბლიოთეკისათვის ის ბელეტრიკი ეგზემპლარები ერუქებიანთ, რომელთაც უშუალო შეხება ჰქონდათ კავკასიასთან. [3:121] მეცნიერებათა აკადემიის გარდა, გფილისის საჯარო ბიბლიოთეკას წიგნები აჩუქეს საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკამ და სახალხო განათლების სამინისტრომ. წინა წლების მსგავსად, თბი-

ლისში ახალ გამოცემებს აგზავნიდნენ ოლესის საჯარო ბიბლიოთეკა და კავკასიის საცენზურო კომიტეტი. რაც შეეხება კერძო შემოწირულობებს, განსაკუთრებით უნდა გამოიჩინოს ნ. კ. ზეილიცის წიგნების კოლექცია-უახლესი გამოცემებით მეცნიერებათა სხვადასხვა დარგში [7:XII].

ბიბლიოთეკის კოლექცია იმდენად შეივსო და გაიზარდა, რომ აუცილებელი გახდა გფილისის საჯარო ბიბლიოთეკის მოკლე კატალოგის პირველი გაგრძელების გამოცემა, რომელშიც შევიდოდა 996 დასახელების 1955 ტომი [7:XIV]. ენობრივი შემადგენლობით 1861-66წწ კატალოგში შესულა: ევროპული – 457; რუსული – 440; ქართული – 15; სომხური – 47; ამერბაიჯანული – 3; ყაბარდოული – 3; ოსური – 1 წიგნი.

1866 წელს ბიბლიოთეკის მთლიანი ფონდი შედგებოდა 13610 ტომის 6256 დასახელები-საგან. მათ შორის: პერიოდული – 899 დასახელება 422 ტომად, კავკასიის შესახებ – 877 დასახელების წიგნი და ბროშურა 1533 ტომად [7:XV].

გფილისის საჯარო ბიბლიოთეკის დანიშნულებად ა. პ. ბერჟე აგრეთვე ამ მხარეში არსებულ ხელნაწერთა შესახებ ყოველგვარი ცნობების შეგროვებას და მათ პერიოდულ გამოცემას მიიჩნევდა. მისი ამრით, ამგვარი საქმიანობა ფასდაუღებელი იყო კავკასიოლოგიისათვის [6:XXIII]. მოგვიანებით 1880 წლების დასაწყისში იმავე ამრს ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ა. ფურცელაძეც იზიარებდა. მან წინადადებით მიმართა კავკასიის მთავარმართებელს, რათა საქართველოს ეკლესია-მონასტრებში დაცული საეკლესიო და სხვა დოკუმენტები შესანახად გფილისის საჯარო ბიბლიოთეკას გადასცემოდა. 1883 წლის 19 ივლისს მეფისნაცვლის კანცელარიის № 319 ბრძანებით გ. ი. რადეს იმ მიმართვის შესახებ ეცნობა, სადაც ა. ფურცელაძე გფილისისა და ქუთაისის მონასტრებსა და კათედრალურ ტაძრებში დაცულ უძველეს ქართულ ლიტურგურულ ძეგლთა, აგრეთვე სიგელგუჯარების საჯარო ბიბლიოთეკისათვის გადაცემას ითხოვდა. ამასთან, ისინი კვლავაც იმ დაწესებულებათა საკუთრებად ჩაითვლებოდა, საიდანაც წამოიღებდნენ, ხოლო საეკლესიო მუშეუმის დაარსების შემთხვევაში მას გადასცემდნენ. გ. ი. რადემ მხარი დაუჭირა ამ წამოწყებას და 1883 წლის 12 დეკემბერს სცადა, მთავარმართებლის ყურადღება გფილისის საჯარო ბიბლიოთეკის შენობის გაფართოებაზე მიექცია იმ მოტივით, რომ

იქ ეკლესია-მონასტრებში არსებულ ხელნაწერებსა და დოკუმენტებს უნდა დაეღობინა.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ დაარსების 20 წლისთავისათვის, გფილისის საჯარო ბიბლიოთეკას ფონდების შემადგენლობითა და მნიშვნელობით, ამის ქვეყნებს შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი ეკავა ბომბეასა და კალკუტაში, ინგლისელების ბაგავიაში ჰოლანდიელების მიერ დაარსებული ბიბლიოთეკებს შორის. კალკუტის საჯარო ბიბლიოთეკა 1835 წლის 31 დეკემბერს ინგლისელმა ჯ. სკოტელმა დააარსა. იგი 1835 წლის 21 მარტს გაიხსნა საზოგადოების ყველა ფენისა და კლასის წარმომადგენელთათვის. ამ ბიბლიოთეკის კოლექცია მეცნიერებათა ყველა დარგის შესახებ მოიცავდა ლიტერატურას და მკითხველთა როგორც სამეცნიერო, ასევე მოგადსაგანმანათლებლო ინტერესებს ემსახურებოდა. (მოგვიანებით, 1902 წელს კალკუტის საჯარო ბიბლიოთეკას შეუერთდა და მას საიმპერიო ბიბლიოთეკა, ხოლო 1948 წელს ნაციონალური ბიბლიოთეკა ეწოდა). 1860 წელს კალკუტის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 13069 დასახელებისაგან შედგებოდა [7:XXX].

გფილისის საჯარო ბიბლიოთეკა განათლებული საზოგადოების ინტერესებს ემსახურებოდა, მას დიდად ემადლიერებოდნენ მოგზაურებიც, რომლებიც აქ მრავალ საინტერესო ცნობას პოულობდნენ კავკასიის შესახებ. ბიბლიოთეკის მკითხველთა შორის იყო გერმანელი მოგზაური დოქტორი ალოფ ბასტიანი, რომელიც სიამში, ინდოეთში, იავაში, ჩინეთში, მონღოლეთსა და ციმბირში ექვსწლიანი მოგზაურობის შემდეგ, ამიერკავკასიისაკენ ესტუმრა. მან გფილისში სამკვირამდე დაჰყო და აქ გაგარებული დროის უდიდესი ნაწილი საჯარო ბიბლიოთეკაში სამეცნიერო მუშაობას მოახლოდა. [7:XXXII].

ა. პ. ბერჟე გფილისის საჯარო ბიბლიოთეკაში სამეცნიერო-ორგანიზაციული სამუშაოს დასრულების შემდეგ, გფილისის საჯარო ბიბლიოთეკის შესახებ მეფისნაცვლის სახელზე დაწერილ წერილში წერდა: “ამ ნაწიერით პატივი მაქვს ახალი დებულების პროექტი წარმოვადგინო... ამით სრულდება ყველაფერი, რაც ექვს წელზე მეტი ხნის აქ მსახურების შემდეგ დამრჩა გასაკეთებელი... თქვენი აღმაგებულებისაგან სხვა ასპარეზზე მიწვეული (არქეოლოგიური კომისიის თავმჯდომარე) უფრო რთულსა და ძნელზე, დიდად თავდაჯერებული ვიქნებოდი თუ

კვლავ ბიბლიოთეკის გამგებლობაზე ვიფიქრებდი, ... ამიგომ იძულებული ვარ ვთხოვო თქვერს აღმაგებულებას, გამანთავისუფლოს ამ მოვალეობისაგან". მაგრამ ბერქეს შემცვლელი ვერ გამოიძებნა, იგი დაგოვეს თავის აღრინდელ თანამდებობაზე და დამხმარე ბიბლიოთეკარად მასთან მიავლინეს ნ.პ. კეპენი [4:130].

რამდენიმე ხნის შემდეგ ასეთ პიროვნებად ა.პ. ბერქემ და ა.პ. ნიკოლაიმ გ.ი. რადე მიიჩნიეს და ხელი შეუწყვეს კავკასიის მუზეუმისა და საჯარო ბიბლიოთეკის გაერთიანებას.

1865 წლის 2 ივნისს კავკასიის მეფისნაცვალმა მ.ნ. რომანოვმა კავკასიის მუზეუმის, როგორც დამოუკიდებელი დაწესებულების, პროექტი დაამტკიცა. [4:4-5].

კავკასიის მუზეუმის დირექტორმა გ.ი. რადემ მიიღო რა რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული სამოგალოების კავკასიურ განყოფილებასთან არსებული მუზეუმის ექსპონატები, გააფართოვა მისი საბუნებისმეტყველო კოლექცია და ფართობის და დაფინანსების სიმცირის მიუხედავად, შეძლო მუზეუმისთვის გახსნის დღეს, 1867 წლის 2 იანვარს, ევროპის საუკეთესო სტანდარტების შესაბამისი სახე მიენიჭებინა.

იმგვარ სამეცნიერო დაწესებულებას, როგორც კავკასიის მუზეუმი იყო, არ შეიძლება შესაფერისი ბიბლიოთეკა არ ჰქონოდა. ასეთ ბიბლიოთეკად რადეს გფილისის საჯარო ბიბლიოთეკა წარმოედგინა და კავკასიის მუზეუმისა და გფილისის საჯარო ბიბლიოთეკის შეერთებაზე საუბრისას ირწმუნებოდა, რომ ამ გაერთიანების შემთხვევაში მარადმწვანე კვიპაროსებით დაჩრდილულ ალექსანდრეს ბაღში გფილისის ექნებოდა ის, რაც არ იყო არც რუსეთში და არც სამღვარგარეთ. რადე ოცნებობდა, რომ ალექსანდრეს ბაღის მთელი გერიგორია ბიბლიოთეკას და მუზეუმს დათმობოდა.

გფილისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა ა.პ. ბერქემ მხარი დაუჭირა კავკასიის მუზეუმისა და საჯარო ბიბლიოთეკის გაერთიანების იდეას (გამოთავისუფლებული თანხები ორივე დარგის განვითარებას უნდა მოხმარებოდა).

1868 წლის იანვარში საჯარო ბიბლიოთეკა და კავკასიის მუზეუმი გაერთიანდა და დირექტორად გ.ი. რადე დაინიშნა. [4:114;4:52].

სანამ ამ ორი დაწესებულების შენობის არქიტექტურული პროექტი გაკეთდებოდა, ხაზინამ მეფისნაცვლის სასახლის წინ შეიძინა მიწის

ნაკვეთი და უკვე 1868 წლის აგვისტოში დაიწყო კავკასიის მუზეუმის შენობის აგება. არქიტექტორ ბალცმანს ჯერ მუზეუმის შენობა უნდა აეგო, ერთი წლის შემდეგ კი – მუზეუმის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს – საჯარო ბიბლიოთეკის შენობა. ორივე ნაგებობა რკალისებურ გალერეას ისე უნდა შეეერთებინა, რომ მთლიან კომპლექსს მშვენიერი ხედი და კახეთის მთების სივრცე არ დაეჩრდილა.

ასეთი შერწყმა იმ დროისათვის უცხო არ იყო (ბრიგანეთის მუზეუმი, რუმიანცევის მუზეუმი და სხვ.), და ამგვარად თბილისშიც ერთ ჭერქვეშ აღმოჩნდნენ გფილისის საჯარო ბიბლიოთეკა (კავკასიის ნაციონალური ბიბლიოთეკა) და კავკასიის მუზეუმი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

1. საქართველოს მუზეუმის არქივი. – 1848. – საქმე N 3/223
2. საქართველოს მუზეუმის არქივი. – 1858.
3. საქართველოს მუზეუმის არქივი. – 1861-1865. – საქმე N 10/230.
4. საქართველოს მუზეუმის არქივი. – 1866-1867. – საქმე N 5/225.
5. Акты Кавказской археологической комиссии: Т. Ю. – Тифлис, – с. 856.
6. Берже А. П. Краткий каталог Тбилисской публичной библиотеки: (1846-1861). – Тифлис, 1861.
7. Берже А. П. Первое продолжение Краткого каталога Тбилисской публичной библиотеки: (1861-1865). – Тифлис, 1866.
8. Записки КОИРГО: Т. 1. – 1852. – с. 220
9. Кавказ. – 1846. – 19 янв., № 3.
10. Кавказ. – 1950. – № 6.
11. Кипиани К. Д. Публичная библиотека в Тифлиссе: Историческая справка // Новое обозрение. – 1899. – № 5224
12. Надеждин Н. Несколько слово о Тифлисской публичной библиотеке // Кавказ. – 1971, 17/19 янв., № 8. – с. 2.
13. Сепатские ведомости. – 1850, 26 апр.
14. Соболевский В. Об устройстве общественных библиотек и составление их каталогов // Журнал Министерства народного просвещения. – 1858, № 11.
15. Токарев Г. А.: Некролог // Кавказ. – 1854, 12 авг., № 62.
16. Токарев Г. А. Об источниках сведений о Кавказе: статья библиографическая // Кавказ. – 1847, №№ 27, 28.
17. Токарев Г. А. Об источниках сведений о Кавказе: статья библиографическая // Кавказ. – 1848, №№ 5, 6, 24, 26.
18. Токарев Г. А. Об источниках сведений о Кавказе: статья библиографическая // Кавказ. – 1848, 16 авг.

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების მართვა
თანამედროვე ეტაპზე

ბულნარა სტურუა

ჩვენ ცხოვრების პრაქტიკაში ჯერ კიდევ შეუფასებელია ბიბლიოთეკების ფაქტორი, მისი სოციალური და ფუნქციონალური სტატუსი, რასაც რამდენიმე სავალალო შედეგი ახლავს:

1. სახელმწიფო ბიუჯეტის განაწილების დროს ან საერთოდ არ აღმოჩნდება იქ, ან - უკეთეს შემთხვევაში სიის ბოლოშია მოქცეული;
2. ბიბლიოთეკები არ აღიქმება ინფორმაციულ ცენტრებად, ეს კი არსებული ინფორმაციული დეფიციტის პირობებში ბიბლიოთეკის გვერდის ავლით აფუძნებს ისეთ ახალ სოციალურ ინსტიტუტს, რომელსაც ევალება ინფორმაციის ფუნქციები. ამის ნათელი მაგალითია ჩვენს უნივერსიტეტებში ბიბლიოთეკებისაგან სავსებით დამოუკიდებლად გახსნილი ინფორმაციის ცენტრები, მაშინ, როდესაც შეიძლებოდა გაწეული ხარჯით ბიბლიოთეკებში, ანუ უკვე ინფორმაციის ინსტიტუტებში მოდერნიზაციის გზით შეეთავსებინათ ის ახალი ამოცანები, ახალი ინფორმაციული საზოგადოების ამუშავებას რომ ემსახურება. ასე რომ, ბიბლიოთეკის განვითარების პირობები მხოლოდ მართვის ფაქტორის აკვარგინობაზე როდია დამოკიდებული. ბიბლიოთეკების მართვა საბჭოთა პერიოდში ეყრდნობოდა მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ საფუძველს. ასეთ მმართველობას ახასიათებდა რაციონალიზმი, რეგლამენტი, საბიბლიოთეკო საქმის მოწესრიგება.

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები საბიბლიოთეკო საქმის სფეროში, სტრატეგიული მიზნების განსაზღვრა, ბიბლიოთეკის განვითარების პროგრამების მიღება, მათი რეალიზაციის ვადების დადგენა, სახსრების განაწილება - ფორმირდებოდა თავად სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს დონეზე, შემდეგ ეშვებოდა დაბალ სტრუქტურებში და დეცალურად განიხილებოდა.

მოსახლეობის ბიბლიოთეკებისადმი მოთხოვნილებების შესახებ ინფორმაციების წყება მრავალრიცხოვანი ანგარიშების სახით კი ქვე-

მოდან მიდიოდა შემდგომ ორგანოებში და ეს ინფორმაციები ყოველ მომდევნო შემდგომ ორგანიზაციაში გადასვლის დროს მსხვილდებოდა. იყო დაბალ საფეხურებზე მდგომთა უსიგყვო მორჩილება უმაღლესი მმართველობისადმი, ნეიტრალურობა კავშირების ჰორიზონტალური ფორმისადმი, ორიენტაცია უფლებებზე, ბრძანებებზე, კონტროლზე. ასეთი მართვა ხორციელდებოდა ვერტიკალური კავშირების მკაცრი ხაზით. ყოველივე ეს ორგანიზაციული საქმის ძალიან დაბალ კულტურას ამკვიდრებდა და იწვევდა კოლექტივის პასიურობას, ინიციატივისა და დამოუკიდებლობის უქონლობას. ასეთმა ბრძანებლურ-ადმინისტრაციულმა სისტემამ გამოიწვია მართვის ფუნქციის დეფორმაცია და ბიბლიოთეკური ცხოვრების სტაგნაცია.

შედმიწევნით კონსერვატორული მეთოდური განყოფილებები, ცენტრები, საბჭოები თუ სხვადასხვა საბიუჯეტო თუ სამეურნეო საწყისებზე მომუშავე ორგანოები საბჭოთა წყობილების დროს იმპერატიული სულისკვეთებით უფრო იყვნენ გაქლენთილნი და თანადგომის, მეთოდური მითითებების, ცოდნის და გამოცდილების გაზიარების, სიახლეების შესწავლის ნაცვლად, უმეტეს შემთხვევაში ფსიქოლოგიურად დამთრგუნველ, უარყოფით გავლენას ახდენდნენ ბიბლიოთეკებზე...

ჩემი საუბრის მიზანი არ არის გამოწველილვით ვილაპარაკო საბჭოთა პერიოდის ბიბლიოთეკებისა და მისი მმართველი ორგანოების დადებით და უარყოფით მეთოდებზე, ვიცით, რომ იმ დროსაც ბევრი რამ იყო დადებითი, მაგრამ უნდა ვიცოდეთ თანამედროვე საბიბლიოთეკო ცხოვრების ასაწყობად რა უფრო გვიშლის ხელს.

დღეისათვის საქართველოს მთელ რიგ ბიბლიოთეკებში მუშაობა ძველი სტილით მიმდინარეობს. ძველებურია საზოგადოებისა და მმართველი ორგანოების დამოკიდებულება მათდამი, თუმცა ახალმა ეპოქამ - XXI საუკუნემ სულ სხვა პრინციპებით და მიმართულებით მუშაობა დააყენა დღის წესრიგში. იმიტომ კი არა, რომ

ჩვენთან ყველაფერი შეიცვალა და დღეს სხვანი გავხდით, არამედ იმიტომ, რომ ინტეგრაციის ძალაუნებურ პროცესში ჩაბმულები მართლა სხვანი აღმოვჩნდით.

საქართველოს საბიბლიოთეკო საქმეში ბევრი პრობლემური საკითხია. პროფესიონალისთვის ძნელია ერთის გამოყოფა მეორისაგან. ერთ-ერთზე შევაჩერებლი მკითხველთა ყურადღებას: ჩემს პრაქტიკაში ახლახან დამჭირდა ყურადღება გამემახვილებინა საბიბლიოთეკო საბჭოზე, მის როლსა და დანიშნულებაზე მეფიქრა და გამეაზრებინა - რამდენად პრაქტიკულია და მოხერხებული ასეთ საბჭოსთან ერთად ბიბლიოთეკის მართვა. ამ მიზნით, საბიბლიოთეკო საბჭოს დებულება მოვიძიე, რომელიც 1959 წლის 10 დეკემბერს სსრკ-ს კულტურის სამინისტროს, სსრკ-ს პროფკავშირების საბჭოს და სსრკ-ს ტექნიკურ მეცნიერებათა საბჭოს მიერ არის დამტკიცებული. ეს დებულება მთელ საბჭოთა კავშირის საბიბლიოთეკო საბჭოებზე ვრცელდებოდა 1990 წლამდე. სსრკ-ს დაშლის შემდეგ საქართველოში დღემდე საბიბლიოთეკო საბჭოსა და მისი დებულების შესახებ არანაირი დოკუმენტი არა გვაქვს, მაგრამ 1999 წ. გამოცემულ სასკოლო და უ/ს-ის დებულებებში მოხსენიებული, უფრო სწორედ, გამოთვლილი გვაქვს ძველი და საბჭოური დებულებების მსგავსად ტერმინი «საბიბლიოთეკო საბჭო» და მას ბიბლიოთეკის მართვაში თავისი ფუნქცია აქვს მინიჭებული. ეს დასაშვებია, მაგრამ სანამ საბიბლიოთეკო საბჭოს ფუნქციონირების როლს მივანიჭებდით სასკოლო და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების დებულებებში, მანამ ჩვენ ვაღიარებდით ვიყავით თავად საბჭოს მნიშვნელობასა და ცალკე მისი დებულების შექმნასა და ჩამოყალიბებაზე გვემზუნა, როგორც თავდაპირველ წყაროზე.


საინტერესოა, რას გვთავაზობს ძველი რუსული დებულებით საბიბლიოთეკო საბჭო, რომელიც აქტივისტი მკითხველებისაგან სათათბირო ორგანოს სახით იქმნება ბიბლიოთეკასთან, და შეიმუშავებს:

1. მოსახლეობის წიგნით მომსახურების გეგმებს.
2. იზიდავს საზოგადოებას აქტიური მონაწილეობა მიიღოს ბიბლიოთეკის მუშაობაში და მოსახლეობას შორის წიგნის პროპაგანდაში. თანასაქმიანობს ბიბლიოთეკის ფილიალების, მოძრავი ბიბლიოთეკების და გაცემის პუნქტების ორგანიზებაში.
3. ამტკიცებს ბიბლიოთეკის წიგნების საზოგადო

გამავრცელებლებს, ბიბლიოთეკის მუშაობის განყოფილებების მიხედვით აქტივისტი მკითხველებისაგან ქმნის სექციებს და ჯგუფებს.

4. ამოწმებს ბიბლიოთეკის გეგმებს და ანგარიშებს.
5. იღვწის წიგნადი ფონდის გაუმჯობესებაზე, მსჯელობს გამომცემლობით გეგმებზე, ამოწმებს დაკომპლექტების გეგმებს და თემატიკას, ბიბლიოთეკის შეკვეთებს ლიტერატურაზე. ეხმარება ბიბლიოთეკას წიგნადი ფონდიდან მოძველებული ლიტერატურის გარიცხვაში.
6. იღებს ზომებს ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერებისათვის, ბიბლიოთეკის მუშაობის გაუმჯობესებისათვის და შეაქვს შესაბამისი წინადადებები ზედა ორგანოებში ან საზოგადოების განსჯის საგნად აქცევს მას. არასაკმარისი მუშაობის შემთხვევაში აყენებს საკითხს შესაბამის ორგანოებში ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობის გაძლიერებისათვის.
7. იღვწის ბიბლიოთეკის კადრის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, მონაწილეობას იღებს ტექნიკური მინიმუმის ლექციების, კურსების, კონსულტაციების ჩატარებაში.
8. რეკომენდაციას უწევს წიგნის საუკეთესო პროპაგანდისგებს, მონაწილეობს მათ წახალისებაში.
9. გამოსცემს მკითხველთა კვლევის გაზეთს.
10. ახდენს საბჭოს წევრების მორიგეობის ორგანიზებას ბიბლიოთეკაში.
11. ბიბლიოთეკის საბჭოს ირჩევენ ერთი წლის ვადით.
12. საბჭოს რიცხობრივი შემადგენლობა განისაზღვრება ბიბლიოთეკის ამოცანებისა და მუშაობის სიდიდით.
13. თავმჯდომარეს, მოადგილეს და მდივანს ირჩევენ საბჭოს წევრები ერთი წლის ვადით.
14. საბიბლიოთეკო საბჭოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობს საბჭოს მთელ საქმიანობას, აგარებს სხდომებს, აკონტროლებს სექციების, ჯგუფების და თითოეული წევრის მუშაობას.
15. მდივანი აღრიცხავს საბჭოს ყველა მუშაობას, აცხობინებს წევრებს სხდომების შესახებ, ადგენს კრებების ოქმებს, თვალყურს ადევნებს გადაწყვეტილებების შესრულებას.
16. საბჭო ყოველ წელს მუშაობის ანგარიშს აკეთებს მკითხველთა კრებებზე.

დებულების აღნიშნული საკითხების უმეტესობა სავსებით გასაგები და მისაღებია საბიბლიოთეკო საქმის პროცესის უკეთ წარმართვისათვის, მეორე საკითხია, რამდენად შესრულებადია ეს საქმე არაპროფესიონალ აქტივისტი მკითხველთაგან.




ერთი სიგყვით, ის, რაც 43 წლის უკან აუცილებელი იყო საბჭოთა სისგემის ბიბლიოთეკებისათვის, ცხადია, ვერ იქნება სრულფასოვანი დღეს - XXI საუკუნის დასაწყისში. მით უფრო, რომ ეს დებულება განუხორციელებადი და არარეალური იყო იმ ეპოქისთვისაც კი და იგი ქაღალდზე უფრო არსებობდა, ვიდრე პრაქტიკულ საქმიანობაში. «აქტიურ მკითხველებს» არც მაშინ ეცალათ ბიბლიოთეკის საქმეებში დაწვრილებით და ღრმად ჩასახედად და იმ სამუშაოების შესასრულებლად, რომელსაც დებულება ითვალისწინებს. ფორმალizmით განთქმულ საბჭოთა ეპოქაში ეს გასაკვირი არც იყო. საბიბლიოთეკო საქმის ქართველმა მესვეურებმა ვიმუშავეთ რა უ/ს-ს და საშუალო სკოლის ბიბლიოთეკების დებულებებზე, სამწუხაროდ, კვლავ შევიგანეთ ბიბლიოთეკის საბჭოს შესახებ მუხლი ისე, რომ წინასწარ არ გაანალიზდა საბჭოს არსი, დღეისათვის მისი საჭიროება არსებული ფორმით და რაც მთავარია, არ დამუშავდა თვით საბჭოს დებულება. ალბათ, მაშინ უფრო გამოამკარავებოდა საბჭოს არსებობის ღრომოჭმულობა. ასე, რომ დღეისათვის არსებული უ/ს-ს ბიბლიოთეკის დებულებაში არ არის გათვალისწინებული საქართველოს ბიბლიოთეკების მოღერნიზაციის პროცესის აუცილებლობა, რომელიც დებულების მუხლებში უნდა ასახულიყო. აქვე ერთი რამ - უ/ს-ს ბიბლიოთეკების დებულებაში ჩვენ გვაქვს ასეთი მუხლი (3, 2): ბიბლიოთეკის დირექტორი არის რექტორის და სამეცნიერო საბჭოს წევრი. ამ დროს უნივერსიტეტს მოპოვებული აქვს ავტონომია და იგი თავად წყვეტს, ვინ უნდა იყოს რექტორის თუ სამეცნიერო საბჭოს წევრი. ასეთ შემთხვევაში საკითხავია, რამდენად მართებულია ჩვენი მხრიდან ასეთი პუნქტის დებულებაში აღნიშვნა. დღევანდელი მართხოვს სწრაფ სვლას განვითარებული დასავლეთ ევროპის და ამერიკის ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილების გზით. გექნოკრატიის, ინფორმაციის, მაღალკვალიფიციურებული სპეციალისტების დრო ვერ იგანს არაპროფესიონალების ჩარევას პროფესიულ საქმიანობაში...

არადა, ბიბლიოთეკის საბჭოს ძველი დებულება პირდაპირ ავალდებულებს არაპროფესიულ ჯგუფს ჩაერიოს ბიბლიოთეკის საქმიანობაში, მართვაში. ბიბლიოთეკის გეგმები, ანგარიშები იმ სტანდარტების მიხედვით უნდა დგებოდეს, რომელიც ბიბლიოთეკის საქმიანობის ცენ-

ტრებში მუშავდება. ეგრეთ წოდებული აქტივისტი მკითხველებისაგან შემდგარი ბიბლიოთეკის საბჭოები საქართველოს ბიბლიოთეკებისათვის არასოდეს არ ყოფილა დამხმარე ძალა. პირიქით... ასეთი საბჭოს შექმნა და ამოქმედება ბიბლიოთეკის სამრუნავი ხდება. საბჭოს დოკუმენტაციების მოწესრიგება კი ბიბლიოთეკის ისედაც მრავალფეროვან თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობას ხელშეწყობის ნაცვლად აბრკოლებს. ბიბლიოთეკის საქმიანობაში ყველაზე დიდი დასაყრდენი ფაქტორია პრაქტიკა და გამოცდილება. სწორედ საბიბლიოთეკო პრაქტიკა გვალაპარაკებს, როდესაც დღეისათვის უარფყოფთ ბიბლიოთეკების საბჭოების ძველებური სახით არსებობის აუცილებლობას და მივიჩნევთ მას ბიბლიოთეკის მართვის ერთ-ერთ დამაბრკოლებელ რგოლად. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცარიელი დავტოვოთ ეს ადგილი. ბიბლიოთეკების საქმიანობა ყოველთვის მოითხოვდა და დღესაც მოითხოვს ხალხის თანადგომას, მკითხველთა ამრის გამიარებას, მაგრამ, როგორც ჩანს, კომუნისტურმა აქტიურობამ აქაც იჩინა თავი და აქტიურ მკითხველთა ჯგუფს ისეთი რამ დაავალა, რაც რეალობას სცილდებოდა. საგულისხმოა, რომ რუსეთის ერთ-ერთი უ/ს-ის ბიბლიოთეკის - ლობაჩევისკის სახ. ნიქეგოროდსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულებაში დღესაც ვკითხულობთ ჩვენ შემდეგს: «ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკასთან სათათბირო ორგანოს სახით უნივერსიტეტის სამეცნიერო და სასწავლო სტრუქტურებთან ბიბლიოთეკის მუშაობის შესათავსებლად იქმნება ბიბლიოთეკის საბჭო. ბიბლიოთეკის საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს რექტორი ბიბლიოთეკის დირექტორის წარდგინებით» (მუხლი 4, პუნქტი 31). მაგრამ ჩვენ არ ვიცით თავად ბიბლიოთეკის საბჭოსთვის როგორი ახალი (თანამედროვე) დებულება შექმნა რუსეთმა, რა შინაარსი ჩადო მასში.

საინტერესოა ამერიკის შეერთებული შტატების სანდიგოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის კომიტეტის არსებობა. იგი მუდმივია და გარდა იმისა, რომ ეხმარება ბიბლიოთეკას, ცდილობს თავისი მუშაობა შეათავსოს უნივერსიტეტის სამეცნიერო მუშაობასთან. შუამდგომლობს დირექციასთან, რაც შეიძლება მეტი ბიუჯეტი გამოეყოს ბიბლიოთეკას, მოაპოვებინოს მას მაგერიალური სახსრები.

ხელთა გვაქვს გერმანიის უნივერსიტეტების ბადენვიურტემბერგის და ბრემენის უმაღ-



ლესი სასწავლებლების კანონები, სადაც ბიბლიოთეკის მართვის შესახებ არის პუნქტები. ბაღენვიურგემბერგის უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო სისტემისათვის იქმნება მართვის ჯგუფი, რომელიც ეხმარება ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს დასახული ამოცანების განხორციელებაში. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა სრულიად გადანაწილებული კადრების საკითხი და სხვა.

ჩვენ დიდხანს შევჩერდით საბიბლიოთეკო საბჭოს არსებობის მართებულებაზე, რადგანაც ეს საკითხი ბიბლიოთეკის მართვის სფეროს ერთ-ერთი მთავარი საკითხია.

ბიბლიოთეკის მართვა და ორგანიზაცია მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, თუმცა მათ შორის არის მკვეთრი განსხვავება. ბიბლიოთეკის საქმის ორგანიზაციის შედეგად მიიღება ობიექტი. ახლა გადავიდეთ მოგადიდან კერძო მაგალითზე, კონკრეტულ პრაქტიკულ გამოცდილების ანალიზზე.

თბილისის ი.ჭავჭავაძის სახ. ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ყოფილი უცხო ენების ინსტიტუტი) ბიბლიოთეკა, როგორც უკვე შექმნილი ობიექტი, ჩავიბარე 1985 წელს. ბიბლიოთეკა იმ დროისათვის შედგებოდა სამი განყოფილებისაგან: 1. დამუშავება-დაკომპლექტება, 2. მომსახურება-საცავი და 3. საცნობო-ბიბლიოგრაფიული. ჩემი მუშაობის პერიოდში შევექმნით ბიბლიოთეკაში მეოთხე განყოფილება – საცავი. განყოფილების შექმნა იმ დროისათვის არც თუ პაგარა საქმე იყო. რა მოიგანა მან: სტრუქტურა უფრო დააწყო და სამოქმედო ასპარეზი მკვეთრად შემოხაზა. საქმე გაცილებით უკეთ წავიდოდა, რომ შემძლებოდა ბიბლიოთეკის შესაბამისი კადრით დაკომპლექტება.

ბიბლიოთეკის მართვა პრაქტიკაში უფრო რთული პროცესია, ვიდრე ეს თეორიულ მასალებში ჩანს. თუმცა, ზოგიერთი ავტორი ისე მძიმედ და ბუნდოვნად წარმოგვიდგენს მართვის რესურსებს და მეთოდებს, რომ ასეთ თეორიულ მასალას ცოდნის გასამდიდრებლად ვერც გამოიყენებ. ბიბლიოთეკა ცოცხალი ორგანიზმია და იმისათვის, რომ მან იარსებოს, საჭიროა სამი ძირითადი რამ: 1. წიგნადი ფონდი, 2. მკითხველები, 3. მომსახურე პერსონალი. ეს 3 ატრიბუტი – წიგნი, მკითხველი, ბიბლიოთეკარი – არის მთავარი წყარო ბიბლიოთეკის სიცოცხლისუნარიანობისა. მართვაც ამ სამ არგუმენტზე უნდა აი-

გოს: 1. წიგნი უნდა მოიპოვო, შემოიგანო, ორგანიზება გაუკეთო, ადგილი მიუჩინო; 2. მკითხველი მოიმილო, ინფორმაციული მუშაობა გახადო, შექმნა პირობები წიგნისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა; 3. ბიბლიოთეკარი მიაგაგრო იმ უბანს, რომელიც შეესაბამება მის უნარს, ნიჭს, ესე იგი საბიბლიოთეკო საქმეში შრომა გაანაწილო სწორად.

აქვე უნდა აღინიშნოს, ვინ არის ბიბლიოთეკარი (ვინ უნდა იყოს!) – ეს ის ინტელექტუალური კაპიტალია, რომლის მუშაობის შედეგადაც ბიბლიოთეკაში ჩნდება წიგნიც, ინფორმაციაც და შესაბამისად – მკითხველიც!


აი, ამ სამ არგუმენტზე აგებული მართვა არის გრადიციულიც და მართვის ნებისმიერი სახეობის საფუძველიც. ორგანიზატორის (ამ შემთხვევაში - ჩემი) თავდაპირველი ნაბიჯებია: ა). კადრის გაცნობა, მათზე შრომის სწორად განაწილება, შრომის რეჟიმი; ბ). ბიბლიოთეკის სათავსოების შესწავლა, ღონისძიებები იმისათვის, რომ უფრო მოხერხებული გამეხადო იგი; გ). წიგნადი ფონდის შესწავლა, აღნიშნულ საქმიანობასთან ერთად ადგილობრივ გემდგომ ორგანოებთან (ჩვენს შემთხვევაში – რექტორატთან) შეხვედრა, მათი ბიბლიოთეკისადმი განწყობილების გაცნობა, აუცილებელი საკითხების დაყენება, მათი მხარდაჭერის მოპოვება; დ). იმ დოკუმენტაციებზე მუშაობა, რომელიც გამოხატავს ბიბლიოთეკის საქმიანობას, მოღვაწეობას, მის სამოქმედო პოლიტიკას, გეგმას, ანგარიშს

თითოეულ ამ ჩამონათვალში ბევრი რამ არის ნაგულისხმევი და უამრავ წვრილმან ქვესაკითხებად და საქმეებად დიფერენცირდება.

მართვის პროცესში უდიდეს როლს ვანიჭებ მმართველის პიროვნულ თვისებებს.

ქართული სინამდვილისათვის მართვაში ყველაზე რთული და წინააღმდეგობრივი კადრებთან მუშაობაა, მრავალი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო. ამ მიზეზებს შორის, დასაძალი არ არის, კადრის დაბალი კვალიფიკაცია.

მეორე, არანაკლებ მნიშვნელობის სიძნელეს გემდგომი ორგანოები წარმოადგენენ, რომლებიც ბიბლიოთეკას ბოლოხარისხოვან როლს ანიჭებენ სწავლის პროცესში. განათლების სისტემის ჯერჯერობით წარუმატებელი რეფორმა კი საქმის გამოსწორების არავითარ იმედს არ იძლევა. აღნიშნული სიძნელეები ადგილობრივ კადრთან და გემდგომ ორგანოებთან



მიმართებაში კომუნისტური რეჟიმის დროს არ შეიმჩნეოდა, ბიბლიოთეკას, როგორც კომუნისტური იდეოლოგიის დასაყრდენს, მთავრობა გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობდა ვიდრე ეს დღეს არის. წიგნალი ფონდის დაკომპლექტებისათვის ბიბლიოთეკას გამოყოფილი ჰქონდა ყოველწლიური ბიუჯეტი, ბიბლიოთეკის მოვალეობა იყო მისი ათვისება. მეორეც - სასწავლო წლის განმავლობაში იმდენ პოლიტიკურ მასალებზე იყო მოთხოვნა, რომ ბიბლიოთეკას და ბიბლიოთეკარს არც მკითხველი აკლდა და არც სამუშაო. დღეს კი უნივერსიტეტებში სწავლების სულ სხვა მეთოდებმა და პრინციპებმა, ხოლო ბიბლიოთეკების უსახსრობამ სტუდენტობა ბიბლიოთეკებს განარიდა და როგორც პრინციპები და ქსეროასლების ჯიხურებთან მოუყარა თავი. ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში ბიბლიოთეკა უმეტეს წილად დარჩა თავად ბიბლიოთეკის თანამშრომელთა უნარის ამარა. დღეს თითოეული ბიბლიოთეკარი თუ არ გააცნობიერებს შექმნილ მდგომარეობას, თუ არ მოინდომებს და არ ეცდება გრადიციული პოზიციების მუშაობის ახალი, თანამედროვე სტილით გამდიდრებას, ჩავთვალოთ, რომ ბიბლიოთეკის რეგრესს თვითდევრადციაც დაემატება. შევხედოთ თვალებში რეალობას და ვთქვათ: გვყავს ჩვენ დღეს ასეთი კადრი? აშკარად სახეზეა მართვის ბაზის სიმწირე და სიღარიბე, პროფესიული საბიბლიოთეკო კადრის გარეშე არ არსებობს არავითარი გექნოლოგიური მოდერნიზაცია, სოციოკულტურული პარადიგმების (მაგალითების), სიახლეების დანერგვა.

და მაინც, მე, როგორც ორგანიზატორი, თავს ვაღიბებულად ვთვლი, რომ თანამედროვეობისაკენ მივმართო ჩემი მუშაობა, ვუწყვილებ რა სიტყვა «მართვას» «მენეჯმენტს», ვთვლი, რომ მართვა თავისთავში მოიცავს თეორიისა და პრაქტიკის, ანალიზისა და ინტუიციის, ფუნქციონალური ცოდნისა და ხელქვეითთა ხელმძღვანელობის უნარის სინთეზს, შერწყმას, ნიჭს იმისა, რომ ნაცოფიერად ითანამშრომლო სხვა ორგანიზაციებთან, მომხმარებლებთან, მხარი დაუჭირო მათ საქმიანი მიზნის მისაღწევად გამოჩენილ დაინტერესებულში. მიზნის დასახვა და მის მისაღწევად უნარის გამოჩენა, სხვადასხვა ხერხების გამოყენება, ადამიანთა ქცევის მოტივაცია, შრომისა და ინტელექტის გამოყენება – აი რა არის მართვა - მენეჯმენტი.

ბიბლიოთეკის მართვის აღნიშნული ელემენტები არ შეიძლება ნაცნობი არ იყოს იმ პრო-

ფესიონალისთვის, რომელიც მართვის სისტემაშია პრაქტიკულად ჩაბმული.

მართვის ძველი ხერხების სტანდარტულობა, გრადიციული მართვის უნეში სტრუქტურა ადვილს უთმობს საბიბლიოთეკო მენეჯმენტს, როგორც მართვის მოქნილ მექანიზმს, ორიენტირებულს გარე სამყაროს სწრაფ ცვალებადობაზე, ინფორმაციული გექნოლოგიის გამოყენებაზე, ინიციატივასა და თანამშრომელთა ინტელექტზე, სხვადასხვა კულტურულ სფეროში მუშაობის უნარზე.


ჩემი შეხედულებების ერთ მნიშვნელოვან ნაწილზე მინდა შევაჩერო მკითხველის ყურადღება. ბიბლიოთეკის მთავარი დანიშნულება ყოველთვის, ყველა ისტორიულ ეპოქაში იყო და არის ინფორმაციულობა. ბიბლიოთეკის მუშაობის ფორმებისა და მეთოდების ცვალებადობა დიდად არის დამოკიდებული სამოგადოების მოთხოვნებზე. ბიბლიოთეკა იმრდება და იცვლება განვითარებული სამოგადოების მოთხოვნების, სურვილების მიხედვით. თუ საქართველო გახდება ინფორმაციული სამოგადოების თანასწორუფლებიანი წევრი, ეს თავისთავად კარნახობს ბიბლიოთეკების გექნიკურ და გექნოლოგიურ მოდერნიზაციას – რაც დიდ ფინანსურ, ინტელექტუალურ და ორგანიზაციულ დანახარჯს მოითხოვს. ეს მთავარი გლობალური საკითხია, მეორე გლობალური ფაქტორია ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნა, აქ კი ბიბლიოთეკების სოციალური მოდერნიზაციაა საჭირო - ბიბლიოთეკა ახალი სოციალური როლით და ფუნქციით იგვირთება, თუ, რასაკვირველია, გვსურს ჩვენ ღია დემოკრატიული, სამოქალაქო ცივილიზებული სამოგადოების აშენება. ამიგომ უდიდეს როლს ვანიჭებ უ/ს-ის ბიბლიოთეკებში სამოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებების შექმნას. დაფიქრდეთ – იქნებ ამ უკანასკნელებმა საბიბლიოთეკო საბჭოს როლი შეცვალონ? საბიბლიოთეკო ცხოვრების უკეთ წარმართვის იდეა იქნებ სამოგადოებასთან ურთიერთობის რგოლებმა ჩამოაყალიბონ და დანერგონ?

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Карташов, Н. С. Управление библиотечным делом: организационный механизм. - //Библиотековедение. - 2001. - №4.
2. Кармовский, В. В. Диверсификация библиотечного менеджмента: типология и выбор альтернатив //Библиотековедение. - 2001. - №3.

3. Никонорова, Е. В. Связи с общественностью: новый импульс развития библиотек // Библиотековедение. - 2001. - №6.
4. Busse, Ernestus, Plassmann, Seefeldt. Das

- Bibliotheksvesen der Bundesrepublik Deutschland: Ein Handbuch. - 1999
5. Collection Development Policy, Southern Cross University Library. - Australia, Febr. 2002.



მარინა ჩიქავა
 ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ცენტრის მთავარი სპეციალისტი

ფსიქოლოგი ბიბლიოთეკაში

ბიბლიოთეკათა მისია, გარდა კულტურული მემკვიდრეობის შენახვისა და გადაცემისა, უცილობლად გულისხმობს აღმზრდელობით მემოქმედებას და პიროვნული ჩამოყალიბების პროცესის წარმართვას და არა მხოლოდ მოზარდთაობასთან მიმართებაში. ადამიანი, უეჭველად საჭიროებს სულიერ საზრდოს და ინფორმაციის მიღების თანდაყოლილი მოთხოვნების რეალიზაციას. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ადამიანი მრავალფეროვან საშუალებებს მიმართავს ესთეტიკურ და ინფორმაციულ მოთხოვნებთან დასაკმაყოფილებლად, შეუცვლელია წიგნთან მიახლოების სიბლი და ძალა, შესაბამისად, შეუცვლელია ბიბლიოთეკათა როლი და გავლენა.

თანამედროვე შეჭირვებული ყოფიერებიდან გამომდინარე სულიერი კრიზისი განსაკუთრებით მრდის ბიბლიოთეკათა პასუხისმგებლობას როგორც ცალკეული პიროვნების, ასევე საზოგადოების, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმის წინაშე. დღეს, როგორც არასდროს სჭირდება ბიბლიოთეკას ფსიქოლოგის სპეციფიკური პარტნიორობა.

ისტორიულად, ფსიქოლოგია ერთობ ღრმად ფართო პროფილის მეცნიერებაა. თავისი მრავალმხრივობის გამო, არ არსებობს არცერთი მხარე ადამიანური ყოფიერებისა, რომელიც ფსიქოლოგიასთან არ იყოს დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, ალბათ არ მოიძებნება ისეთი უბანი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რომელიც არ საჭიროებდეს მეთოდურ ფსიქოლოგიურ ჩარევას. მათ შორისაა საბიბლიოთეკო საქმიანობაც. ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სამღვარგარეთის ბიბლიოთეკებში უკვე კარგახანია არსებობს ფსიქოლოგიური ცენტრებისა და კაბინეტების ფუნქციონირების გრადიცია. იქ ფსიქოლოგები საკმაოდ ღირებულ, მრავალმხრივ და, გარკვეულ შემთხვევებში, შეუცვლელ საქმიანობას ეწევიან. მეგაღ საინტერესოა ჟურნალ “Библиотека”-ს 2002წ. №№ 2-ში გამოქვეყნებული სტატიები, რომლებიც რუსეთის ბიბლიოთეკებში ფსიქოლოგთა საქმიანობას ეხება.

უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიოთეკათა გიპების შესაბამისად, მეგნაკლებად, სხვადასხვაგვარია ბიბლიოთეკაში ფსიქოლოგის საქმიანობა; მაგრამ მიუხედავად ამისა, ძირითადად საბიბლი-

ოთეკო ფსიქოლოგიური სამსახური მაინც ერთგვაროვანია და, ფაქტობრივად ყველას ბევრი რამ აქვთ საერთო, კერძოდ, ფსიქოლოგიური კონსულტაციები და რეკომენდაციები, დიაგნოსტიკა და კორექცია, სოციოკულტურული ადაპტაცია, პროფორიენტაცია, ფსიქოლოგიური ტრენინგები, ბიბლიოთერაპია და სხვ.

ფსიქოლოგის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა, აამოქმედოს ბიბლიოთეკაში არსებული სოციალური რეალობის შესაგყვისი კონკრეტული მექანიზმები. ადამიანი, გარკვეულ ემოციურ კლიმატს ქმნის ჯგუფში, რომელშიც თავისი ცხოვრების წესის გამო ერთიანდება. თავის მხრივ, კოლექტივი, საზოგადოებრივი ურთიერთობანი, გარკვეულ გავლენას ახდენს პიროვნებაზე. ბიბლიოთეკის კოლექტივის ცხოვრებაში აუცილებლად იჩენს ხოლმე თავს გარკვეული, მეტნაკლებად მწვავე რეალური სიტუაციები, რომელნიც მოითხოვენ ფსიქოლოგის ჩარევას და სხვადასხვა რაკურსით გაანალიზებას, რათა უმტკივნეულოდ შენარჩუნდეს საბიბლიოთეკო კოლექტივის, როგორც მთლიანი ორგანიზმის, ფსიქოლოგიური წონასწორობა. ფსიქოლოგის დაკვირვების ობიექტი ხდება ურთიერთობის სამი ფორმა:

1. ურთიერთობა თანამშრომლებს შორის;
2. ურთიერთობა თანამშრომლებსა და ადმინისტრაციას შორის;
3. ურთიერთობა თანამშრომლებსა და მკითხველებს (მომხმარებლებს) შორის.

სასურველია, ხდებოდეს თანამშრომელთა ინფორმირება ახალ სამეცნიერო-პოპულარულ მასალაზე ფსიქოლოგიაში, ლექცია-სემინარები ფსიქოლოგიურ საკითხებზე და სხვ. ამისათვის საჭიროა ბიბლიოთეკას ჰქონდეს სათანადოდ მოწყობილი ფსიქოლოგიური კაბინეტი. დღეს უკვე აღარ არის სადავო, რომ ნებისმიერი სამუშაოს შესრულებისათვის აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს პიროვნების ობიექტური თუ სუბიექტური მდგომარეობა, როგორც განვითარებისა და არსებობის პირობა, რომელიც გავლენას ახდენს ყოველივეზე, ერთი შეხედვით, თუნდაც უმნიშვნელო ფაქტსა თუ მოვლენაზე. მათი შესწავლა დეტალურად უნდა ხდებოდეს.

ძალიან მნიშვნელოვანია ფსიქოლოგის


მუშაობა მკითხველებთან. მკითხველთა გარკვეული ნაწილი საჭიროებს კონსულტაციას პირად საკითხებთან დაკავშირებით; გარკვეული ნაწილი კი, ცდილობს რა თავად გაერკვეს საკუთარ თავში, ინტერესდება კლასიკოს ფსიქოლოგთა შრომებითა თუ უახლოესი ფსიქოლოგიური მეთოდებით. ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს მკითხველის ასაკის, ღონის, კატეგორიის გათვალისწინება და მასალის შესაბამისად შერჩევა; ამასთან, მკითხველთან მუშაობა შეიძლება ჩატარდეს როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად, საჭიროებისდა მიხედვით.

ფსიქოლოგმა უნდა მოაწყოს აგრეთვე ახალი ფსიქოლოგიური ნაშრომების პრეზენტაცია ბიბლიოთეკართა და მკითხველთათვის.

გარკვეული თვალსაზრისით, სპეციფიკურია ფსიქოლოგის მუშაობა ბავშვებთან და მოზარდებთან. ამ დროს გასათვალისწინებელია თავისებურებები, ოჯახური მდგომარეობა და სხვ. ბავშვებთან მუშაობის დროს აუცილებელია თანამშრომლობა მშობლებთან.

და ბოლოს, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა გვეჩვენოს ის ფარული თუ ცხადი პრობლემატიკა, რომელიც გვინდა თუ არა, აუცილებლად თან ახლავს საბიბლიოთეკო ცხოვრებას, იგი უეჭველად უნდა გაანალიზდეს ერთობ სკურპულოზურად; არ არის საკმარისი რაიმე მოვლენის უბრალო კონსტატაცია ანალიზი საჭიროა იყოს სიღრმისეული, ეს კი აუცილებლად მოითხოვს სპეციალური მეთოდოლოგიით ოპერირებას, რაც აუცილებლად საჭიროებს პროფესიონალ ფსიქოლოგს, რომელიც აღჭურვილია ალლოთი და გამოცდილებით.

რედამტციისაბან: მარინა ჩიქავას მოცემულ სტატიას ძირიგადად საკითხის დასმის წესით ვთავაზობთ ჩვენს მკითხველებს და მას რაიმე მეთოდოლოგიური თუ მეცნიერული თვალსაზრისის პრეგენზიები არა აქვს. იმედია, გამოგვეხმაურებიან სპეციალისტები და მოგვაწვდიან წინადადებებს, თუ როგორ მოგვარდეს ეს საქმე ჩვენში, თორემ საერთოდ რომ უცხოეთის მოწინავე ქვეყნების ბიბლიოთეკებში დიდი ხანია იღვწიან ფსიქოლოგები, ეს უკვე საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია.



წიგნი – საშუალო და უფროსი ასაკის ბავშვებისათვის



გულნარა შირცხალავა
 ლადო ასათიანის სახ. სა-
 ხელმწიფო რესპუბლიკური
 საბავშვო ბიბლიოთეკის
 დირექტორის მოადგილე

დროს ხდება მოზარ-
 ლის ფიზიოლოგიური
 მომწიფება, რაც მეტად
 საყურადღებო მოვ-
 ლენაა მათ ცხოვრება-
 ში. ეს ცვლილებები
 მოზარდის ფიზიკურ და მორალურ თვისებებსაც
 შეეხება. ყოველივე ეს თავისებურ გეგავლენას
 ახდენს მოსწავლის წიგნით დაინტერესებაზე.

გონებრივად ეს ბავშვები საკმაოდ განვი-
 თარებულნი არიან. იცნობენ ბუნებას, მისი გან-
 ვითარების კანონებს, სრულყოფილი წარმოდგე-
 ნა აქვთ ნასწავლ საგნებზე და მოვლენებზე. ბევ-
 რი მათგანი ამ ასაკში ცალკეული სპეციალობი-
 თაა გაგაცნობილი, ზოგს უნდა ინჟინერი გამოვი-
 დეს, ზოგს ექიმი, ზოგს მსახიობობა აინტერესებს.
 ამიგომ პროფესიისა და საგნების ამსახველი წიგ-
 ნებისადმი დიდ ინტერესს ამჟღავნებენ. სკოლა-
 ში მიღებული ცოდნისა და კლასგარეშე ლიტერა-
 ტურის კითხვის შედეგად შეუძლიათ საკუთარი
 ამრები ჩამოაყალიბონ საგნებზე და მოვლენებ-
 ზე. მათ საგრძნობლად აქვთ განვითარებული
 კრიტიკული ამროვნება, ამიგომ ყველას ნათქვა-
 მი და ნაამრევი როლი მოსწონთ. ხშირად ისეთი
 ამრები და ნათქვამი მოსწონთ, რომლებიც თა-
 ვიანთ ფიქრებთან და თვით თავიანთ მისწრაფე-
 ბებთანაა ახლოს; ამიგომ მათ ყველა მასწავლე-
 ლის, მშობლის და ბიბლიოთეკარის რჩევა როდი
 მოსწონთ. ისინი უფრო სარწმუნოდ მიიჩნევენ

იმათ, რომლებსაც უფრო დამაჯერებლად და და-
 საბუთებულად შეუძლიათ გაარკვიონ ისინი მათ-
 თვის საინტერესო საკითხებში. მიუხედავად ამი-
 სა, მათ ჯერ კიდევ ნათელი წარმოდგენა არა
 აქვთ ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებაზე.
 ამიგომაა, რომ ისინი ადამიანის სულიერი სფე-
 როს გაგებისათვის მეტ ინტერესს იჩენენ. ამ ასა-
 კის ბავშვები სწორედ ისეთი ნაწარმოებების
 კითხვით ინტერესდებიან, რომლებშიც ადამიან-
 ნის ფსიქოლოგია, სიყვარული, ისტორია და მე-
 გობრობაა წარმოდგენილი. მათი დამახასიათე-
 ბელი თვისება ისიცაა, რომ ისინი ცდილობენ, რაც
 შეიძლება, დამოუკიდებლად შეარჩიონ თაროებ-
 ზე წიგნები. საშუალო და უფროსი ასაკის ბავშვე-
 ბი უმცროსი ასაკის ბავშვებისაგან საგრძნობლად
 განსხვავდებიან თავიანთი ქცევით, კითხვის თა-
 ვისებურებებით. მათთან ბიბლიოთეკარის მუ-
 შაობა გარკვეულ სირთულესთანაა დაკავშირებუ-
 ლი. საერთოდ, ბიბლიოთეკარებს უმცროსი ასა-
 კის ბავშვებთან წიგნის პროპაგანდა და გაცნო-
 ბა შედარებით ეადვილებათ, რადგან ეს წიგნები
 მოცულობითაც პაგარაა და შინაარსითაც მარგი-
 ვი. რაც შეეხება უფროსი ასაკის ბავშვებთან წიგ-
 ნის რეკომენდაციას, ამ შემთხვევაში ბიბლიო-
 თეკარის მუშაობა გარკვეულ სირთულესთანაა
 დაკავშირებული. აქ ბიბლიოთეკარს სჭირდება
 დიდი მოცულობის წიგნების გაცნობა. შინაარსის
 მიხედვით ეს ლიტერატურა მრავალფეროვანი
 და რთულია. ასეთი წიგნების გაცნობა ბიბლიო-
 თეკარისაგან მოითხოვს მეტ დროს, ენერგიას
 და დიდ ერუდიციასაც. ამ ასაკის ბავშვთა მომსა-
 ხურება ბიბლიოთეკარს ავალდებულებს, განსა-
 კუთრებით ფაქიზად, მეგისმეგი გაქვითა და პა-
 სუხისმგებლობით მოეკიდოს მათ, რათა დააკმა-
 ყოფილოს ბავშვის ცნობისმოყვარეობა და ყო-
 ველთვის ამომწურავი, დამაჯერებელი და მეცნი-
 ერულად დასაბუთებული პასუხი გასცეს. მეგობრუ-
 ლი და ამხანაგური რჩევა – დარიგება მისცეს მო-
 ზარდს. მხოლოდ ასეთი გაქვითა და მეთოდით უზ-
 რუნველყოფს ბიბლიოთეკარი მკითხველის წიგ-
 ნით დაინტერესებას და მის სწორ გზაზე დაყენე-

ბას.

როგორც ვიცით, მეოთხე კლასიდან იწყება საგნობრივი სწავლება. წინა წლებში გავლილი სასწავლო პროგრამა და კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა საგრძნობლად ეხმარება ბავშვებს გარემომცველი სამყაროს შეცნობაში. ისინი თანდათანობით ეჩვევიან ცალკეულ საგნებზე და მოვლენებზე დაკვირვებებს, თავიანთი ამრის გამოხატვას. მათ შეუძლიათ წაკითხული უფრო უკეთესად გადმოგვცენ და იმავე დროს უფრო სრულად ჩამოაყალიბონ თავიანთი ამრი.

ნასწავლი საგნები და წაკითხული ლიტერატურა საშუალებას აძლევს მოზარდებს უფრო სრულყოფილად გამოკვეთონ თავიანთი კითხვის ინტერესები. ამ ასაკის ბავშვებს აინტერესებთ ისტორიული, სათავგადასავლო, გექნიკური და საბუნებისმეტყველო ხასიათის ლიტერატურა. გექნიკა და საგმირო საქმეები ბიჭებს იგაცებს. გოგონები მხატვრული, ისტორიული და მუსიკალური ხასიათის ლიტერატურას ეცნობიან ხალისით.

ბევრ მოზარდში შეიმჩნევა, რომ მათ თანდათანობით უყალიბდებათ კრიტიკული ამროვნების ჩვევები. შეიმჩნევა ასიც, რომ ზოგიერთი მათგანი გაფანტულად კითხულობს, რაც იმის მაუწყებელია, რომ მათ კითხვაში გარკვეული მიმართულება არა აქვთ. ხშირია იმის მაგალითებიც, როცა მკითხველთა ინტერესები ცვალებადია. აქედან გამომდინარე, ამ ჯგუფთან მუშაობისას ბიბლიოთეკარმა უნდა გაარკვიოს მათი ნაკითხობა, მიდრეკილებები. ამ საქმეში კი ბიბლიოთეკარს დაეხმარება მკითხველებთან დიალოგი-საუბრები. იგი შეიძლება იყოს ჯგუფური ან ინდივიდუალური. უფრო კარგ შედეგს იძლევა ინდივიდუალური საუბრები. ამით ბიბლიოთეკარი გარკვეულ შედეგს ანუ პასუხს მიიღებს იმაზე, თუ რას მოელიან ბავშვები წიგნებიდან და თვით წიგნები რა ზეგავლენას ახდენენ მათ განვითარებაზე. ამ ასაკში მკითხველებს აინტერესებთ: ილია ჭავჭავაძის “გლახის ნაამბობი”, “ოთარაანთ ქვრივი”, აკაკი წერეთლის “თორნიკე ერისთავი”, ი. ნონეშვილის ლექსები, ირ. აბაშიძის “მოვიარე საქართველო”, გ. ლეონიძის “ნაგვრის ხე”, ნ. ღუმბაძის “მე, ბებია, ილიკო და ილარიონი”, “მე ვხედავ მშენ”, რ. ინანიშვილისა და გ. დოჩანაშვილის მოთხრობები. ლ. ქიაჩელის “თავადის ქალი მაია” და “ჰაკი აბბა”, და სხვა.

ძალიან რთულია, მკითხველი გაარკვიო და დაინტერესო, თუ რა უფრო ფასობს ამა თუ

იმ ნაწარმოებში. მაგალითად, ავიღოთ ილ. ჭავჭავაძის “ოთარაანთ ქვრივი”, ლ. ქიაჩელის “თავადის ქალი მაია” და ნ. ლორთქიფანიძის “თავსაფრიალი დედაკაცი”. საყურადღებოა, ამ სამ ნაწარმოებში მოცემულ ქალთა სახეებს როგორ აღიქვამს ბავშვი, როგორც ქართველი ქალის სახეს ქართულ მწერლობაში ერთიანად, თუ ახდენს ქართველი ქალის სახის კონკრეტულ, გაცნობიერებას. პირველ ორ ნაწარმოებში დედაშვილობაა წამოწეული, მესამეში კი ქალური საწყისია საყურადღებო. ყოველივე ამის გაანალიზება და მკითხველამდე მიგანა ძალიან რთულია.

გარდა ქართველი მწერლობისა, ამ ასაკის მკითხველები სიამოვნებით ეცნობიან მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშებსაც. ისინი კითხულობენ ლერმონტოვის, პუშკინის, გრიბოედოვის ნაწარმოებებს, რომლებიც საკმაოდ რთული გასაგებია. “ჩვენი დროის გმირი”, “ვეგენი ონეგინი”, “ვაი ჭკუისაგან” საკაცობრიო პრობლემებს ეხება, აქაც საჭიროა ბიბლიოთეკარის გონივრული საუბარი მკითხველებთან, რათა ეს საკითხები მათთვის გაუგებარი არ დარჩეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნაწარმოებებში გადმოცემული სიუჟეტი მხოლოდ უბრალო ამბად აღიქმება მკითხველთა მიერ. ამ თვალსაზრისით, მეტი გულისყურით მოსაპყრობია დანიელ დეფოს “რობინზონ კრუზო”, ბიჩერ სტოუს “ბიძია თომას ქოხი”, მაინ რიდის “უთავო მხედარი”, თომას მანის “ჯადოსნური მთა” და სხვა მრავალი შესანიშნავი შინაარსის მქონე წიგნები, რომლებშიც მთავარი მხოლოდ სიუჟეტი როდია.

ხშირია შემთხვევა, როდესაც მშობლები თვითონ ურჩევენ ბავშვს წასაკითხად მათი ასაკისათვის შეუფერებელ ლიტერატურას შვილების განსაკუთრებული ნიჭისა და უნარის ერთგვარად დასადასტურებლად, რაც არასწორია. ამიგომ აქ ბიბლიოთეკარმა განსაკუთრებული გაქვითა და მიდგომით უნდა დაარწმუნოს მშობელი, რომ მისი არჩევანი მცდარია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გარდა მხატვრული ლიტერატურისა, ბიბლიოთეკარი საშუალო ასაკის მკითხველებს ჩვენი მდიდარი ფოლკლორის შესანიშნავი ნიმუშების წაკითხვასაც ურჩევს. ამ მხრივ ძალზე საინტერესოა “ბალადა ვეფხისა და მოყმისა”. იგი ქართული ფოლკლორის შესანიშნავი მარგალიტია. ბავშვი დღეს არა მარტო კითხულობს ამ ბალადას, არამედ ისმენს ცნობილი მსახიობის უმანგი ჩხეიძის მიერ წაკითხულ ჩანაწერებსაც. ამ ლექს

გააჩნია დიდი ესთეტიკური ღირებულება და იდეურობა. იგი წარმოადგენს ვაჟკაცობისა და სიმამაცის ჰიმნს. მკითხველი უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებას განიცდის, რის სიტყვიით გადმოცემა წარმოუდგენელია. ილია ჭავჭავაძის მოთხრობა “გლახის ნაამბობი”-ში განსაკუთრებით შთაბეჭდავია ის, რომ შემეცნების მხრივ ყმაწვილები, სხვა საკითხებთან ერთად, მნიშვნელოვან ყურადღებას სწავლა-განათლების აუცილებლობის საკითხს უთმობენ, რაც მწერალმა მღვდლის პირობით უქადაგა გაბრიელს და საბოლოოდ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ წიგნია ის მისანი, რომელიც შრომას, სიცოცხლეს, არსებობას უადვილებს, უღამაზებს ადამიანებს.

ადამიანის გამძლეობისა და სიმტკიცის, “ჭირსა შიგან გამაგრების” ამრი ქართველი ბავშვებისათვის უცხო არ იქნება, თუკი მათ თავისი ქვეყნის ისტორია იციან. ეს სწორედ წიგნების მეშვეობით მიიღწევა.

ჩვენს მდიდარ და მრავალქანროვან საბავშვო ლიგერატურაში თვალსაჩინო ადგილი უკავია სამეცნიერო პოპულარულ წიგნებს. მეცნიერებისა და გექნიკის საკითხებზე დაწერილმა საბავშვო წიგნებმა მკითხველს უნდა შეაყვაროს მეცნიერება. მათ მკითხველი უნდა შეიყვანონ კვლევითი მუშაობის პროცესში, თანდათან უნდა ასწავლონ ძიების მეთოდი და იმ სიძნელეების დაძლევა, რომელიც ამ საქმეში გვხვდება. ამ მხრივ საბავშვო ლიგერატურას დიდი სამსახური გაუწიეს ა. გოლსტოიმ, ე. ილინამ, ალ. ბელიაევმა, ე. ჩარუშინმა, ვ. ბიანკიმ და სხვებმა, რომელთა წიგნებიც თხრობის საუკეთესო მანერითა და მეცნიერული სიღრმით ხასიათდებიან.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ქართულ საბავშვო ლიგერატურას ეს ქანრი ჯერ სრულყოფილად არ გაუთავისებია, მაგრამ სამაგიეროდ ქართულ საბავშვო ლიგერატურას თავიდანვე დაჰყვა ბუნების მოვლენებისადმი ინტერესი. ამ მხრივ უბაძლოა ვაჟა-ფშაველა, შემდეგ ამ საშვილიშვილო საქმეს ნიკო კეცხოველი მოეწვინა. იგი ერთი იმართაგანია, ვისაც ბრწყინვალედ ეხერხება ჩაახედოს ბავშვი ბუნებაში და თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ გააგებინოს ბუნების სიდიადე და საიდუმლოებანი, გააცნოს მკითხველს საქართველოს ფლორა და ფაუნა. დიდი შენაძენია ამ მეცნიერის მიერ შექმნილი შესანიშნავი წიგნები: “მორბის არაგვი არაგვიანი”, ადამიანი და ბუნება”, “არსიანიდან მოვდივარ, მომისარია”, “თოვლიან მთებში”, “კიდევაც დაიმრღებიან”, “მეცხრე მთაც გადავიარეთ”, “მთა და ბარში”, “მკერდში დაჭრილი ბუნება” და სხვა.

საიდუმლოების ბავშვებისადმი მიტანის საქმეში აქტიურად მოღვაწეობს როსტომ ელანიძე, რომლის წიგნებში “განთიადი მთაში”, “სიცოცხლის დაბრუნება”, “ჩემი მწვანე სახლი”, “წყაროს დაბადება” და სხვა ჩვენი საბავშვო ლიგერატურის კარგი შენაძენია და კარგი გონებრივი სამრღო. ამ მხრივ ინტერესმოკლებული არ არის სერია “ჩვენი სახელოვანი თანამედროვენი”, რომელიც ბავშვებს აცნობს ქართული გეოლოგიის, მედიცინის, ლიგერატურის, ენათმეცნიერების, ხელოვნების და ისტორიის სამყაროს მოღვაწეებს. მიუხედავად ამ დიდი შენაძენისა, მაინც დასანანია, რომ სამეცნიერო პოპულარული ლიგერატურა ასე ცოცხა გვაქვს.

საბავშვო ლიგერატურის ეს დიდი და თითქმის ყოვლისმომცველი ფონდი ის დიდი ლიგერატურული მღვაა, რომლითაც ჩვენი ბავშვები ამაცობენ. მაგრამ მათი ფიქრებისათვის, მათი სურვილების, ინტერესებისა და მისწრაფებისათვის ეს მღვააც აღარაა საკმარისი, მათ დიდი ოკეანე უნდათ, როცა ყველაფერზე სწორ პასუხს იპოვიან. საბავშვო ლიგერატურის ოქროს ფონდი, რომელიც ჩვენმა მწერლებმა და მეცნიერებმა შექმნეს, უდიდესი მონაპოვარია, რომელიც მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურების დროს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბავშვებისათვის შესაბამისი ლიგერატურა მრავალფეროვანია, მაგრამ რთულია მისი გონივრული მოხმარების შესაძლებლობები. მხოლოდ სირთულე რომ იყოს დაბრკოლება, მაშინ უფრო იოლად გადაწყდებოდა საქმე. არსებობს მდარე ლიგერატურის საფრთხეც – ასეთი წიგნები არსებობენ “რობიზონ კრუმოსა” და “დიდოსტაგის...” გვერდით და მხოლოდ თავიანთი დამაინტრიგებელი სიუჟეტებით იზიდავენ ბავშვის ცნობისმოყვარეობას. ამიგომ ლიგერატურის შერჩევაში უნდა ვიხელმძღვანელოთ არა ნაწარმოების სიუჟეტის ინტერესიანობის მიხედვით, არამედ მისი ესთეტიკური ღირებულებისა და იდეურობის მიხედვით. უნდა დაფიქრდეთ იმაზეც, რომ ნაწარმოების წაკითხვა გააღვიძებს თუ არა მკითხველში კეთილშობილურ გრძნობებს, სიყვარულის, მეგობრობის, პაგრიოტიზმის, ჰუმანიზმის განცდას, თუ მხოლოდ ამბით დააინტერესებს მათ. აქაც ბიბლიოთეკარს ეკისრება დიდი როლი. მას შეუძლია დაეხმაროს ბავშვს ნაწარმოების შეფასებაში.

ყოველივე ზემოთ თქმული გვიჩვენებს, რომ ბიბლიოთეკარის ასეთი მუშაობა ხელს შეუწყობს, გვყავდეს ნაკითხი, განათლებული, წიგნიერი, საიმედო მომავალი თაობა.



ზ უ მ რ უ დ

გოდერაძის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის სამეცნიერო განყოფილების გამგე

თანამედროვეობის სამსახური, სინამდვილესთან ორგანული სისხლხორცეული კავშირი, ცხოვრებისეული მოვლენების არა მარტო ასახვა, არამედ მხატვრულად გააზრება და განცდა ყოველი ეპოქის ჭეშმარიტი ლიტერატურის დამახასიათებელი თავისებურებაა. ამის გარეშე მისი არსებობა წარმოუდგენელია. ყოველთვის თავს დასტრიალებდა ეპოქის საჭირობორთგო პრობლემებს. გარდასული ეპოქებიდან მწერლობის მხოლოდ ის ნითოღ. განყოფილება ანათებენ ძვირფასი თვლებივით, რომლებშიც მთელი მხატვრული სიახლით აისახა თანამედროვე ადამიანის სული, რადგან ლიტერატურისათვის ადამიანია ის ფოკუსი, რომელშიც თავს იყრის ცხოვრება მთელი თავისი მრავალფეროვნებით. თანამედროვეობისათვის დამახასიათებელმა ლიტერატურულმა მიმართულებამ თამამად, აქტიურად შემოაბიჯა ჩვენს ცხოვრებაში, ფართოდ გაშალა შემოქმედებითი დიაპაზონი და ჩამოიცილა რა აუვიაგებული სქემები, სრულიად ახალი სიუჟეტი შესთავაზა მკითხველს. კულუარებიდან ჩვენთან მოვიდნენ მანამდე შეუცნობელი ადამიანები და მოიგანეს ახალი მაჯისცემა, ამროვნება, პოლიტიკა.

დემურაგიაციის ამქამინდელი ვითარების დროს მწერლის უცყუარი კამერგონი რწმენაა.

“ვაი მაშინ, თუ ჩემი მრწამსი რყევას დაიწყებს, ჩემი მაჯისცემის მიხედვით”, – ამბობს დიდი შილერი. რწმენაა მწერლის საბრძოლო მახვილი. ადამიანური სრულფასოვნებისათვის რწმენის ფენომენი ისეთივე აუცილებელია, როგორც ამროვნება, მახსოვრობა.

დიდია მწერლის ძალა ხალხთან, მასასთან ურთიერთობის დროს, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ფორმირებისათვის, მისი გონებრივი სიწმინდისათვის, მოვლენების სწორი ორიენტირება

ისათვის. ახალგაზრდობას მოვლენების გარკვევის მიზნით, სწორი იდეოლოგიური უბრუნველყოფა სჭირდება, ახალგაზრდობას, რომელიც გაბედულად მონაწილეობს პოლიტიკურ მოვლენებში. აი, აქ არის მწერლის კომპეტენციური ხმა, მისი თანადგომა, ორიენტირება. წიგნის და მხოლოდ წიგნის, მისი უშუალო გავლენით მიაღწევს ახალგაზრდობა სწორი გზის არჩევანს. ეროვნული, მამულიშვილური მოღვაწეობისათვის დიდი ეპოქალური მწერლები მხოლოდ წიგნის საშუალებით აღწევდნენ მოემიდათ ახალგაზრდობა, გაეღვივებინათ მათში ეროვნული სულიცვეთება, პატრიოტიზმი, ინტერნაციონალიზმი. ლიტერატურა, მწერლის ენით ხატოვნად რომ ვთქვათ, “ადამიანთმცოდნეობას” წარმოადგენს. ეს სწორედ ის დახასიათებაა მხატვრული ლიტერატურის მრწამსისა, რასაც ის იმსახურებს თავისი მიზნობრივი დამოკიდებულებით მკითხველთან. მწერალმა თავის მისიად უნდა შეიცნოს ხალხისადმი, მისი მოქმედებისადმი სწორი დამოკიდებულება. მხოლოდ სინამდვილის პირისპირ დგომის პოზიცია მოუტანს მწერალს ჭეშმარიტ აღიარებას, მხოლოდ მას ერგება ეს პატივი, ვისაც შეუძლია მხარდამხარ მიჰყვეს ახალგაზრდობას და მისი ფიქრები გაიზიაროს, ხვალინდელი დღის, სამომავლო ცხოვრების პერსპექტივა განჭვრიტოს. მომავალმა თაობამ სწორად უნდა იცოდეს თავისი ქვეყნის ისტორია, იცნობდეს იმ ადამიანებს, რომლებმაც ეს ისტორია შექმნეს. წიგნი, რომელიც სწორი ორიენტირების საშუალებას აძლევს ახალგაზრდობას გაერკვეს სასიცოცხლო მოვლენებში, მნიშვნელოვანი ძვრების პოზიციაში, ყოველთვის იყო და იქნება ცოდნის დაუმრეგელი წყარო. სხვა საინფორმაციო და თვალსაჩინოებითი პროპაგანდა ვერ შეცვლის შემოქმედების იმ უნარს, რომელიც წიგნს გააჩნია. ამიტომ, დღეს ასე ხმამაღლა რომ ვლაპარაკობთ წიგნის შეუცვლელ როლზე, ხალხთან, ახალგაზრდობასთან მის ურთიერთკავშირზე. წიგნი და ახალგაზრდობა ერთ ცნებად, განუყოფელ ნაწილად უნდა შეიცნოს ყველა მწერალმა და სამოგალო მოღვაწემ, პედაგოგმა და ორგანიზატორ-



მა. სიყრმიდან წიგნის სიყვარულის ჩანერგვით მიაღწევს ჩვენი სამოგადოება, წესიერი და შრომისუნარიანი მომავალი თაობა გვყავდეს.

დღეს ახალგაზრდობა სწავლობს დემოკრატიას, პლურალიზმს, ცდილობს საკუთრი ხმა ჰქონდეს, საკუთარი თვალსაზრისი. ასე იწრთობოდა იგი მუდამ, ასე იღვწოდა დამოუკიდებლობისათვის, ეს თავისებურად ერის მრდას ნიშნავს, მერაბ ბერძენიშვილი ბრძანებს: “დედაარწივმა უნდა ასწავლოს მართვეს ფრენა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მართვე ძირს დაენარცხება”. სწორედ ამიგომ მართებთ მეგი სიფხიბლე და ენთუზიაზმი, მზრუნველი მეურვის როლის შესრულება პედაგოგ აღმზრდელებს, ბიბლიოთეკარებს, იმ ორგანიზაციებს, სადაც იმრდება ახალგაზრდობა, სადაც ყალიბდება მისი რწმენა, მსოფლმხედველობა, სადაც იგი ეზიარება მეცნიერებას, წიგნს. ასეთ ორგანიზაციებს კი წარმოადგენენ სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, სახალხო უნივერსიტეტები, ბიბლიოთეკები. აქ იღებს ახალგაზრდობა სულიერ საზრდოს, აქ არის მისი გონების სამჭედლო და სწორედ ამის გამო ეკისრებათ აღნიშნულ ორგანიზაციებს მეგი პასუხისმგებლობა. ამ შემთხვევაში ბიბლიოთეკების როლი ცოტას არ ნიშნავს, პირიქით, ბევრი ეკისრებათ მათ, განსაკუთრებით ახალგაზრდობის იდე-


ოლოგიის, რწმენის, სწორი ორიენტაციის ჩამოყალიბების საქმეში.

“მკითხველი თავისი ეპოქის უმაღლესი კულტურისა და განათლების დონეზე უნდა იდგეს”, – წერდა კონსტანტინე გამსახურდია. ამიგომ იოლი არ არის წარმოსადგენად ახალგაზრდობის ბიბლიოთეკების მუშაობის არსი, მისი მრავალფეროვანი, შრომატევადი საქმიანობა. ახალგაზრდა მკითხველი მრავალი წლის განმავლობაში აქ ეჭიდება მეცნიერების მწვერვალებს, აქ სწავლობს ცხოვრებას, მოვლენების გაანალიზებას, იმრდება გონივრულად, ხოლო მის ამ მრავალწლიან ფორმირებას ხელს უწყობს ბიბლიოთეკარი, რომელსაც უშურველად, გულწრფელი ენთუზიაზმით გაუმრდია მრავალი მეცნიერი, პოეტი, ინჟინერი, ექიმი, ეკონომისტი.

ამ გადასახელიდან უნდა მივაკუთვნოთ ბიბლიოთეკარს ახალგაზრდობის ჭეშმარიტი აღმზრდელის სახელი, ამ გადასახელიდან უნდა დაინახოს ყველა ბიბლიოთეკარმა თავისი თავი, თავისი მოწოდება მამულისა და ერის წინაშე, ჩვენი მომავალი თაობის წინაშე, რათა მისმა ნაღვაწმა ნერგივით იხაროს, ნაყოფი გამოიღოს, დაფასდეს და ამაღლდეს ყველას თვალში.



ბავშვთა კითხვა.



ცისანა ჟვრეთელი კის, წიგნთმცოდნეობის, ეროვნული ბიბლიოთეკის პედაგოგის, ბიბლიოთეკათმცოდნეობის ცენტრის მთავარი სპეციალისტი

ბავშვთა კითხვა პოლისგრაფიკურული და მრავალთემატური პრობლემაა, რომელიც მეცნიერების მრავალი დარგის – სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, ფიზიოლოგიის, ჰიგიენის, ლიტერატურათმცოდნეობის, ლინგვისტიკის, წიგნთმცოდნეობის, ეროვნული ბიბლიოთეკის პედაგოგის, ბიბლიოთეკათმცოდნეობის ცენტრის მთავარი სპეციალისტი კათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიის და სხვა მეცნიერებათა მიერ შეისწავ-

ლება. თანამედროვე სამოგადოების სოციოკულტურულმა მდგომარეობამ, მოზარდთა და ბავშვთა აღზრდის სფეროში წამოჭრილმა ურთულესმა ამოცანებმა თუ პრობლემებმა გავლენა მოახდინა მოზარდი თაობის აღზრდის მთელ სისტემაზე, რომელშიც კითხვაც მოიაზრება. ბავშვთა თუ მოზარდთა კითხვის, უფრო მუსკად არაკითხვის პრობლემის გადაჭრა ბავშვთა და მოზარდთა ინტელექტუალური და კულტურული განვითარების, აღზრდის წარმატებით განსორციელების პირობაა.

ბავშვთა და მოზარდთა კითხვისადმი საერთაშორისო ყურადღება დასტურდება იმით, რომ ბავშვთა კითხვა, როგორც მეცნიერული

კვლევის, შესწავლის საგანი, აღიარებულია საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მეცნიერების კვლევის სფეროში. ავსტრიაში შექმნილია ბავშვთა და მოზარდთა მიერ ლიგერაგურის კითხვის წიგნის კლუბი. კვლევის მასალები გაშუქებულია გერმანულ და ინგლისურ ენაზე ჟურნალებში “Jugend und Buch” და “Bookbird”. 1966 წელს ციურიხში დაარსდა ბავშვთა და მოზარდთა წიგნის შევიცარიის ინსტიტუტი. მოზარდთა კითხვის პრობლემებით დაინტერესებულია კითხვის საერთაშორისო ასოციაცია. ამ პრობლემას სწავლობს გერმანიის საბავშვო ლიგერაგურის სახელმწიფო ცენტრი, ბერლინის საბიბლიოთეკო საქმის ცენტრალური ინსტიტუტი, გერმანიის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემია, ბერლინის გერმანული ლიგერაგურის სახელმწიფო ბიბლიოთეკის ბავშვთა და მოზარდთა განყოფილება, ინტერნეტში მოიპოვება ბავშვთა და მოზარდთა კითხვის პრობლემების შემსწავლელი სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაციით.


1989 წელს გაეროს ექსპერტთა მიერ მიღებული დოკუმენტი “ბავშვთა უფლებების კონვენცია” შეფასდა როგორც საერთაშორისო სტანდარტი. დოკუმენტზე მუშაობა დაიწყო (1978) ბავშვის საერთაშორისო წელს და ათი წლის განმავლობაში იხვეწებოდა. დოკუმენტში დაფიქსირებულია ბავშვთა უფლებები ნებისმიერ სფეროსა თუ საკითხზე საკუთარი ამრის გამოთქმის, ინფორმაციის მისაწვდომობის უზრუნველყოფის, მშობლების, ბიბლიოთეკარების მოვალეობის თვალსაზრისით.

ბიბლიოთეკების როლი ბავშვთა კითხვაში მნიშვნელოვანია, რაზეც მიუთითებს 1990-2000 წ.წ. პროგრამები. მოგაწვდით პროგრამების ქრონოლოგიურ ისტორიას: 1) 1990წ. - IFLA-ს პროგრამა: “ბიბლიოთეკების როლი უწყვეტი განათლების მხარდასაჭერად”, IFLA-ს 56-ე სესია “ბიბლიოთეკები და განათლება”, “ბიბლიოთეკები – ინფორმაცია ცოდნისათვის “. 2) 1990წ. სენეგალი (დაკარი) – “კითხვის განვითარებაზე მემოქმედება”. 3) 1993წ. IFLA-ს სესია – “სახელმძღვანელო საჯარო ბიბლიოთეკებისათვის კითხვის ასპექტების გაშუქების თვალსაზრისით. 4) 1995წ. IFLA-ს 61-ე გენერალური კონფერენცია სტამბულში, სექცია “მრგვალი მაგიდა” მიეძღვნა განათლებას და სამეცნიერო კვლევებს. (<http://www.ifla.org>), სექტორის მუშაობის ძირითადი მიმართულებები, საქმიანობის სფერო მიმდინარეობს ბავშვის განვითარებაში ბიბლიოთეკის, კითხვის როლის, მნიშვნელობის, ბიბლიოთეკების მიერ სასწავლო ღონისძიებების ორგანიზების და ბავშვთა და მოზარდთა კითხვის პროცესში მიზანმიმართულად ჩართვისათვის. 5) 1997-1999წ.წ. IFLA-ს 63-65 სესია (ბანგკოკი) – “ბიბლიოთეკები, როგორც განათლებული სამყაროს კარიბჭე” 6) 2001წ. ბოსტონი (აშშ) – “ბიბლიოთეკები და ბიბლიოთეკარები, მათი მნიშვნელობა ცოდნის სამყაროში”. 7) 2003წ. ბერლინი (გერმანია). 8) 2004წ. ბუენოს-აირესი (არგენტინა). 9) 2006წ. სეული (კორეა).

ბავშვთა და მოზარდთა კითხვა, როგორც პრობლემა ბიბლიოთეკასთან, ბავშვებთან მიმართებაში საჭიროებს ცნებების განსაზღვრა-განმარტებას – ბავშვთა კითხვა, კითხვის ხელმძღვანელობა, ბავშვის ფსიქოლოგიური ტიპი კითხვის ასპექტით...

ბავშვთა კითხვა გარესამყაროს აღქმისათვის ბავშვის სპეციფიკური საქმიანობაა, რომელსაც მკვლევარები შეისწავლიან ორი ძირითადი მიმართულებით – ა) ლიგერაგურათმცოდნეობის და ბ) ფსიქოლოგიკო-პედაგოგიური. რადგან კითხვა სხვადასხვა სამეცნიერო დარგების შესწავლის ობიექტია, ლოგიკური იქნება, კითხვის ხელმძღვანელობა განვიხილოთ როგორც სისტემატური, მიზანმიმართული მემოქმედების პროცესი, როგორც კითხვის შინაარსზე, ასევე ლიგერაგურის არჩევასა და წაკითხულის ათვისებაზე. კითხვის პროცესში ბავშვის ფსიქოლოგიური ტიპის განსაზღვრისათვის კი ფიქსირდება ორი მიდგომა ასაკობრივ-ფსიქოლოგიური და ფსიქოლოგიური.

ბავშვთა კითხვის კვლევის სფეროში ასაკობრივი პერიოდიზაციისადმი დამოკიდებულების ერთიანი სისტემის არარსებობის გამო კვლევები სუბიექტური მოსაზრებიდან გამომდინარეობს. ალბათ სასურველი იქნებოდა იმ წინამძღვრების შესწავლა, რომლებიც ასაკობრივ თავისებურებებს განაპირობებს. თანამედროვე ლიგერაგურაში – როგორც გრადიციულ საბიბლიოთეკო დარგის, ასევე ელექტრონულ წყაროებში ასაკობრივი პერიოდიზაციის შესახებ განსხვავებული მოსაზრებებია გაშუქებული... წლინახევრის, სამი, და ხუთი წლის ბავშვები წარმოადგენილნი არიან ბიბლიოთეკის მკითხველებად. (...Библиотековедение.-2001.-№4.-გვ.64-69.) ჩვენი ამრით, ცნებები “ბავშვთა კითხვა” და



“მკითხველი ბავშვი” კატეგორიულად უნდა გაი-
მიჯნოს. კამათი საკითხზე, თუ რომელი ასაკი-
დან ჩაითვლება ბავშვი ბიბლიოთეკის მკითხვე-
ლად, ნონსენსია. ცნება “ბავშვთა კითხვა” დღე-
ვანდელ პერიოდში ყველაზე დასაბუთებულად
გვესახება, რადგან კითხვა ყოველდღიური შე-
მეცნებითი პროცესია, შემეცნება კი ინდივიდუა-
ლურია. ჩვენი ამრით, მნიშვნელობა არა აქვს, თუ
ვინ უკითხავს ბავშვს, მოზარდს. მთავარია წა-
კითხულის აღქმა, გექსტის ანალიზი და დახსოვ-
ების პროცესი, მშობლის, პედაგოგის თუ ბიბლიო-
თეკარის მიერ წაკითხულისა თუ მოსმენილის
შესახებ მსჯელობა. ე.ი. პრიორიტეტული დატ-
ვირთვა ენიჭება იმას, თუ რას იგებს მოზარდი წა-
კითხულიდან თუ მოსმენილიდან. ამგვარ მსჯე-
ლობას მივყავართ ცნების “წიგნის მკითხვე-
ლი” ახლებურ გაგებაში: “წიგნის შემეცნებე-
ლი”. ჩვენი ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტ-
ყველეს ა) კითხვა ოჯახში, სადაც კითხვის პრო-
ცესი სინთეზში განიხილება. ბ) 12-14 წწ ასაკის მო-
ზარდისთვის დამახასიათებელი ”პასიური კით-
ხვა”, როცა კითხვა განიხილება გართობად და
არა როგორც წიგნზე მუშაობის პროცესად. გ) ამ-
გვარ მოსაზრებას ადასტურებს “პრესტიჟული
კითხვის” ფენომენიც.

აღამიანის ფიზიკურ, ფსიქო-ემოციურ და
ინტელექტუალურ განვითარებას და შესაბამისად,
ასაკობრივ დიფერენციაციას ზოგი მკვლევარი
ანგინაგალური პერიოდიდან მოიპოვებს. ისიც
ცნობილია, რომ გონებრივ აქსელერაციას განა-
პირობებს სხვადასხვა ფაქტორები, რომლებიც
მეცნიერების სხვადასხვა დარგის მიერ თეორი-
ების სახითაა ჩამოყალიბებული, და ვფიქრობთ,
გასათვალისწინებელია ასაკობრივი პერიოდიზა-
ციის დადგენისას (ჰელიოგენური თეორია, ურ-
ბანიზაციის, ჰეტერომისის, დასხივების, ნუკლიტუ-
ლი ანუ კვების, სოციალურ-ეკონომიური და ა.შ.).
აქედან გამომდინარე, აქსელერაციის პროცესი
გასათვალისწინებელია როგორც სასკოლო
პროგრამების, ისე ბავშვთა და მოზარდთა შრო-
მითი აღზრდის და, მით უმეტეს, კითხვის დრო-
საც. ბავშვთა გონებრივ და ფიზიკურ განვითარე-
ბაზე გავლენას ახდენს ეკოლოგიური, ენდოგენ-
ური, სოციალურ-ეკონომიური ფაქტორები. მე-
დიცინის, ფიზიოლოგიის, პედაგოგიკის და ბიბლიო-
თეკათმცოდნეობის დარგში ბავშვთა და მო-
ზარდთა ასაკობრივი პერიოდიზაციის შესახებ
შეჯერებულია მონაცემები, რომლებიც ერთმა-

ნეთისაგან განსხვავებულია, იგნორირებულია
ერთიანი მიდგომა. ეს გასაგებიცაა, რადგან აღა-
მიანის განვითარების, ამ ერთიანი პროცესის ასა-
კობრივი პრინციპით დაყოფა, რაიმე ნიშნის მი-
ხედვით მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოებში მო-
თავსება რთულია. პრობლემის გადაჭრაში დაგ-
ვეხმარა თანამედროვე ელექტრონულ წყარო-
ებში მოპოვებული ინფორმაცია ასაკობრივი დე-
კომპოზიციის შესახებ, სადაც ამ ცნების არსი მო-
იაზრება როგორც ერთი მთლიანის დაყოფა ასა-
კობრივი დიფერენციაციის პრინციპით შემადგე-
ნელ ნაწილებად ერთიდან თვრამეტი წლის ჩათ-
ვლით ყველა ასაკობრივი პერიოდის გათვალის-
წინებით. პრობლემაში გარკვევისათვის მოვი-
პოვეთ გრადიციული ლიგერატურაც.

ბავშვთა კითხვა ისეთი დამოუკიდებელი
სამეცნიერო დარგების შესწავლის საგანია, რო-
გორცაა კითხვის ფსიქოლოგია, კითხვის აკმე-
ოლოგია, ბიბლიოფსიქოლოგია და დამოუკიდე-
ბელი კურსები- კითხვა ოჯახში, საბიბლიოთეკო
ურთიერთობები, ეპისტემოლოგია. რეგროსპექ-
ტული და უახლესი საბიბლიოთეკო, ფსიქოლოგი-
ური, პედაგოგიური, სამედიცინო, ფიზიოლოგი-
ური და სხვა სამეცნიერო შრომებში მოძიებული
ინფორმაციების ანალიზის საფუძველზე დავას-
კვინით, რომ საბავშვო და ახალგაზრდულ ბიბ-
ლიოთეკებს არა აქვთ დამუშავებული და გაამ-
რებული ბავშვთა კითხვის პრობლემის კვლევის
პროფესიული კონცეფცია, მისი რეალიზაციის
გზები. ოჯახში კითხვის საკითხის განხილვისას
ინფორმაციის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მასწავ-
ლებელი-მოსწავლე-ბიბლიოთეკარი-განსაზ-
ღვრული მოდელია ამ მიმართულებით სამუშაო-
ს უზრუნველსაყოფად. მშობლის როლი ამ გრი-
ადაში იგნორირებულია, თუმცა ოჯახური კით-
ხვის შესახებ მეთოდისტი ბიბლიოთეკარები მა-
ინც მსჯელობენ. ალბათ სასურველი იქნება, კომ-
პლექსურად შეისწავლებოდეს გეგრადა ბავშვი-
მშობელი- მასწავლებელი- ბიბლიოთეკარი, მით
უმეტეს, რომ “მკითხველი გაახალგაზრდავდა”
და წლინახევრის, სამი, და ხუთი წლის ბავშვი ბიბ-
ლიოთეკაში ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმება.
გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ
მშობლის მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია
მკითხველური ურთიერთობის ჩამოყალიბება
როგორც ბიბლიოთეკარების, ასევე პედაგოგე-
ბის საქმიანობის ასპექტში. გეგრადა ბავშვი-მშო-
ბელი-პედაგოგი-ბიბლიოთეკარი, მათი მკითხვე-

ლურ-საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული ურთიერთობები ბავშვთა კითხვის პრობლემების განხილვისას არ არის სინთეზურად შესწავლილი, ამასთან, არაა გამოკვეთილი ბავშვთა კითხვაში სკოლის ბიბლიოთეკარის კომპლექსური ფუნქციები, თუ არ ჩავთვლით მიკვლეულ ერთადერთ ოთხ წლიან საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც ეკოლოგიის სფეროში მოღვაწე ბიბლიოთეკარებისთვისაა შექმნილი. საკითხი სინთეზურადაა ასახული და პროექტი ინფორმირებაში ეხმარება სკოლის მასწავლებლებს, მოსწავლეებს, მათ მშობლებს. გეგრადის-ბავშვი-მშობელი-პედაგოგი-ბიბლიოთეკარი საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული უზრუნველყოფის მიზნით გრადიციული საბიბლიოთეკო კატალოგების და ელექტრონული ინფორმაციის დამუშავებისას აღმოჩნდა, რომ ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის არ მოიპოვება ჩამოყალიბებული სინთეზური საკონსულტაციო მითითება.

საქართველოში დღეისათვის ბავშვთა სამი კატეგორია შეიძლება განვასხვაოთ: 1) სრულიად დაუცველი (მაწანწალა), 2) სოციალურად დაცული, 3) ინვალიდი ბავშვები, და საკითხიც კითხვასთან და ბიბლიოთეკასთან მიმართებაში ამ ჭრილში უნდა განიხილებოდეს.

არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ ისეთ პრიორიტეტულ პროექტებს, როგორცაა ბავშვთა და მოზარდთა უფლებების სწავლება, თავისუფალი დროს გამოყენება, გართობის ორგანიზება, საგანმანათლებლო პროექტების, საბიბლიოთეკო ქსელის შექმნა, მოსწავლეთა ინფორმირება სოციალური პრობლემების შესახებ, ენდოკრინული, ნევროლოგიური, ინფექციური დაავადებების მქონე ბავშვების მკურნალობა, მედიცინის მუშაკების უზრუნველყოფა ახალი ლიგურაგურით, ეკლესია და სასკოლო განათლება. განსაკუთრებით საგულისხმოა სპეციალური პედაგოგიკის: სურდო-პედაგოგიკის (ყრუ-მუნჯთა აღზრდა, განათლება და სწავლების კანონზომიერებები), გიფლოპედაგოგიკის (უსინათლოთა აღზრდა-განათლება), ოლიგოფრენოპედაგოგიკის (გონებრივად ჩამორჩენილთა აღზრდა), ლოგოპედია (მეცხველების ნაკლოვანებათა მიზეზების კვლევა)... ამ კატეგორიის ბავშვთა კითხვა მეტად ფაქიზი განსჯის საგანია და მშობლების, პედაგოგების, ბიბლიოთეკარების როლი ბავშვთა ამ კატეგორიის კითხვის და აღზრდის პრობლემების დაძლევაში

პრიორიტეტულია. სასურველი იქნებოდა განხორციელებულიყო პროექტი “ბავშვი და წიგნი”, რომელიც შეისწავლიდა ობოლი, ინტელექტუალური თარებელი ბავშვების ფსიქოლოგიურ თანვისებურებებს. პროექტის “ბავშვი და ეკოლოგია” მიზანი იქნებოდა ბუნების დაცვის მიმართებით ცოდნის გაღრმავება, დამუშავდებოდა თემები: “მწვანე ტყეები და ტყის სასწაულები”. “ვინ ცხოვრობს ცივ მღვებში”, “სტუმრად მწერებთან” ...

ბავშვი-მასწავლებელი-ბიბლიოთეკარი-მშობელი(ოჯახი)-ამ სქემის კომპლექსური საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული უზრუნველყოფისთვის მოდელის შექმნა დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული, გასათვალისწინებელია როგორც გრადიციული, ისე არაგრადიციული საბიბლიოთეკო ღონისძიებები, გეგრადის მეტად რთული ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ-კომუნიკაციური პრობლემების შესწავლის მიზნით, სასურველია ურთიერთშემავსებელი ღონისძიებების განხორციელება. პრობლემების ფართო სპექტრში ბიბლიოთეკები, სკოლები, ოჯახი, მუზეუმები ახორციელებენ რა სხვადასხვა აღმზრდელი ფუნქციებს მოზარდის სულიერი მრდის პირობების შესაქმნელად, თვითგანათლებისა და თვითაღზრდისათვის, ბუნებრივია, რომ ყოველივე ეს ბავშვის, მოზარდის, მოტივირებული ქცევის და დიდი სურვილის გარეშე ვერ მიიღწევა, რაც ამ სქემაში ბავშვის როლს გულისხმობს. სკოლებს, მუზეუმებს, ბიბლიოთეკებს, ოჯახებს... შორის თანამშრომლობა რომ ნაყოფიერი იყოს, სასურველია მშობლებმა, ბავშვებმა, პედაგოგებმა, ბიბლიოთეკარებმა რაც შეიძლება მეტი იცოდნენ ქალაქის, სოფლის ... მუზეუმების, ბიბლიოთეკების საინფორმაციო შესაძლებლობების თუ ახალი ექსპოზიციების შესახებ. მუზეუმის თანამშრომლები და სკოლის პედაგოგები პრემენგაციამე ერთობლივად გადაწყვეტენ. თუ როგორ შეიძლება ახალი მასალის გამოყენება მოსწავლისათვის, რაც სკოლას, ბიბლიოთეკას და მუზეუმს შორის განამკვიცებს საინფორმაციო კავშირს. ამ დაწესებულებების წიგნადი ფონდის შეჯერება-ანალიზირება კი ახალი ინფორმაციის მოძიების წინამძღვრებს შექმნის. 2000 წელს ევროპის საბჭოს მიერ ორგანიზებული იყო სემინარი დაგროვილი გამოცდილების გაზიარების მიზნით პოლიკულტურულ სამოგალოებაში ეკოლოგიის, ისტორიის, მხარეთმცოდნეობის სწავლებისთვის. საინტერესოა პედაგოგთა სემინარი თემაზე: “მუზეუმი,

როგორც წყარო ეკოლოგიის, ისტორიის, მხარეთმცოდნეობის სწავლებაში” (1997წ. შევცია). მუზეუმი საშუალებას იძლევა ახლებურად მივუდგეთ ეკოლოგიის, ისტორიის შესწავლას. მუზეუმს უნარი აქვს მოზარდს განუვითაროს ცნობისმოყვარეობა და სწრაფვა ცოდნის შეძენისაკენ, ხელი შეუწყოს შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. სასწავლო პროცესში მუზეუმის ინტეგრაცია გულისხმობს მუზეუმის ექსკურსიამბლოლის, პედაგოგის, სკოლის ბიბლიოთეკარის მონაწილეობას. 1997წ. სტრასბურგში სემინარზე განიხილეს მუზეუმებისა და სკოლის როლი მოზარდების განათლების სფეროში. თუმცა ბიბლიოთეკების როლის შესახებ არაფერი თქმულა. მოზარდის საინფორმაციო კულტურის აღზრდისათვის მუზეუმების ფუნქციური როლი სასურველია გამოვლინდეს: მოზარდებში წარსულისადმი, ისტორიისადმი ინტერესის გაღვიძებაში აგრეთვე პედაგოგების მიერ მუზეუმების შესაძლებლობების გაცნობაში, მოზარდებისთვის მოვლენის არსში ჩაწვდომის უნარის განვითარებაში.

მხარეთმცოდნეობით საქმიანობაში ბიბლიოთეკების კონტაქტები სკოლებთან სასურველია განხორციელდეს მხარეთმცოდნეობის კლუბების შექმნით, რაც მოზარდში გამოიწვევს საკუთარი კუთხის წარსულისადმი ინტერესს. კლუბებში ბავშვები შექმნიან საკუთარი სკოლის მატრიანეს, აღწერენ დღესასწაულებს, გრადიციებს, დაწერენ თხზულებას მათი მხარის გამოჩენილი ადამიანების შესახებ, შეადგენენ უძველესი სიგყვების მოკლე ლექსიკონს. მოზარდთა დაინტერესება შესაძლებელია ნებისმიერი საგნისა თუ მეცნიერების-ეკოლოგიის, ბიოლოგიის, მოლოლოგიის, ბოტანიკის, ქიმიის, აგრონომიული მეცნიერებების, მეთევზეობის, მეცენარეობის და სხვა მიერ. სასურველი იქნება, ინფორმირებისას გამოყენებული იყოს თანამედროვე ელექტრონულ წყაროებში არსებული მასალები. ამ თვალსაზრისით, მეტად ეფექტურია ინფორმაციები ბუნებისმცოდნეობასა და ეკოლოგიაში. უწყვეტი ეკოგანათლების, ეკოლოგიური კულტურის აღზრდისათვის სასურველია განხორციელდეს შემდეგი: ა) მოზარდთა ესთეტიკური აღზრდა სინთეზურად-მუსიკალური ნაწარმოებებით, მხატვართა პეიზაჟებით, პოეტური შემოქმედებით. ბ) შედგეს მიზნობრივი პროგრამა რომლებიც გარემოსთან ურთიერთობისას დაეხმარება ბავ-

შვებს პასუხისმგებლობის შეგრძნებაში. პროგრამა გათვალისწინებული უნდა იყოს მოსწავლეებზე, აღმზრდელებზე (მშობლებზე), ბიბლიოთეკარებზე. ინფორმირებისას გამოყენებული იქნება პერიოდიკის აქტუალური სტატიები განხილვებით, ეკოლოგიურ თემებზე, ლიტერატურულ ვიდეოსალონებში ვიდეოფილმების ჩვენებით. წიგნთან თვალსაჩინო ინფორმაციის შერწყმა ეკოლოგიური თემის ათვისების დიდ შესაძლებლობას იძლევა, ბიბლიოთეკებში შეიძლება ჩატარდეს თემატური საღამოები-“ბუნება მხატვრების შემოქმედებაში”, “სამკურნალო მცენარეები”, “რა ვიცით ყვავილების შესახებ”, “ყველაფერი ეკოლოგიის შესახებ”, “ შენი სოფლის ფლორა, ფაუნა”... საინტერესო იქნებოდა ბავშვთა ეკოლოგიური თეატრის შექმნა ვაჟა-ფშაველას... ნაწარმოებების მიხედვით. მოსწავლეები შეისწავლიან საკუთარი სკოლის ეკოლოგიურ მდგომარეობას, მოსწავლეების, მშობლების, პედაგოგების, ბიბლიოთეკარების ერთობლივი ძალისხმევით” ეკოლოგიური სასამართლოს” სხდომების ინსცენირების ორგანიზაცია რაც საშუალებას მოგვცემს მოსწავლეთა ეკოლოგო-სოციალურ ფსიქოლოგიური პორტრეტი შევადგინოთ. აღზრდისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფლორისა და ფაუნისადმი, ცოცხალი თუ არაცოცხალი ბუნებისადმი მშობლის, პედაგოგის, ბიბლიოთეკარის პირად მაგალითს, რასაც მოზარდზე მემოქმედების უდიდესი ძალა აქვს.

საბიბლიოთეკო მკითხველთმცოდნეობაში ბოლო პერიოდში დამკვიდრდა მეცნიერების სხვადასხვა დარგების (ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ეკოლოგია, ფიზიოლოგია, ბიოლოგია) გერმინოლოგიის გამოყენება. საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტებისათვის სასურველია შემდეგი გერმინების განმარტება: ასაკობრივი დეკომპოზიცია, კოგნიტიური ფსიქოლოგია და ეპისტემოლოგია, კითხვის აკემოლოგია, საბიბლიოთეკო აუტენტიკაცია და აუტენტიფიკაცია, ბიბლიოთეკების კორპორაციული საქმიანობა... ეს ცნებები დამკვიდრებულია როგორც გრადიციულ ისე ელექტრონულ წყაროებშიც და მათ შინაარსში გარკვევის გარეშე შეუძლებელია ბავშვთა კითხვის პრობლემებზე ლაპარაკი, ვინაიდან ამ ცნებებითაა წარმოდგენილი თუ ასახული ბიბლიოთეკების ფუნქციები, მათი საქმიანობის კონცეპტუალური არსი.

მოზარდთა და ბავშვთა კითხვაში მიღე-

ბული ინფორმაციის შემეცნებისა და გამოყენების თვალსაზრისით, ბიბლიოთეკარის, მშობლის და პედაგოგის საფუძვლიანად გააზრებული სამუშაო წიგნთან, ინფორმაციასთან თუ საერთოდ განათლებასთან მიმართებაში დამოკიდებულია ბიბლიოთეკების საქმიანობაში კომპიუტერმატივის პროცესთან და ინფორმაციის გადაცემისას ქსელში ბიბლიოთეკების კორპორაციულ სამუშაოსთან, რაც გულისხმობს ბიბლიოთეკის პროფესიულ, საინფორმაციო და კულტურულ ფუნქციებს. სამეცნიერო მიმართულება-კითხვის აკმეოლოგია ადამიანისადმი, კითხვისადმი, შემეცნებისადმი ინტეგრაციულ მიდგომას გულისხმობს და მოიცავს ფსიქოლოგიურ, ფიზიოლოგიურ, ინტელექტუალურ, ესთეტიკურ, ეპისტემოლოგიურ ასპექტებს. საბიბლიოთეკო ფსიქოლოგიის ამოცანები ფსიქოლოგების მიერ ბავშვთა კითხვის პრობლემების კვლევისას სასურველია შეისწავლებოდეს მშობლის, ბიბლიოთეკარის, პედაგოგის, მოზარდის ინტერესები და მოთხოვნები ინფორმაციისადმი, წიგნისადმი. კითხვის ფსიქოლოგიის სპეციალისტების საზრუნავია ბავშვებში და მოზარდებში ლიტერატურის დამოუკიდებლად ამორჩევის ჩვევების ჩამოყალიბება, მათ მიერ საბიბლიოთეკო-საძიებო აპარატის ცოდნის დაუფლება და საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული კულტურის ამაღლება. მნიშვნელოვანია ფსიქოლოგის როლი კომპიუნიკაციური ფუნქციის შესრულებისას. ელექტრონულ რესურსებში ძიების დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს 1996-1998წ.წ. შექმნილი ევროპული ვირტუალური საბავშვო ბიბლიოთეკა. სხვადასხვა ვებ-გვერდებზე და კოლექციებში მოზარდები ეძებენ საინტერესო ინფორმაციას ლიტერატურის, მუსიკის, სპორტის, ეკოლოგიის, მხარეთმცოდნეობის, ქიმიის, ბიოლოგიის დარგებში. ვირტუალური ელექტრონული რესურსების გამოყენების მიზნით შექმნილია საინფორმაციო ჩვევების სწავლების პროგრამები, რაც განამტკიცებს თანამშრომლობას მოსწავლესა, ბიბლიოთეკარსა და პედაგოგს შორის. ფსიქოლოგი ბიბლიოთეკაში მშობლებს, პედაგოგებს ესმარება წიგნთან, ბიბლიოთეკასთან ურთიერთობაში, კითხვის ჩვევის გამოუმუშავებაში, რაც ბუნებრივი გზით ინტერესის გამოწვევითაა შესაძლებელი. სხვადასხვა ასაკის ბავშვების მიზრება ამა თუ იმ საკითხისადმი გასართობი სიუჟეტით პაგარა ადამიანი ნაბიჯ-ნაბიჯ სწავლობს წიგნთან, ლექსიკონთან, კატალოგთან მუშაობას,

წყაროებში მიზანმიმართულად ეძებს პასუხს მისთვის საინტერესო თუ საპრობლემო კითხვებზე. ბავშვთა კითხვის ფსიქოლოგიის მკვლევართანამედროვე ეტაპზე გექსტის ამრობრივი ანალიზის გექნოლოგიური პროცესის კვლევით მშობლებს, პედაგოგებს, ბიბლიოთეკარებს ესმარება ბავშვთან ურთიერთობის ორგანიზებაში და გადაჭრის “ოჯახში კითხვის” პრობლემებს. ოჯახში ბავშვთა კითხვის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს ელექტრონულ წყაროებში უშუალოდ მშობლებისათვის საოჯახო კითხვის ვებ-გვერდის მრავლად არსებობა. ბავშვთა კითხვის კულტურასა და აღზრდაში ფსიქოლოგის როლის შესახებ საინტერესო სამეცნიერო სტატიები იბეჭდება ჟურნალებში: “ფსიქოლოგიის სამყაროში” (<http://wwwpsychology.net.ru>) ფსიქოლოგიური ლექსიკონი აკმაყოფილებს ამ სფეროში საინფორმაციო ინტერესს. ამავე საიტზე შესაძლებელია უახლესი გამოცემების შესახებ ინფორმაციის მიღება, სკოლის ბიბლიოთეკის ფსიქოლოგის როლი სხვადასხვა ასაკის ბავშვის ამროვნების სხვაობის დადგენის მიზნით, დაწყებითი კლასის მოსწავლეების, საბავშვო ბაღის აღზარდულების ამროვნების დიაგნოსტიკის მეთოდიკები, პრაქტიკული ფსიქოლოგიის დარგის სპეციალისტებისათვის “თვითმეფასების დიაგნოსტიკის მეთოდიკა”


ინვალიდი ბავშვების რეაბილიტაციისთვის, მათი კითხვის ფსიქოლოგიური ასპექტების შესწავლის ფესვები მე-16 საუკუნიდან იღებს სათავეს ფსიქოლოგი პლატერი იკვლევდა ინვალიდი ბავშვების ფსიქოლოგიურ თავისებურებებს სწავლისა და აღზრდის პროცესის განხორციელებისას. ინტერნეტის ერთერთ საიტზე მოცემულია სპეციალური განათლების რეფორმების კონცეფციების შესახებ ინფორმაცია, ფსიქოსომატური დარღვევის მქონე ბავშვების ასაკობრივი დიფერენციაცია...

ბავშვების საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიულ არცოდნას ემატება კომპიუტერულიც. ფსიქოლოგიის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების კვლევის სფეროს ამოცანაა ასწავლოს მოზარდს ინფორმაციის მოპოვება, მისი ხარისხის შეფასება ინდივიდუალური სწავლის, დამოუკიდებელი კვლევითი ჩვევების, ღინამიური ამროვნების განვითარების, მეხსიერების გრენინგების, ყურადღების მდგრადობის განვითარების, ბიბლიოგრაფიული თვითმომსახურების, კითხვის კულტურის აღზრდის გზით. მრავალფეროვანია

წიგნადი ფონდი, მრავალფეროვანია მოზარდთა და ბავშვთა გემოვნებას. ბავშვები და მოზარდები ეძებენ მათთვის საინტერესო, საჭირო წიგნებს, ანუ “საკუთარ წიგნს”. მშობლის, პედაგოგის, ბიბლიოთეკარის როლია ბავშვებს დაეხმარონ საინფორმაციო ძიების უკეთ წარმართვაში. ბავშვთა კითხვის ხელმძღვანელობა, მათი კითხვაში ჩაბმა ლიტერატურის პროპაგანდასაც გულისხმობს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის ცალკეული პიროვნული ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებას, ინფორმირებისას ეფექტური, ურთიერთშემავსებელი ფორმებისა და მეთოდების კომპლექსში გამოყენებას და პერმანენტულად განახლებას. დიდი მნიშვნელობა აქვს ბიბლიოთეკარის, მშობლის, პედაგოგის და მოზარდის ურთიერთობებს: 1) ინდივიდუალურ საუბრებში გასათვალისწინებელია მოზარდის ინტერესები. მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსების მეშვეობით შესაძლებელია გავლენის მოხდენა კითხვის შინაარსზე, ახალი ინტერესების წარმოქმნასა და ფორმირებაზე. ძიების საინტერესო პროცესში ჩაბმული მოზარდი ეხება რა თითოეულ საკატალოგო ბარათს, თუ საკუთარი ძალებით მოიძიებს მისთვის საინტერესო ვებ-გვერდს ერთვება შემოქმედებით პროცესში. 2) მშობლის, ბიბლიოთეკარის, პედაგოგის მიერ შეთავაზებული თემით, შესასწავლი პრობლემით თუ წიგნით მოზარდისაგან მიღებულ რეაქციაზე დამოკიდებულებით გრიადა აკეთებს დასკვნებს შემდგომი ინდივიდუალური მუშაობისათვის ბავშვთა და მოზარდთა კითხვაში ჩასაბმელად მათი ინტერესების გათვალისწინებით. 3) ბავშვების და მოზარდების დაინტერესება შესაძლებელია გამოფენების ორგანიზებით საუბრების თანხლებით და სიახლეების მიმოხილვით. წიგნადი ილუსტრირებული, აუდიოვიზუალური მასალების გამოყენებაც დაინტერესებს მოზარდის ცნობისმოყვარეობას. 4) პრესკონფერენციების ჩატარებაში თვით მოზარდთა მონაწილეობა ხელს შეუწყობს ნებისმიერი პრობლემისადმი ინტერესის გაღრმავებას. ამგვარი ღონისძიებების ჩატარება მოითხოვს ხანგრძლივ გეგმამომიერ მომზადებას, პერიოდული გამოცემების ფართოდ გამოყენებას. მზადებისას ბიბლიოთეკაში, სკოლაში იქმნება “პრეს-ცენტრი”, რომელიც საშუალებას გვაძლევს დიდი ეფექტიანობით შევისწავლოთ ბავშვთა და მოზარდთა ინტერესები... საინტერესო პრობლემით მოზარ-

დის დაინტერესება მათ კითხვაში ჩაბმას შეუწყობს ხელს. კითხვის ფსიქოლოგიაზე საუბრისას აუცილებლად გასათვალისწინებელია როგორც მოსწავლეთა ასევე მშობლების, პედაგოგების, ბიბლიოთეკარების საინფორმაციო კულტურა, მით უმეტეს, რომ დამკვიდრდა გამოთქმა “აღამიანები სწავლობენ სწავლას”. ამ მიზნით მოსწავლეთა, მშობლების, პედაგოგების, ბიბლიოთეკარების საინფორმაციო კულტურის განვითარებისათვის დამუშავებულია მთელი რიგი პროგრამები, რომლებიც მოსწავლეებს ეხმარება საინფორმაციო მოთხოვნილებების ფორმულირებაში, ინფორმაციის ეფექტურად მოძიებასა, შეფასებასა და გამოყენებაში.

ბავშვთა კითხვა სამაფხულო არდადეგების პერიოდში (კითხვა მაფხულში ან “სამაფხულო კითხვა”) მრავალ ასპექტში შეიძლება იყოს განხილული. ცნობილია, რომ ბავშვთა კითხვა მოიცავს ფსიქოლოგიურ, ინტელექტუალურ, კულტურულ და ა.შ. განვითარების ელემენტებს, ბავშვის ყურადღების, მეხსიერების, ლოგიკური ამროვნების, ქცევის კულტურის ფორმირებას. ეს პროცესი პერმანენტულად მიმდინარეობს და ბუნებრივია, სამაფხულო, სასკოლო არდადეგების დროს სასურველია არ შეწყდეს. მაფხულის პერიოდში მოზარდები მოწყვეტილები არიან სკოლას, საბავშვო დაწესებულებებს და ამდენად სწავლა და კითხვა “სამაფხულო კითხვის” ფორმას იძენს. დიდია მშობლების, ოჯახის როლი, აქედან გამომდინარე “კითხვა მაფხულში” და “კითხვა ოჯახში” სასკოლო არდადეგების დროს ერთმნიშვნელოვანია. კითხვა სწავლის მოტივაციურ ასპექტში ინტელექტუალური შემეცნების ფუნქციური დაგვირთვისაა, სამაფხულო არდადეგების დროს კი კითხვას დასვენების ფუნქციის როლი ენიჭება, თუმცა შემეცნების პროცესი გრძელდება. ამიტომ სასურველი იქნებოდა ბავშვთა და მოზარდთა “კითხვა მაფხულში” წარმართოს პროგრამით, რომლის ორგანიზებაშიც ბიბლიოთეკების, პედაგოგების და ალბათ უმეტესწილად მშობლების მიერ ბავშვთა კითხვის ორგანიზაცია-ხელმძღვანელობაში შემდეგი მიმართულებები შეიძლება გამოიკვეთოს, რაც გააგრძელებს შემეცნების პროცესს. შეირჩეს ნაწარმოებები: ა) რომლებიც მოზარდის მიერ აღქმული იქნება დასვენებისა და გართობისათვის, ბ) რომლებიც ბავშვს, მოზარდს დაეხმარება ხელსაქმეში, კოლექციების, ჰერბარიუმების შედგე-




ნაში, კონსტრუირებაში, გ)რომლებიც ბავშვებში გააღვივებს მხაგვრული შემოქმედების პროცესს, დ)საბავშვო, სოფლის, სასკოლო ბიბლიოთეკების ნორჩი მხარეთმცოდნეობის კლუბების მიერ ლიგერატურულ- შემოქმედებითი ექსპედიციების ორგანიზება, მშობლიური მხარის ისტორიის და კულტურის შესწავლის მიზნით საძიებო სამუშაოების წარმოება, ვიქტორინების მოწყობა, მხარის პრობლემურ თემაზე დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულება, ლეგენდების, გეპირსიგყვიერების ნიმუშების შეგროვება, გოპონიმიკური ლექსიკონისათვის საძიებო სამუშაოების ჩატარება.

გაეროს მიერ 1994 წელი გამოცხადებული იყო ოჯახის საერთაშორისო წლად. ინგერნეგის საინფორმაციო წყაროებში მოიპოვება საიგი “წიგნის პრემენგაცია მშობლებისათვის“, “ოჯახური კითხვის აღორძინების საკითხისათვის“, მაგრამ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ცნება “კითხვა ოჯახში” პირობითი ხასიათისაა. ჩვენს მიერ “საოჯახო კითხვის“ მოტივაციების დაგროვება-დაჯგუფების შემდეგ გაირკვა, რომ ოჯახში კითხვა ხორციელდება შემდეგი მოტივაციით: გაურკვეველი მოტივი, თვალსაწიერის გასაფართოვებლად, საქმიანი მოტივით-სემინარი, ლექცია..., პრესტიჟული, სულიერი მოთხოვნილებებისათვის. აქედან გამომდინარე ცნება “კითხვა ოჯახში” სრულიად სხვა შინაარსობრივ დაგვირგვინს იძენს, სადაც ოჯახის უფროსი თაობის წევრების სუბიექტური ინტერესებია გათვალისწინებული.

XXI-ე საუკუნე-ში ყალიბდება ინფორმაციული პიროვნება მაღალი საინფორმაციო კულტურით. ფორმირდება სპეციალური საინფორმაციო კულტურის ეგალონი. მულტიკულტურულ და მრავალეროვან გარემოში მომარდების საინფორმაციო საზოგადოების წევრებად ჩამოყალიბებისათვის შექმნილია ევროპული ვირტუალური საბავშვო ბიბლიოთეკა, წარმოებს გრადიციული ბიბლიოთეკების ადაპტირება ვირტუალურ სამყაროსთან, ახალ საგანმანათლებლო გარემოსთან. როდესაც ელექტრონულ საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიულ უმრუნველყოფაზე ვსაუბრობთ, ალბათ სასურველი იქნება ბიბლიოთეკარები, მშობლები, პედაგოგები, ბავშვები ფლობდნენ ინფორმაციას იმ ბაზების შესახებ, სადაც შესაძლებელია თემატურად საბავშვო წიგნების შესახებ ინფორმაციის მოძიება, წიგნების გამოწე-

რა და მიღება ელექტრო ფოსტით. მოზარდის საინფორმაციო ძიების ჩვევების ფორმირებისათვის სასურველი იქნება ბიბლიოთეკარმა, მშობელმა, პედაგოგმა წინასწარ შეარჩიოს საინტერესო საინფორმაციო საიგი (მაგ. ახალი ჟურნალი რომელიმე მეცნიერების შესასწავლად) საინტერესო თემის მოსაძიებლად მოზარდის ინტერესების, ინტელექტუალური შესაძლებლობების და გემოვნების შესაფერისი.

ინგერნეგში ინფორმაციის მაძიებლისათვის ცნობილია, თუ რა სიძნელებთანაა დაკავშირებული საჭირო ინფორმაციის აღმოჩენა... ამ პრობლემის გადაჭრის გზების ძიებისაკენაა მიმართული ჩვენი ძალისხმევა. ბავშვთა კითხვის მიზანმიმართულად წარმართვის მიზნით შესწავლილია ელექტრონული რესურსები ეკოლოგიის, მცენარეთა, ცხოველთა სამყაროს შესახებ... ქიმიის, ფიზიკის და სხვა დარგების სამეცნიერო კვლევების შედეგები. ვფიქრობთ, ეს ინფორმაციები გამოადგება პედაგოგებს, მშობლებს, ბიბლიოთეკარებს ბავშვთა კითხვის ხელმძღვანელობის ასპექტში. ბევრია დაწერილი და დღესაც იწერება ბავშვთა და მოზარდთა კითხვის ფსიქოსოციალურ, პედაგოგიურ, პროფესიულ-ბიბლიოგრაფიულ და კომპიუტერულ-კომუნიკაციურ პრობლემებზე, მაგრამ განხილულ ლიგერატურაში, ინგერნეგის სამეცნიერო სტატიებში არაა მითითებული კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფისათვის ჩამოყალიბებული რეცეპტი, რეკომენდაციები, რაც შესაძლებლობას მოგვცემდა ბავშვის, მოზარდის გონებრივი შესაძლებლობების მათი ჰარმონიული თანაცხოვრების გათვალისწინებით საზოგადოების ინტელექტუალურ პოტენციალთან ჩამოყალიბებულიყო კომპლექსური რეკომენდაციები ბავშვთა კითხვის თუ აღზრდის სფეროში. საკითხისადმი მიდგომა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურია. ვფიქრობთ, ჩვენს საუკუნეში ჩამოყალიბებული ახალი მეცნიერება სოციონიკა კვლევის ნეიროლინგვისტური, ელექტროფიზიოლოგიური, ნეიროქიმიური მეთოდის კვების გამოყენებით, პიროვნების ტიპის და პიროვნებათა შორის ურთიერთობების გამოკვლევით შეძლებს სწავლების, ინფორმირების ერთიანი სისტემური პროგრამების შექმნას. დღევანდელობაში კი მშობლის, პედაგოგის, ბიბლიოთეკარის როლი სასურველია იქნება აისახოს სისტემატურ საინფორმაციო მონიგორინგში: ა) მეთოდური და საკონსულტაციო დახმარების



მიზნით ელექტრონულ წყაროებში მოპოვებული ინფორმაციით (ინტერნეტ-ექსტრანეტ-ინტრანეტ ქსელის რესურსების შესწავლა). ბ) მესამე სექტორის ბიბლიოთეკის ინფორმაციით გეგრაღის უბრუნველყოფა. გ) გეგრაღის ოთხივე რგოლისთვის განკუთვნილი სრულყოფილი პროგრამების გაცნობა. დ) გრადიციული წყაროების კოორდინირებულად შესწავლა-ანალიზირება.

ბიბლიოთეკებში მოზარდთა და ბავშვთა კითხვის ხელმძღვანელობის, საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული უბრუნველყოფისთვის, სულიერი მრდის, თვითგანათლებისა და თვითაღმზრდის პირობების ხელშეწყობისთვის სასურველი იქნება განხორციელდეს:

- პროგრამა თემაზე: “ბიბლიოთეკაში ბავშვების და მოზარდთა სწავლების ორგანიზაცია”.
- ყურადღება გამახვილდეს მთელ საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიულ სამუშაოზე და კომპლექტებიდან დაწყებული ფონდების ორგანიზაციით და საცნობარო-ბიბლიოგრაფიული (გრადიციული და თანამედროვე) საინფორმაციო უბრუნველყოფით დასრულებული.
- განისაზღვროს სამეცნიერო ბიბლიოთეკების როლი ბავშვთა და მოზარდთა განათლებაში: ა) ბიბლიოთეკა _ დისკანციური განათლების ცენტრი ბ) ბიბლიოთეკა _ საინფორმაციო და კულტურული განათლების ცენტრი გ) ბიბლიოთეკა _ საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური.
- ბიბლიოთეკებში სასურველი იქნება შეიქმნას სტრუქტურა, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვთა აღზრდასა და დამატებით განათლებას, ინდივიდუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ცოდნის სხვადასხვა დარგში.
- ბიბლიოთეკამ, სასურველია, დაიცვას ბავშვის და მოზარდის უფლებები ინფორმაციის მისაწვდომობის თვალსაზრისით.
- ბიბლიოთეკების ბაზაზე ჩატარდეს გამოკვლევები, რომლებიც გაარკვევს გეგრაღის მიერ ბიბლიოთეკის საინფორმაციო წყაროების სრულყოფილად გამოყენების შესაძლებლობებს. ბავშვებისა და მოზარდებისთვის პედაგოგებისა და მშობლებისათვის ინფორმაციის ძიებაში ბიბლიოთეკარების მიერ საინფორმაციო დახმარების გაწევა გააძლიერებს ბიბლიოთეკების სოციალურ როლს.
- გეგრაღისათვის სპეციალური სასწავლო-შემეცნებითი ელექტრონული პროგრამების სპექტრის შინაარსობრივი ანალიზი.

• ბიბლიოთეკების მუდმივი საინფორმაციო კავშირი სხვადასხვა საგანმანათლებლო-კვლევით ორგანიზაციებთან ინფორმაციის მოძიების, დაგროვების და გაცვლის მიზნით.

• ბავშვთა და მოზარდთა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში სასურველი იქნებოდა მშობლების, პედაგოგების და ბიბლიოთეკარების ანკეტური კვლევა, რაც გამოავლენდა თემის, ქანრის, მხარეული და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის ურთიერთთანაფარდობას კითხვის ხარისხის, კითხვაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზის ასპექტის თვალსაზრისით...

• ბავშვთა კითხვის პრობლემების შესწავლისათვის თემატური ღონისძიებების ორგანიზება: “ბიბლიოთეკა, სამოგალოება, პიროვნება”, “ბავშვთა კითხვა ელექტრონულ გარემოში”, “წიგნი, კითხვა, ბიბლიოთეკა”, “წიგნის, კითხვის, ბიბლიოთეკის როლი მოზარდის ცხოვრებაში”, “სასოფლო, სასკოლო, სასკოლო, საბავშვო, სამეცნიერო ბიბლიოთეკა _ მოსწავლის განვითარების გარემო”, “ბიბლიოთეკა, ეკოლოგია, მხარეთმცოდნეობა, მოზარდი”, “ბავშვთა კითხვის ხელმძღვანელობისათვის გეგრაღის ინტერესების შესწავლა აბონემენტის პირობებში”.

• ბიბლიოთეკა ინვალიდ, მიუსაფარ, სოციალურად დაუცველ ბავშვთა და მოზარდთა ცხოვრებაში.

მოზარდთა და ბავშვთა კითხვის მოთხოვნილებების შესწავლა და დაკმაყოფილება რთული პროცესია, რადგან 1) არ არის გამოკვეთილი უწყვეტი განათლების მიზნები. 2) სასურველია ბიბლიოთეკარებმა, მშობლებმა, პედაგოგებმა შეისწავლონ როგორც ბავშვების, ასევე ინდივიდუალური სურვილები და მოთხოვნილებები კითხვასთან, განათლებასთან მიმართებაში შესაბამისი ინფორმაციის მისაწოდებლად. საინტერესო იქნებოდა საინფორმაციო განათლების დანერგვის პროცესში გეგრაღის ოთხივე რგოლის (მშობელი-პედაგოგი-ბიბლიოთეკარი-მოზარდი) ჩაბმა კითხვაში, რაც ბავშვთა და მოზარდთა კითხვის პროცესის ოპტიმალურ ვარიანტად გვესახება.

ლიტერატურა

1) ბარამიძე ნ. სწავლის მოტივის მოგადი და სპეციფიკური თავისებურებების შესახებ. // მაცნე. - 1979 № 2. - გვ. 71-84.
 2) ჩხარტიშვილი შ. სწავლის მოტივაციური ფორმები. // სკოლა და ცხოვრება. - 1975 № 12. - გვ. 17.
 3) Андюшенко Е.Г. Сельская библиотека как среда развития читателя-школьника: (Прик-

ладное мини исследование).-Волгоград. обл.- детс. библио-ка.-1997.-с.5.

4) Зубов Ю.С. На пути создания научной классификации читателя.//Советское библиотековедение.-1997.-№2.-с.35-52.

5) Мелентьева Ю.П. Осмыслить цели руководства чтением юношества.//Советское библиотечное ведение.-1989.-№1.-с.39-44.

6) Библиотека (1997-2002.)

7) Библиотекаведение (1998-2002.)

8) Библиография (2000-2002)

9) Научные и технические библиотеки (1995-2002)

10) <http://www.Penguin.com>.

11) <http://www.Kinder.ru>.


12) <http://www.Karapuz.com>.

13) <http://www.Horizonti.org>

14) <http://www.psq.1.September/ru>

15) <http://www.Eskimo.com>.

იხ: ქართულ და რუსულ ლიგერაგურაში ბავშვთა კითხვის პრობლემების შესახებ სხვადასხვა დროს გამოცემული პუბლიკაციები.



მოგონებები

ალ. ლორია

დიდი მეცნიერისა და ბიბლიოფილის მოსაგონარი

90 წელი შესრულდა ცნობილი ქართველი ენათმეცნიერის პროფესორ ალექსანდრე ანდრიას ძე ლლონგის დაბადებიდან. უკვე სამი წელია, ის აღარ არის ჩვენს შორის. წავიდა ღვაწლმოსილი ადამიანი და დაგოვა მდიდარი მემკვიდრეობა თავისი შრომების სახით.

უზარმაზარი ეპოქალური მოვლენების სწრაფი ცვლილებების პერიოდში მოუწია ცხოვრება – ათასი გასაჭირი და სიძნელეები, ბრძოლა თვითღამკვიდრებისათვის, სირთულეთა დაძლევა პირადულ თუ სამოგადოებრივ სარბიელზე, ომი, რეპრესიები, დაუღალავი ყოველდღიური და თავდაუზოგავი შრომა... მიუხედავად ამისა, იყო ოპტიმისტი, მხნე, ენერგიული, შრომისმოყვარე, დაუმარებელი...

ღარიბი გურული გლეხის ოჯახში დაიბადა... მაგრამ სწავლა-განათლებისადმი თავყვანისცემა აქ უცხო არ იყო. ადვილი წარმოსადგენია, როგორი იყო აღმზრდელი დედის მრწამსი და მიდრეკილება, როდესაც მის ნივთებში მარად ინახებოდა თურმე შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, ჩერნიშევსკის სურათები; ქმრის მიერ ძღვნად მორთმული წიგნები: "ვეფხისტყაოსანი", "ქართული ხალხური მრავლები", სიმონ გუგუნავას "თამარიანი", გაბრიელ ეპისკოპოსის "ქადაგებანი", აკაკის "ლექსები", თ. ჟორდანიას "თხზულებანი", რომლებიც ბოლომდე შემოინახა, როგორც ძვირფასი რელიქვა, უკვე საქვეყნოდ ცნობილმა პროფესორმა, ბაგონმა ალექსანდრემ.

1929 წლიდან, როდესაც ის თბილისის უნი-

ვერსიტეტის სტუდენტი გახდა, აქ მჩქეფარე მეცნიერული და პედაგოგიკური მუშაობა იყო გაჩაღებული. ალექსანდრე ლლონგს ბედმა გაუღიმა, რომ მისი მასწავლებლები იყვნენ: ივანე ჯავახიშვილი, აკაკი შანიძე, ვიორგი ახვლედიანი, კორნელი კეკელიძე, გრიგოლ წერეთელი, იუსტინე აბულაძე, ვარლამ თოფურია, შალვა ნუცუბიძე, მიხეილ მანდუკელი, ვახტანგ კოტეტიშვილი და სხვანი. 1931 წელს ესწრებოდა ნიკო მარის საჯარო მოხსენებებს. სწორედ ნიკო მარის რეკომენდაციით ჩაირიცხა ის ასპირანტურაში, რომელიც ლენინგრადში დაასრულა ცნობილი მეცნიერების ხელმძღვანელობით. მხედველობაში თუ მივიღებთ იმასაც, თუ რა წრეში მოუხდა მას მოღვაწეობა, როგორი დიდებული კოლეგები იყვნენ მის ირგვლივ, არ შეიძლება არ აღიარო, რომ ის ამ მხრივ უბედნიერესი ადამიანი იყო. რაც შეეხება თვით მის მეცნიერულ მოღვაწეობას, შეუძლებელია არ განგვაცვიფროს მისმა პროდუქტიულობამ, ნოვატორობამ, მიგნებებმა, სიახლის განცდამ და არქივებში მოპოვებულმა ხელუხლებელი მასალების გამოვლენამ და დამუშავებამ.

ცნობილი ენათმეცნიერი მრავალი მიმართულებით ეწეოდა კვლევას: იყო ფოლკლორისტი, რომელმაც "ხალხური ნოვლის" ცნება დაამკვიდრა, 3200 მეტი დასახლებული პუნქტი ფეხით ჰქონდა შემოვლილი ხალხური მეპირსიგყვიერების შესაკრებად; მის ინტერესთა სფეროში შედიოდა ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, ლექსიკოლოგია და ლექსიკოგრაფია, დიალექ-



აკაკი შანიძე და ალექსანდრე ღლონტი

გოლოგია, გოპონიმიკა, სტილისტიკა, ბიბლიოგრაფია. აქვს 700-ზე მეტი დასახელების ნაშრომი და სტაგია, რომელთაგან მრავალი მნიშვნელოვან გამოკვლევას წარმოადგენს. 60-მდე ნაშრომი ცალკე წიგნადაა გამოცემული. განუმოძვლია მისი ღვაწლი როგორც შემდგენელ-გამომცემლისა და რედაქტორისა, სტუდენტთათვის სახელმძღვანელოს შექმნისა. იყო დიდი ორგანიზატორი – წლობით ხელმძღვანელობდა კათედრებს გორის, ცხინვალის, თბილისის პედაგოგიურ უნივერსიტეტებში; იყო საუკეთესო პედაგოგი და აღმზრდელი, ეთნოგრაფიული თუ ფოლკლორული ექსპედიციების ინიციატორი და ხელმძღვანელი, მის მიერ მთელი პლეადაა აღმზრდილი პედაგოგებისა, მრავალმა ახალგაზრდამ მისი ხელმძღვანელობით გაიარა ასპირანტურის კურსი და დაიცვა სამეცნიერო ხარისხი; ძნელია გაიხსენო ყველა მეცნიერი, ვისაც მან ოპონენცია გაუწია.

ყოველივე ამასთან ერთად, იყო საზოგადო მოღვაწე. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს მისი საქმიანობა როგორც რუსთველის საზოგადოების საინსტიტუტო ორგანიზაციის თავმჯდომარისა. ის იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც წამოაყენა წინადადება თბილისის რაიონებს გოპონიმიკის გათვალისწინებით დარქმეოდათ სახელწოდებანი.

ჩვენი მკითხველისათვის განსაკუთრებით საგულისხმოა მისი უბერებელი წიგნები, როგორცაა “ქართული ლექსიკოლოგია”, “ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები”, “ქართული ლექსიკოლოგიის საკითხები”, “ქართული საკუ-

თარი სახელები”, “გოპონიმიკური ძიებანის” სერიით გამოქვეყნებული მასალა, “ქართულ კილოთქმათა სიგყვის კონის” ორგომეული, “გურული ფოლკლორი”, “ქართული შაირები”, “ქართული ზღაპრები და ლეგენდები”, “ოსური ზღაპრები და ლეგენდები”, “ქართული ხალხური ნოველა”, “ქართული წინადადება” და სხვა. თითქოს მის საკუთარ რექვიემს წარმოადგენდა მისი ბოლო წიგნი “მოძღვრები, მეგობრები, შეგირდები”, რომელშიც ნათლად გამოჩნდა მისი განვითარების საწინდარი და მისი დამოკიდებულება მის პირად სამყაროსადმი. მისი ღვაწლის გვირგვინს წარმოადგენს ქართული ლექსიკოგრაფიის კლასიკოსის ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონის ლენინგრადის არქივებში აღმოჩენა, მისი მეცნიერული რედაქტირება და ორ დიდ ტომად გამოცემა – “რუსულ-ქართული ლექსიკონის” სახელწოდებით.

ალექსანდრე ღლონტს ჩვენ ვიგონებთ აგრეთვე როგორც დიდ ბიბლიოფილს. ბიბლიოთეკა და წიგნი მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. იგი ხშირად სტუმრობდა სხვადასხვა ბიბლიოთეკას, ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიური განყოფილების მუდმივი მომხმარებელი იყო. განსაკუთრებით სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პეღნივერსიტეტის ბიბლიოთეკას მეგობრობდა. ამ ბიბლიოთეკის საბჭოს შემადგენლობაში შედიოდა და მუდამ თვალყურს ადევნებდა, რაც აქ ხდებოდა, პირადი მეგობრობა აკავშირებდა საქვეყნოდ ცნობილ ბიბლიოთეკათმცოდნეებთან, როგორებიც იყვნენ: ნ. ლორთქიფანიძე, გ. გიორგიძე,

გ. ბაქრაძე, ფ. ყურაშვილი, თ. მაჭავარიანი და სხვანი. ძალიან კარგად იცნობდა ბიბლიოგრაფიული აპარატის სისტემას; “ქართული წიგნი” და “ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია” მისი სამაგიდო წიგნები იყო. რამდენადაც ვიცი, ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრაზე მის ცხოვრებაშივე შედგა მისი ბიბლიოგრაფიული სამიუბელი, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე მისი გამოცემა ვერ მოხერხდა.

მისი პირადი ბიბლიოთეკა ორ ათეულ ათას ერთეულს აჭარბებდა. წიგნები საკუთარი სისტემით ჰქონდა განლაგებული, მოვლილი და უზადოდ დაცული. არასოდეს არავის არ ეუბნებოდა უარს მათ გამოყენებაზე. მისი ბიბლიოგრაფიული ცოდნა არაერთ მკვლევარს გამოსდგომია მუშაობის პროცესში. დღე არ ჩაივლიდა, ვინმე არ წვეოდა შინ ბიბლიოგრაფიული დახმარებისათვის, რეკომენდაციისა და რჩევისათვის.

კომუნიკაბელური პიროვნება იყო. კარგად ესმოდა იუმორის; საერთოდ, ხალისიანი მოსაუბრე იყო. იცოდა უამრავი რამ და უშურველად უზიარებდა თავის ცოდნასა და გამოცდილებას ახალგაზრდებს. არ ერიდებოდა პოლემიკაში ჩაბმას, მაგრამ ყოველთვის იყო უაღრესად კორექტული და თავაზიანი, თუმცა პირდაპირი და თავისი ამრის მტკიცედ დამცველი.

ახლაც იგონებენ ახლობლები მის ადამიანურ თვისებებს, მეუღლის ხსოვნისადმი უმაღლეს თვითგულებას, ოჯახის სიყვარულს, კეთილმეზობლობას, მოყვასისადმი ხელის გამართვას, სალმიანობას. ოჯახის წევრებისათვის, განსაკუთრებით შვილიშვილებისათვის ნამდვილი ფეტიში იყო. ახლაც უცრემლოდ ვერ იგონებენ მას შვილიშვილები რუსიკო და ხათუნა. დაბადებიდან 90 წლისთავზე ისინი გულის სიღრმეში შეძრულნი ახსენებენ საყვარელ ბაბუას და თბილად მიმართავენ მას გულწრფელი სიტყვებით: “ჩვენ ყოველთვის გვახსოვს შენი სიტყვები: “ამ ქვეყნად სიკეთე არ იკარგებაო...” და მართლაც, არ დაკარგულა ალექსანდრე ლლონგის მიერ დათესილი სიკეთე. ახლაც იმკიან მას ახალგაზრდები, რომლებიც მის მიერ გაკვალულ გზას ადგანან და უხვად სარგებლობენ იმით, რაც მისი უანგაროდვაწლით შექმნილა.

ქრონიკა

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები

- 12 ივლისს გაიმართა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან არსებული საკოორდინაციო საბჭოს სხდომა. განიხილეს საბიბლიოთეკო გერმინოლოგიის დამუშავების, ელექტრონული ჟურნალების გამოყენებისა და საბიბლიოთეკო ცხოვრების სხვა აქტუალური საკითხები.
- სექტემბერის ბოლოს თბილისს ესტუმრა სოროსის ფონდის საინფორმაციო სამსახურის მენეჯერი რიმა კუპრიტა. მისი ინტერესის სფეროში შედიოდა ელექტრონული ჟურნალების გამოყენების მდგომარეობა და პერსპექტივები საქართველოში. სტუმარი შეხვდა საქართველოს საბიბლი-

- ოთეკო ასოციაციის, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და თბილისის სხვა დიდი ბიბლიოთეკების ხელმძღვანელ პირებს.
- 26 სექტემბერს დუშეთის საბიბლიოთეკო გაერთიანების (დირექტორი ლეილა ახალაშვილი) აქტივს შეხვდნენ და მეთოდურ-პრაქტიკული სემინარი ჩაატარეს ჟურნალ “საქართველოს ბიბლიოთეკის” სარედაქციო კოლეგიის წევრებმა გულნარა სტურუამ და გურამ თაყნიაშვილმა. სემინარის მუშაობაში მონაწილეობდა რაიონის კულტურის განყოფილების გამგე ნელი თეთრუაშვილი.



ღირსშესანიშნავი და საიუბილეო თარიღების
კ ა ლ ე ნ დ ა რ ი
(ბიბლიოთეკების დასახმარებლად)

ქართული
საბჭოთა

ინანვარი

- 1 - გილოცავთ ახალ წელს!
- 5 - 140 წლის წინათ (1863) დაიბადა მელიტონ ბალანჩივაძე - ქართველი კომპოზიტორი. ქართული საოპერო მუსიკის ფუძემდებელი. გარდაიცვალა 1937წ.
- 7 - შობა უფლისა ღვთისა იესო ქრისტესი. (ძველი სტილით 27 დეკემბერი).
- 9 - 100 წლის წინათ (1903) დაიბადა სიმონ ჩიქოვანი - ქართველი პოეტი. გარდაიცვალა 1966წ.
- 14 - ქართული თეატრის დღე.
- 15 - 140 წლის წინათ (1863) დაიბადა ექვთიმე თაყაიშვილი - საქ. მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გარდაიცვალა 1953წ.
- 19 - 55 წლის წინათ (1948) დაარსდა მეგალურგიული ქალაქი რუსთავი.
- 20 - 155 წლის წინათ (1848) დაიბადა ალექსანდრე ყაზბეგი - ქართველი მწერალი. გარდაიცვალა 1893წ.
- 22 - 215 წლის წინათ (1788) დაიბადა ჯორჯ გორდონ ბაირონი - ინგლისელი რომანტიკოსი პოეტი. გარდაიცვალა 1824წ.
- 23 - 220 წლის წინათ (1783) დაიბადა სგენდალი - ფრანგი მწერალი. გარდაიცვალა 1842წ.
- 24 - 70 წლის წინათ (1933) დაიბადა გივი გეგეჭკორი - ქართველი პოეტი.
- 25 - 75 წლის წინათ (1928) დაიბადა ედუარდ შევარდნაძე. - საქართველოს პრემიერ-მინისტრი.
- 26 - 85 წლის წინათ (1918) დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- 70 წლის წინათ (1933) დაიბადა ელდარ შენგელაია. - ქართველი კინორეჟისორი. საქ. სახალხო არგისტი.
- 360 წლის წინათ (1643) დაიბადა ჟან შარდენი - ფრანგი მოგზაური (1672-73 წლებში იმოგზაურა საქართველოში). გარდაიცვალა 1713წ.


თებერვალი

- 2 - 130 წლის წინათ (1873) დაიბადა მემედ აბაშიძე - ქართველი საზოგადო მოღვაწე, მწერალი პუბლიცისტი. გარდაიცვალა 1937წ.
- 8 - 115 წლის წინათ (1888) დაიბადა ალექსანდრე (სანდრო) ჟორჟოლიანი - საქ. სახალხო არგისტი. გარდაიცვალა 1969წ.
- დავითობა - ხსენება წმინდა დავით მეფისა აღმაშენებლისა. (1073 - 1125).
- 175 წლის წინათ (1828) დაიბადა ჟიულ ვერნი - ფრანგი მწერალი. გარდაიცვალა 1905წ.
- 10 - 110 წლის წინათ (1888) დაიბადა ივანე ვეფ-

- ხვაძე - ქართველი ფერმწერი, საქ. სახალხო მხატვარი. გარდაიცვალა 1971წ.
- 14 - 75 წლის წინათ (1928) დაიბადა გურამ პაგარაია - ქართველი კინორეჟისორი და კინო ღრამატურგი, საქ. სახალხო არგისტი, რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი. გარდაიცვალა 1983წ.
- 15 - 135 წლის წინათ (1868) დაიბადა ანასტასია ერისთავ-ხოშტარია - ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1951წ.
- 95 წლის წინათ (1908) დაიბადა იოსებ გაბაშვილი - ქართველი მხატვარი. გარდაიცვალა 1973წ.
- 17 - 140 წლის წინათ (1863) ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოვიდა ჟურნალ "საქართველოს მოამბის" პირველი ნომერი.
- 23 - 80 წლის წინათ (1923) დაიბადა გიორგი გეგეჭკორი - საქ. სახალხო არგისტი.
- 130 წლის წინათ (1873) დაიბადა დიმიტრი არაყიშვილი - ქართველი კომპოზიტორი, ქართული პროფესიული მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი. გარდაიცვალა 1953წ.
- 26 - 75 წლის წინათ (1928) გაიხსნა სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახ. სახელმწიფო, ქართული ღრამატური თეატრი.
- 28 - 75 წლის წინათ (1928) დაიბადა რამაზ ჩხიკვაძე - საქ. სახალხო არგისტი.
- 29 - მიმდინარე წელს სრულდება იგალიელი მწერლისა და ჰუმანისტის - ჯოვანო ბოკაჩოს დაბადების 690 წლისთავი (1313 - 1375).

მარტი

- 3 - დედის დღე.
- 8 - ქალთა საერთაშორისო დღე.
- 9 - 1956წ. საბჭოთა ჯარისკაცებმა დაარბიეს ქართველი ახალგაზრდობის მშვიდობიანი მიტინგი, თბილისში.
- 13 - 115 წლის წინათ (1888) დაიბადა ა.ს. მაყარენკო - რუსი პედაგოგი და მწერალი. გარდაიცვალა 1939წ.
- 15 - 135 წლის წინათ (1868) დაიბადა თელო სახოკია - ქართველი მწერალი, ლექსიკოგრაფი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1956წ.
- 20 - 80 წლის წინათ (1923) დაიბადა მედეა ჯაფარიძე - საქ. სახალხო არგისტი. გარდაიცვალა 1994წ.
- 70 წლის წინათ (1933) დაიბადა ოთარ ჭილაძე - ქართველი მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.
- 120 წლის წინათ (1883) დაიბადა მარიამ გარი-



- ყული (თათეიშვილი) – ქართველი მწერალი. გარდაიცვალა 1960წ.
- 21 – ქართული ჟურნალისტიკის დღე.
- 25 – (1917) საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენის დღე.
- 27 – თეატრის საერთაშორისო დღე.
- 28 – 80 წლის წინათ (1923) დაიბადა აკაკი გელოვანი – ქართველი მწერალი, მთარგმნელი, ლექსიკოგრაფი.
- 135 წლის წინათ (1868) დაიბადა მაქსიმ გორკი (პეშკოვი) – რუსი მწერალი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1936წ.
- 30 – 150 წლის წინათ (1853) დაიბადა ვისენგ ვანგოვი – ფრანგი ფერმწერი. გარდაიცვალა 1890წ.
- 31 – 65 წლის წინათ (1938) დაიბადა ზვიად გამსახურდია – საქ. პირველი პრეზიდენტი, მწერალი, პოეტი. გარდაიცვალა 1994წ.

აპრილი

- 1 – 75 წლის წინათ (1928) დაიბადა კარლო საკანდელიძე – საქ. სახალხო არტისტი.
- 2 – საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე.
- 70 წლის წინათ (1933) დაიბადა ბაურ ბოლქვაძე – ქართველი პოეტი. გარდაიცვალა 1997წ.
- 4 – 185 წლის წინათ (1818) დაიბადა თომას მაინრიდი – ინგლისელი მწერალი. გარდაიცვალა 1883 წელს.
- 6 – 85 წლის წინათ (1918) დაიბადა იოსებ ნონეშვილი – ქართველი პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, გარდაიცვალა 1980 წ.
- 7 – 95 წლის წინათ (1908) დაიბადა მარია ბარათაშვილი – ქართველი პოეტი, დრამატურგი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.
- 9 – საქართველოს ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე.
- 12 – კოსმონავტიკის დღე.
- 75 წლის წინათ (1928) დაიბადა ზურაბ ანჯაფარიძე – ქართველი მომღერალი, სახალხო არტისტი.
- 14 – ქართული ენის დღე.
- 18 – ძეგლებისა და ისტორიული ადგილების დაცვის საერთაშორისო დღე.
- 22 – 75 წლის წინათ (1928) დაიბადა ელგუჯა ამბუკელი – ქართველი მოქანდაკე, საქს სახალხო მხატვარი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 2002 წ.
- დედამიწის მსოფლიო დღე.
- 70 წლის წინათ (1933) დაიბადა გურამ ფანჯიკიძე – ქართველი მწერალი. გარდაიცვალა 1997წ.
- 23 – წიგნის საერთაშორისო დღე.
- 24 – 100 წლის წინათ (1903) დაიბადა აკაკი ბელიაშვილი – ქართველი მწერალი. გარდაიცვალა 1961წ.
- 70 წლის წინათ (1933) დაიბადა რემო ჭეიშვილი – ქართველი მწერალი.

- 27 – აღდგომა – უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.
- 28 – 100 წლის წინათ (1903) დაიბადა ალიო მირცხულავა (მაშაშვილი) – ქართველი პოეტი. გარდაიცვალა 1971წ.
- 30 – ბიბლიოთეკის დღე.

მაისი

- 6 – გიორგობა – ხსენება დიდებულისა, დიდისა მოწამისა ძღვევამოსილისა და სასწაულთმოქმედისა გიორგისა.
- 8 – წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო დღე.
- 135 წლის წინათ (1868) გამოქვეყნდა იაკობ გოგებაშვილის სასკოლო სახელმძღვანელო “ბუნების კარი”.
- 9 – ფაშისგურ გერმანიაზე გამარჯვების დღე.
- 14 – თამარობა – ხსენება წმინდა კეთილმორწმუნე ქართველთა დიდი მეფისა – თამარისა.
- 19 – 130 წლის წინათ (1873) დაიბადა იროდიონ ევლოშვილი (ხოსიგაშვილი) – ქართველი პოეტი. გარდაიცვალა 1916წ.
- 23 – 190 წლის წინათ (1813) დაიბადა ვილჰელმ რიჰარდ ვაგნერი. ცნობილი გერმანელი კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1883წ.
- 80 წლის წინათ (1923) დაიბადა რევამ ჯაფარიძე – ქართველი მწერალი, საზოგადო მოღვაწე, რუსთაველისა და საქ. სახელმწიფო პრემიების ლაურეატი. გარდაიცვალა 1999წ.
- 26 – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღე. ეროვნული დღე-სასწაული.
- 31 – 90 წლის წინათ (1913) დაიბადა სევერიან ისიანი – ქართველი პოეტი. გარდაიცვალა 1943წ.

ივნისი

- 1 – ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე.
- ქართველთა განმანათლებლის, მოციქულთა სწორის წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლა.
- 3 – 80 წლის წინათ (1923) გამოვიდა საგირისა და იუმორის ჟურნალის “ნიანგის” პირველი ნომერი.
- 4 – 105 წლის წინათ (1898) დაიბადა ფედერიკო გარსია ლორკა – ესპანელი პოეტი და დრამატურგი. გარდაიცვალა 1936 წ.
- 5 – გარემოს დაცვის მსოფლიო დღე.
- 6 – 90 წლის წინ (1913) დაიბადა რევამ გაბიჩვაძე – ქართველი კომპოზიტორი, საზოგადო მოღვაწე, საქ. სახალხო არტისტი. გარდაიცვალა 1999 წ.
- 7 – იესო ქრისტეს ამბლების დღე.
- 22 – 105 წლის წინათ (1898) დაიბადა ერიკ მარია რემარკი – ცნობილი გერმანელი მწერალი. გარდაიცვალა 1970 წ.

ივლისი

- 6 – 800 წლის წინათ, (1203) მოხდა ბასიანის ბრძოლა თურქ სელჩუკთა წინააღმდეგ.
- 10 – 85 წლის წინათ (1918) დაიბადა ჯეიმს ოლდრიჯი. – ინგლისელი მწერალი.

- 14 – 75 წლის წინათ (1928) დაიბადა ნოდარ დუმბაძე – ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1984 წ.
- 19 – 110 წლის წინათ (1893) დაიბადა ვლადიმერ მაიაკოვსკი – რუსი პოეტი. გარდაიცვალა 1930 წ.
- 29 – 75 წლის წინათ (1928) დაიბადა ბიძინა კვერნაძე – ქართველი კომპოზიტორი. საქ-ს სახალხო არგისტი.
- 31 – 65 წლის წინათ (1938) დაიბადა რობერტ სტურუა ქართველი რეჟისორი, სახალხო არგისტი.

ავგისტო

2 – ი ლ ი ა ო ბ ა .

- 12 – 75 წლის წინათ (1928) დაიბადა გურამ ასათიანი, ქართველი ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი. გარდაიცვალა 1982 წ.
- 24 – საქართველოს კონსტიტუციის დღე.
- 27 – 80 წლის წინათ (1923) ქართველი ალპინისტების ჯგუფი გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით მყინვარწვერზე ავიდა, რამაც დასაბამი მისცა ალპინიზმს საქართველოში.
- 28 – მარიამობა – მიძინება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა.
- 85 წლის წინათ (1918) დაიბადა ნათელა იანქოშვილი – ქართველი ფერმწერი და გრაფიკოსი, საქ. სახალხო მხატვარი.

სექტემბერი

- 1 – ცოდნის დღე.
- მშვიდობის მსოფლიო დღე.
- 100 წლის წინათ (1903) დაიბადა ნიკა აგიაშვილი – ქართველი მწერალი, მთარგმნელი, ჟურნალისტი. გარდაიცვალა 1984 წ.
- 6 – 125 წლის წინათ (1878) აჭარა დაუბრუნდა საქართველოს.
- 9 – 175 წლის წინათ (1828) დაიბადა ლ. ნ. გოლსტი – რუსი მწერალი. გარდაიცვალა 1910წ.
- 23 – 90 წლის წინათ (1913) დაიბადა ალექსი მაჭავარიანი – ქართველი კომპოზიტორი, სახალხო არგისტი. გარდაიცვალა 1996 წ.
- 27 – გურიზმის მსოფლიო დღე.

ოქტომბერი

ოქტომბრის პირველი კვირა დღე სპორტის დღეა!

- 1 – მუსიკის საერთაშორისო დღე.
- 2 – ხანდამშულთა და თაობათა სოლიდარობის დღე.
- 6 – 110 წლის წინათ (1893) დაიბადა სერგო კლდიაშვილი – ქართველი მწერალი. გარდაიცვალა 1986 წ.
- 9 – 160 წლის წინათ (1843) დაიბადა ნიკო ნიკოლაძე – ქართველი პუბლიცისტი, კრიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1928 წ.
- 10 – 190 წლის წინათ (1813) დაიბადა ჯუმბუკ ვერდი – ცნობილი იტალიელი კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1901 წ.

- 13 – 75 წლის წინათ (1928) დაიბადა ლანა დოღობერიძე – ქართველი კინორეჟისორი, საქ. სახალხო არგისტი.

- 14 – მცხეთობა, სეგეციცხოვლობა, კუპარტის დღე-სასწაული.
- 16 – 80 წლის წინათ (1923) დაიბადა აკაკი გეწაძე – ქართველი მწერალი, ღრამატურგი.
- 24 – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო დღე.
- 28 – 155 წლის წინათ (1848) დაიბადა დავით სარჯიშვილი – ქართველი საზოგადო მოღვაწე, კონიაკის წარმოების ფუძემდებელი საქართველოში. გარდაიცვალა 1911 წ.
- 29 – რუსთაველის დღე – პოეზიის დღე.

ოქტომბრის ბოლო კვირადღე – თბილისობა, ძმობისა და მეგობრობის დღესასწაული.

ნოემბერი

- 1 – 110 წლის წინათ (1893) დაიბადა პავლე ინგოროყვა – ქართველი მეცნიერი, მწერალი, კრიტიკოსი. გარდაიცვალა 1983 წ.
- 3 – 75 წლის წინათ (1928) დაარსდა კოტე მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრი.
- 4 – 345 წლის წინათ (1658) დაიბადა სულხან-საბა ორბელიანი – ქართველი მწერალი, დიპლომატი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1725 წ.
- 10 – ახალგაზრდობის მსოფლიო დღე.
- 100 წლის წინათ (1903) დაიბადა ელიზბარ ბედგენიძე – ქართველი მწერალი. გარდაიცვალა 1983 წ.
- 10 – საქართველოს პოლიციის დღე.
- 18 – 60 წლის წინათ (1943) დაიბადა თემურ ჩხეიძე – რეჟისორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.
- 21 – 65 წლის წინათ (1938) დაიბადა იზა ორჯონიკიძე – ქართველი პოეტი.
- 23 – გიორგობა. ხსენება წმინდა დიდმოწამისა და ძღვევამოსილისა გიორგისა.

დეკემბერი

- 2 – დაახლოებით 1020 წლის წინათ (983) შეიქმნა ათონის აკადემია, ძველი ქართული მწერლობისა და კულტურის ცენტრი, ქართული უმაღლესი განათლებისა და მეცნიერული ამროვნების პირველი კერა.
- 10 – საქართველოს “ადამიანის უფლებათა დაცვის დღე”.
- 19 – 80 წლის წინათ (1923) თბილისში დაიდგა გაქარია ფალიაშვილის ოპერა “დაისი”.
- 23 – მედიცინის მუშაკთა დღე.

კალენდარი მომზადებულია საქართველოს ლ. ასათიანის სახელობის რესპუბლიკური საბავშვო ბიბლიოთეკის მთავარი ბიბლიორაფი რუსუდან კვირიკაშვილის მიერ.


საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია და ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაცია გეგმავს 2003 წლის აპრილში «საქართველოს საბიბლიოთეკო კვირეულის» ჩატარებას. ისავე როგორც მიმდინარე ველს, კვირეული ჩატარდება დევიზით - «თქვენი ბიბლიოთეკა».

პროგრამით 1 მართადად შეგვატყობინეთ კვირეულის პროგრამით ჩასატარებელი ღონისძიებების პროგრამა.

კვირეულის საორგანიზაციო შტაბის მისამართი: თბილისი, 380007, გუდიაშვილის ქ.7, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია.

ტელ: 932682, 306970, 231035.

ელ. ფოსტა: ge_la@posta.ge



ქურნალის თანამდგომთა საბჭო

ნოდარ ამალღობელი
შოთა აფაქიძე
ლევან ბერძენიშვილი
თამაზ გამყრელიძე
სესილი გოგობერიძე
მალხაზ მაალიშვილი
დავით თარხან-მოურავი
ნანა კანდელაკი
ალექსანდრე კარგომბია
თეიმურაზ კომახიძე
ლია ნადარეიშვილი
თემურ ქლენგი
ვახტანგ სართანია
აკაკი სიხარულიძე
ბაკურ სულაკაური
ირაკლი ღარიბაშვილი
რევაზ ღლონგი
თეიმურაზ ჩხენკელი
ირინა ჭანგურიშვილი

ქურნალის რედაქცია

ალექსანდრე ლორია-მთავარი რედაქტორი
გურამ თაყნიაშვილი-მთავარი რედაქტორის
მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი
მზია რაზმაძე-კომერციული დირექტორი
გულნარა სგურუა-სამეცნიერო-მეთოდური
და კორექსპონდენტებთან მუშაობის რედაქტორ-კოორდინატორი
კომპიუტერული უზრუნველყოფა - გიორგი
თაყნიაშვილისა.

ღიმიანი-რატი თორღიასი.

ინფორმაციის ასოციაცია "ალი"

დამფუძნებლები: საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა; საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია



რედაქციის მისამართი:
თბილისი, 380007 გუდიაშვილის ქ. 7
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ტელ. 93-26-82

ეროვნული
ბიბლიოთეკა

